

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარინა ბურძენიძე

კვლევის სახეების კლასიფიკაცია და სპეციფიკა ემპირიულ
სოციოლოგიაში

დისერტაცია

სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: იაგო კაჭკაჭიშვილი, თსუ, სრული პროფესორი,
სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლალი სურმანიძე, თსუ, ასოცირებული
პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი

თბილისი
2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	3
თავი I	
1. ემპირიული სოციოლოგიის ადგილი სოციოლოგიური ცოდნის სისტემაში-----	11
2. საზოგადოებრივი აზრი და სოციოლოგია -----	17
3. კვლევის მეთოდები. კვლევის სტრუქტურა და ტიპები -----	20
4. რაოდენობრივი და თვისებრივი ტრადიცია ისტორიული წინამძღვრები -----	24
თავი II	
1. რაოდენობრივი კვლევითი სტრატეგია ფუნქციები და შესაძლებლობები; რაოდენობრივი კვლევა, როგორც მეცნიერული მეთოდი -----	32
2. გაზომვა, როგორც რაოდენობრივი კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტი -----	36
3. გაზომვის ვალიდურობა, საიმედოობა -----	46
4. გაზომვის პრობლემა, რომელიც მონაცემთა ანალიზის ხერხის არჩევისას წარმოიშვება -----	59
თავი III	
1. თვისებრივი კვლევითი მიდგომა ფუნქციები და შესაძლებლობები -	63
2. თვისებრივი კვლევის ძირითადი სახეები, ტექნიკები, პროცედურები -	81
3. რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები - “რბილი” და “ხისტი” მეთოდების შედარება, უპირატესობები და ნაკლოვანებები (განხილვა ავტორის მიერ თვისებრივი და რაოდენობრივი სტრატეგიებით ჩატარებული კვლევების მაგალითზე)-----	96
დასკვნა -----	114
გამოყენებული ლიტერატურა -----	120

შ ე ს ა გ ა ლ ი

სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, თავისი წარმოშობის დროიდან მიზნად საზოგადოებრივი პრობლემების შესწავლასა და მათი გადაჭრის გზების ძიებას ისახავდა. ამასთან, საზოგადოებრივ პრობლემატიკაზე სპეციფიკური შეხედულება და კვლევების სპეციფიკური ველი (რომლებიც სხვა მეცნიერებათა პრობლემურ სივრცეებს არ ემთხვეოდა) სოციოლოგებს თავიანთი განსაკუთრებული შეხედულებების გამოთქმის საშუალებას აძლევდა, რომელთაც ანალოგი არ ჰქონდა და ამით ქმნიდა შესაძლებლობას, წვლილი შეეტანათ დისკუსიაში, რომლებიც საზოგადოების განვითარების სტრატეგიულ პრობლემებს ეხებოდა.

1968 წელს გამოცემული კრებულის “ამერიკული სოციოლოგია” ბოლოსიტყვაობაში, როდესაც თეორიულ სოციოლოგიას შეეხო, ამერიკელი მეცნიერი ტ. პარსონსი წერდა, რომ დისციპლინის მნიშვნელობა უკავშირდება ადგილს, რომელიც მას საერთო ინტელექტუალურ კულტურაში უჭირავს. “უკანასკნელ ოცდაათწლეულში აღნიშნავდა პარსონსი სოციოლოგიამ მნიშვნელოვანი გადაადგილება განიცადა... რიკარდოდან მოყოლებული და შემდეგ მარქსის უზარმაზარი პოპულარობის პერიოდში ეკონომიკური მეცნიერება ძირითად დისციპლინად ითვლებოდა სოციალური სამყაროს გაგების საქმეში, თანაც ეკონომიკისადმი ინტერესმა შეავიწროვა მისი წინმსწრები პოლიტიკური მიდგომები. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მცირე ხნით ყურადღების ცენტრში მოექცა ფსიქოლოგიური თეორიები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ფსიქონალიზთან იყო დაკავშირებული; თუმცა, დღეს სამეცნიერო ინტერესების სფეროში გადანაცვლებას იწყებს სოციოლოგია” (American Sociology – perspectives, problems, methodes, 1968). ეს სიტყვები 40 წელზე მეტია, რაც დაიწერა და სოციოლოგიის მეცნიერებისადმი მზარდი ინტერესი დღესაც არ განელებულა.

მნიშვნელოვანია სოციოლოგიის დისციპლინის ფარგლებში (სოციალურ მეცნიერებებში) ახალი კვლევითი მიდგომების გაგება, მითუმეტეს, რომ სხვა მეცნიერებებშიც მრავალი ტიპის კვლევითმა სტრატეგიებმა დიდი გამოყენება ჰპოვა.

თუმცა, გვერდს ვერ აფუვლით დიდ თეორეტიკოსებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს მოცემული მეთოდოლოგიების სფეროში გარკვეული თეორიული კონცეპციების შემუშავებაში.

სოციოლოგიური კვლევების ძირითადი საშუალება გამოკითხვებია. გამოკითხვების ინდუსტრია ორ ქვედარგს მოიცავს რაოდენობრივსა და თვისებრივს. განვითარებულ ქვეყნებში დღეს ქვედარგების მოქმედებათა მასშტაბები თითქმის თანაბარია, თუმცა 3-4 ათწლეულის წინ თვისებრივი კვლევების ჩამორჩენის ტენდენცია ცხადი იყო.

თვისებრივი მეთოდები ემპირიული სოციოლოგიის საწყისებს უკავშირდება. მიზეზები ცხადია: ეს ჯგუფი უფრო ახლოსაა ყოველდღიურ ურთიერთობებთან, რომელზეც ჩასახული მეცნიერება ცდილობდა დაყრდნობას.

ფორმალისებული რაოდენობრივი გამოკითხვები, რომლებიც ძლიერ განსხვავებული იყო ყოველდღიური ურთიერთობებიდან, თავისი (იმ) დროისათვის მსხვილი ტექნოლოგიური აღმოჩენა იყო. ათწლეულების შემდეგ კი თვისებრივი მეთოდებისადმი ინტერესი კვლავ გაძლიერდა. უკანასკნელ წლებში თვისებრივი კვლევების “უნივერსალიზაციის” ტენდენცია შეიმჩნევა. რაოდენობრივმა კვლევებმა კი გარკვეულწილად უკანა პლანზე გადაინაცვლა. თვისებრივსა და რაოდენობრივ კვლევებს თავისი სპეციფიკური დანიშნულება გააჩნია და ამ თვალსაზრისით ვერანაირად ვერ ცვლიან ერთმანეთს. კვლევის ნებისმიერ მეთოდს აქვს თავისებურებები და ადეკვატური გამოყენებისათვის სპეციფიკურ მოხმარებას ითხოვს.

რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევები იმ კვლევათა სახესხვაობაა, რომელსაც საფუძვლად ალბათობის მათემატიკური თეორია უდევს. ამ თეორიის აქსიომატურ წინამძღვართა შორის არის მეტად მნიშვნელოვანი წინამძღვარი, სახელდობრ ის, რომ განსხვავებები გასაანალიზებელ ობიექტებს შორის შემოსაზღვრულია დისკრეტულ ნიშანთა ფიქსირებული ნაკრებით (ერთობლიობით). ამასთან მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი კონკრეტული ანკეტური გამოკითხვის დროს მახასიათებელთა ერთობლიობა შეზღუდულია ანკეტის კვალიფიცირებული კითხვების რაოდენობით (რიცხვით), ყველა სხვა შესაძლო მახასიათებელი იდენტურადაა მიჩნეული.

სტატისტიკური ტიპის გამოკვლევისათვის დამახასიათებელი ძირითადი კრიტერიუმია საიმედოობა, ანუ მიღებული შედეგების აღწარმოება. თუ

განმეორებით გამოკითხვას ჩავატარებთ იმავე მეთოდით იმავე სოციალურ ჯგუფში და ორივე გამოკითხვის შედეგები იდენტური იქნება - ეს ნიშნავს, რომ ისინი სანდო და საიმედოა. დღეს არაფერს დაგვობს იმ ფაქტის შესახებ, რომ სწორად ჩატარებული რეპრეზენტატიული მასობრივი გამოკითხვისას ფორმალური ანკეტის მეშვეობით ავტომატურად მიიღწევა შედეგების მაღალი ხარისხი. თუმცა ამით მათი ვალიდურობის საკითხი არ ამოიწურება. მათემატიკურ სოციოლოგიაში მიღებულია, რომ კვლევის ვალიდურობა გადმოიცეს როგორც გაზომვის საშუალების შესატყვისობის ხარისხი იმასთან მიმართებაში, რაც უნდა გაგვეზომა (ანუ გასაზომ ობიექტთან).

თვისებრივსა და რაოდენობრივ კვლევებს შორის არსებობს განსხვავება და მის დასადგენად უნდა გაირკვეს, თუ რას წარმოადგენს კვლევის “შეცდომა”, რა სახის არის და რას უკავშირდება იგი?

მეთოდების ორივე ჯგუფი რაოდენობრივითა და თვისებრივით გამოკითხვის საშუალებით ახდენს გარკვეული სიტუაციის მოდელირებას. რაოდენობრივი გამოკითხვების ჩატარებისას შეცდომის ძირითადი წყარო შეიძლება იყოს: რესპონდენტთა მიერ დასმული შეკითხვის არასწორი გაგება, შეცდომები მათ მიერ საკუთარი ქცევის გააზრებასა და პროგნოზში, ასევე გულწრფელობის გამაცნობიერებელი ან არასრულად გამაცნობიერებელი ელემენტები, რაც სოციალური ნორმების ზემოქმედებას უკავშირდება.

მკვლევრები, რომლებიც რაოდენობრივ მეთოდებს მიმართავენ, ძალიან კონკრეტულად იყენებენ ლიტერატურას. იგი იმის საშუალებას იძლევა, რომ წინა კვლევების იდენტიფიკაცია მოვახდინოთ მისი ინტერესების სფეროში, ასევე აღმოვაჩინოთ - სად არის ხარვეზები გაგების თვალსაზრისით. იგი ასევე განსაზღვრავს (დაადგენს) თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოებს, საზღვრებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება, რათა მიმართულება მიეცეს რაოდენობრივ კვლევით პროექტებს და მათი დასკვნების ინტერპრეტაცია მოხდეს. ამას გარდა, სპეციალური ლიტერატურა ეხმარება მკვლევარს მნიშვნელოვანი შესასწავლი ცვლადების გამოყოფაში და მათ შორის კავშირების დადგენისაკენ გვიბიძგებს. ეს ყველაფერი რაოდენობრივი კვლევისათვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მკვლევრებს ძირითადად აინტერესებთ ცვლადებს შორის კავშირების შემოწმება ან იმის განსაზღვრა, თუ როგორ ჯგუფებიან ისინი (მაგ., კლასტერებად). სანამ შესწავლას დაიწყებს, მკვლევარმა უნდა იცოდეს, თუ რომელი ცვლადებია მისთვის საინტერესო, შემდგომ, როგორ მოვახდინოს მათი ინტერპრეტაცია, რომლებსაც შემოწმების სტანდარტული ხერხებით ვღებულობთ.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეცდომები ორივე შემთხვევაში ხდება. ასეთი შეცდომების მიზეზი შეიძლება იყოს ესა თუ ის ფორმულირებები. ამასთანავე, გამოცდილების დაგროვება შეცდომების გააზრებაში მეთოდოლოგიის სრულყოფისა და მკვლევართა კვალიფიკაციის ზრდის წყაროა. თვისებრივი კვლევების სპეციფიკა მდგომარეობს არა ამ კვლევების “უზუსტობაში”, არამედ იმაში, რომ ამგვარ კვლევებში პირველადი მონაცემების მოპოვების ეტაპსა და შინაარსობრივი ანალიზის ეტაპს შორის არ არის ფორმალური მათემატიკური ოპერაციების რგოლი, რითაც უზრუნველყოფილია რაოდენობრივი გამოკვლევები.

დღეს საქართველოში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიების გამოყენება სოციოლოგიური პრაქტიკების ყოველდღიური განხორციელების კატეგორიაში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარეობს მათი შემეცნებითი და ეგზისტენციალური შესაძლებლობების თეორიული გააზრების აუცილებლობა. ეს საშუალებას მოგვცემს ემპირიული სოციოლოგიის პრაქტიკულად უმნიშვნელოდ გამოკვლეულ მხარეს მეტი ყურადღება მივაქციოთ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვისებრივ კვლევებზე აქცენტირება, რამდენადაც რაოდენობრივი ტრადიცია ჩვენთან არსებობდა, თვისებრივი კი თანდათანობით იკიდებს ფეხს. მისი დამკვიდრება კი მნიშვნელოვანია, რადგან სოციოლოგის ეგზისტენციალური გამოცდილებისა და შესასწავლი ინდივიდების - ადამიანების სფეროა. მისი შემეცნებითი შესაძლებლობების შესწავლა, რეალიზაციის პრაქტიკა სოციალური მოვლენებისა და პროცესების კვლევისას, მრავალ გარემოებათა გამო განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

იმის მიუხედავად, რომ ამ დარგში გამოცემულია ქართველ ავტორთა მიერ შექმნილი ნაშრომები, სახელმძღვანელოები, რომლებსაც სტუდენტობა წარმატებით იყენებს სასწავლო პროცესსა და საქმიანობაში, მიგვაჩნია, რომ დღევანდელ ქართულ სოციოლოგიურ სამეცნიერო სივრცეში აღნიშნული საკითხების თეორიულ შესწავლას სათანადო ადგილი არ აქვს დათმობილი.

საკვლევი თემის მიზნები და ამოცანები კვლევის მიზანს წარმოადგენს რაოდენობრივი და თვისებრივი სტრატეგიების დახასიათება, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ისინი განვიხილოთ არა ურთიერთსაპირისპირო ან დიქოტომიურ კონტექსტში. ამ მიდგომების დამოუკიდებელი სახით არსებობის მიუხედავად, ერთი კვლევითი პროექტის ფარგლებში მათი თანაარსებობა შესაძლებელია და

უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში სასურველი. განსაკუთრებით ეს შეეხება სამეცნიერო სფეროს, თუმცა შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სხვა სახის (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მარკეტინგულ, ფსიქოლოგიურ, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებულ) კვლევებში მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ნებისმიერი სახის სოციოლოგიურ (და არა მხოლოდ) კვლევებში ამ სტრატეგიების გამოყენება უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას შესასწავლი ობიექტის შესახებ და აქედან გამომდინარე, თანამედროვე საზოგადოებაში მათი აქტუალობა, როლი და მნიშვნელობა იოლი ასახსნელი და გასაგებია.

თეორიული მიზანია მეთოდოლოგიურ საფუძველზე ვაჩვენოთ და დავასაბუთოთ აღნიშნული კვლევების გამოყენების შესაძლებლობები და აუცილებლობა თანამედროვე ეპოქაში.

პრაქტიკული მიზანია - განვსაზღვროთ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რაც განაპირობებს, ერთი მხრივ, მათ გამოყენებას როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე ინტეგრირებულად.

ზემოთ აღნიშნული მიზნების რეალიზაცია გულისხმობს გარკვეული ამოცანების (როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ხასიათის) გადაჭრას:

- განისაზღვროს ფაქტორები, რომლებიც ამა თუ იმ კვლევაში რაოდენობრივი ან თვისებრივი მიდგომის არჩევას განაპირობებს;
- გამოვაკლინოთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის წინამძღვრები, მათი ჩამოყალიბების პერიოდი ქრონოლოგიურ ჭრილში;
- გამოვლინდეს ტენდენციები, რომლებიც ადასტურებს ან უარყოფს რაოდენობრივი და თვისებრივი სტრატეგიების კომპლექსურად გამოყენებას და რაციონალურად მიიჩნევს მას;
- მოვახდინოთ კვლევის ძირითადი კომპონენტების დიფერენცირება;
- დავასაბუთოთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომლებიც განსაზღვრავს და საბოლოოდ, კვლევის სწორი სტრატეგიის არჩევამდე მივყავართ;
- მოვახდინოთ ერთ კვლევით ციკლში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიების შერწყმის შესაძლებლობის პრობლემის კონცეპტუალიზაცია; ძირითადი მეთოდების გამოყოფა, რომელიც ორივე პარადიგმის ფარგლებში გამოიყენება; ვაჩვენოთ მათი თანმიმდევრული შერწყმის განსხვავებული ლოგიკები.

მეცნიერული სიახლე — სადისერტაციო ნაშრომში წამოყენებული და დასაბუთებულია ძირითადი დებულებები, რომლებიც მეცნიერული სიახლით ხასიათდება:

- თანამედროვეობაში რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების გამოყენების სპექტრის ზრდა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შერწყმისა და გაერთიანების შედეგს წარმოადგენს;

- წარმოდგენილი ნაშრომი არის საქართველოს სივრცეში რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების გამოყენების, მათი სპეციფიკის დადგენის და საზოგადოებრივი აზრის კვლევის პრაქტიკების საფუძველზე ოპტიმალური შედეგის მიღწევის გზების ძიებისა და მათი რაციონალობის დასაბუთების პირველი მცდელობა და სხვ.

კვლევის **თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა** ეფუძნება, ძირითადად, უცხოურ მკვლევართა ნაშრომებს (სოციოლოგიის, ფილოსოფიის, მარკეტინგისა და ეკონომიკის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიისა და სხვა დარგებში), რომელთა შორისაა აშშ, ევროპელ, რუსეთის და პოსტსაბჭოური სივრცის ავტორთა მეცნიერული შრომები, აგრეთვე, ქართველ ავტორთა პუბლიკაციები სოციოლოგიის სფეროში.

კვლევის **ემპირიულ ბაზად** გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც უშუალოდ ავტორის მიერ, რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდიკით არის განხორციელებული და არა ერთი კვლევის შედეგად მოძიებული. ამას გარდა, გამოყენებულია უცხოეთში ჩატარებული კვლევების ბაზები, რომლის მოძიებაც ინტერნეტის მეშვეობით გახდა შესაძლებელი, აგრეთვე, თანამედროვე ქართულ სივრცეში შესრულებული კვლევების ანალიზი. ნაშრომში გათვალისწინებულია კვლევით სფეროში მონაწილე კოლეგების გამოცდილება, რომელთაც წლების განმავლობაში მრავალი კვლევითი პროექტი აქვთ განხორციელებული ზემოაღნიშნული მიდგომების გამოყენებით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

საძიებელი კვლევის შედეგები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოკრძალებული წვლილი ემპირიული სოციოლოგიის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდოლოგიაში;

რეზულტატების გამოყენება შესაძლებელია რაოდენობრივი და თვისებრივი სოციოლოგიის (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული) სასწავლო კურსის შემუშავებაში.

რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებთან დაკავშირებული ცალკეული დებულებები, ჩვენი ვარაუდით, ხელს შეუწყობს სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს თავიანთ სფეროში ემპირიული კვლევების ორგანიზაციისა და დაგეგმვის საქმეში.

აპრობაცია ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულებაზე, სადაც მოხდა მისი განხილვა და აპრობაცია 2010 წლის 20 სექტემბერს.

დისერტაციის ძირითადი დებულებები აპრობირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ჩატარებულ კონფერენციებზე წარმოდგენილ მოხსენებებში (2009 წ. მაისი, 2010 წ. ოქტომბერი), აგრეთვე ავტორის სამეცნიერო პუბლიკაციებში.

თავი I

1. ემპირიული სოციოლოგიის ადგილი სოციოლოგიური ცოდნის სისტემაში

სანამ თემის ძირითადი შინაარსის ანალიზს შევუდგებით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ემპირიული სოციოლოგიის ადგილი სოციოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში, მისი დამოკიდებულება/მიმართება ფუნდამენტურ (თეორიულ) სოციოლოგიასთან. ამისათვის, ჯერ უნდა დავადგინოთ, თუ რას მივიჩნევთ ზოგად სოციოლოგიად (ზოგადსოციოლოგიურ თეორიად), განვსაზღვროთ მისი საგნის მახასიათებლები. ასევე უნდა განისაზღვროს, არის თუ არა ემპირიული სოციოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერება (მეცნიერებათა კლასი), თუ იგი იმავე მეცნიერების განსაკუთრებული რგოლია, რომელიც მის პრაქტიკულ მხარეს უზრუნველყოფს.

ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევეხოთ სპეციალურ პრობლემათა წრეს, როგორცაა მისი მეთოდოლოგიის თავისებურებები, მეთოდების სპეციფიკა, რაც უკავშირდება სოციოლოგიური მეცნიერების ფუნდამენტური პრინციპების გამოყენებას, აგრეთვე, მის ფუნქციებს სოციალური სინამდვილის შემეცნებასა და პრაქტიკულ დაუფლებაში.

სოციოლოგიური კვლევები, გამომდინარე იმ ამოცანებიდან, რომელთაც ისინი წყვეტენ და იმ მეთოდებიდან, რომელთაც იკვლევენ, შეიძლება რამდენიმე ტიპად დავყოთ: თეორიულად და ემპირიულად, ფუნდამენტურად და გამოყენებითად.

როგორც ყველა მეცნიერება, სოციოლოგიაც ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება თეორიული და ემპირიული ცოდნისაგან. **თეორიული** ცოდნის ბირთვის წარმოადგენს პარადიგმა, რომელიც გულისხმობს სოციალური რეალობის ძირითადი სტრატეგიული ელემენტების ურთიერთქმედებისა და კავშირის ახსნას. **ემპირიული** ცოდნის ელემენტებს წარმოადგენს სოციალური ფაქტები ანუ კონკრეტული კვლევის პროცესში ემპირიულ მონაცემთა მეცნიერულად დადგენილი სისტემები, რომლებიც საკვლევ მოვლენას ეხება, აგრეთვე, სტატისტიკური და ექსპერიმენტული მონაცემები, კლასიფიცირებული, სისტემატიზებული და ტიპოლოგიზებული ინფორმაციის სხვადასხვა სახეები. თეორიული ცოდნა, ჩვეულებრივ, გადმოიცემა აბსტრაქტული ფორმით, როგორც

აბსტრაქტული ცნებების, ისე მათემატიკური ენის მეშვეობით; ემპირიული ცოდნა გამოიხატება კონკრეტულ ემპირიულ მონაცემთა სახით.

თუკი თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევები მოიცავენ ჰიპოთეზათა ერთობლიობას, თეორიებსა და სხვადასხვა დონის ერთობების მოდელებს, რომლებიც მოცემული სოციალური და სოციეტალური სისტემისა და მისი სტრუქტურული ელემენტების ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესებს ხსნის, ემპირიული სოციოლოგიური კვლევები ორიენტირებულია სოციალური ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების ემპირიულ შესწავლაზე, რომლებიც სოციალური რეალობის შემადგენელი ელემენტებია.

კვლევის ემპირიული და თეორიული ტიპების ერთმანეთისაგან გამოიჯვინს დროს ორი ძირითადი მომენტი გასათვალისწინებელი: პირველ რიგში, უშუალო ცოდნა, როგორც ადამიანის გრძნობის ორგანოებზე მოცემული ობიექტის ზემოქმედების შედეგი (ფაქტების დამაფიქსირებელი ცოდნა), და მეორე, აბსტრაქტული ცოდნა - ცოდნა თვისებების, კავშირებისა და დამოკიდებულებების შესახებ, რაც ახასიათებს რიგ კონკრეტულ სოციალურ ობიექტებსა და უშუალოდ დამკვირვებლებს (უნივერსალური ცოდნა), ანუ არსებობს რეალური კავშირები და დამოკიდებულებები, რომელზეც დაკვირვება ხდება და რომელზე დაკვირვებაც არ ხდება.

აქედან გამომდინარე ემპირიულ ცოდნას მიეკუთვნება ფაქტების აღმწესხველი/მაფიქსირებელი, ხოლო თეორიულს უნივერსალური ცოდნა. კვლევის აღნიშნული ორი ტიპის გამოყოფა სოციოლოგიაში თეორიულისა და ემპირიულის სრულიად პირობითია. როგორც ცნობილია, სოციოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, რამდენადაც ფაქტებიდან ამოდის. ფაქტების შესწავლა, მათზე დაკვირვება, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სოციოლოგიის მეთოდის პირველხარისხოვან ელემენტს წარმოადგენს.

იმავდროულად, სოციოლოგია თეორიული მეცნიერებაც არის, რამდენადაც მის წინაშე დგას ფაქტებიდან უნივერსალური ცოდნისკენ სვლის ამოცანა. თეორიული სოციოლოგიური ცოდნა ემპირიულს ემყარება, მაგრამ ემპირიული კომპონენტის საგრძნობი სიჭარბე თეორიულ კომპონენტზე მეცნიერების განვითარების მაღალი დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორი არ არის/ ასეთად ვერ ჩაითვლება. მეცნიერების განვითარების კანონი ყოველთვის იყო და არის თეორიული ცოდნის უპირატესობა ემპირიულთან შედარებით. საბოლოოდ, სწორედ თეორიული ცოდნა განაპირობებს მეცნიერების განვითარებას, მის მიღწევებსა და პრაქტიკულად გამოყენებას.

ემპირიული კვლევები არის როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი სახის. ფუნდამენტური სოციალური გამოკვლევები მიზნად ისახავს შესასწავლი საგნის შესახებ მეცნიერული წარმოდგენების განვითარებასა და სრულყოფას. გამოყენებითი ემსახურება რომელიმე კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრას. სხვადასხვა სოციალური სისტემის თეორიული და ემპირიული შესწავლის საფუძველზე, სოციოლოგიას შეუძლია ღირებული პრაქტიკული რეკომენდაციებისა და დასაბუთებული პროგნოზების მიცემა-განხორციელება.

ემპირიული და თეორიული სოციოლოგიური კვლევები, რომლებიც მეცნიერული თეორიული პრინციპების საფუძველზე სრულდება, გამოყენებითი სოციოლოგიური ცოდნის მიღების გარკვეულ ეტაპებად გვევლინება.

თუ კვლევების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას გადავხედავთ, პირველ სოციალურ კვლევად, შესაძლოა, მივიჩნიოთ ის, რომელზეც ჯერ კიდევ ჰეროდოტე მიუთითებდა - ეგვიპტელთა და მათი შემოსავლების აღწერა, რომელიც ჩვენს ერამდე 3000 წლით ადრე ჩატარდა.

ემპირიული სოციოლოგია სოციალური კვლევის ფორმით სამ ევროპულ ქვეყანაში ჩაისახა ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში, განსაკუთრებით კი, XIX-XX საუკუნეების შესაყარზე, აშშ-ში ჰპოვა გავრცელება.

ინგლისსა და საფრანგეთში სოციალური კვლევები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იღებს სათავეს, “პოლიტიკური არითმეტიკისა” და “ სოციალური ფიზიკის” დროიდან (სიტყვა “სოციოლოგიის” დამკვიდრებამდე ბევრად ადრე). XVII საუკუნის ინგლისელმა პოლიტიკურმა არითმეტიკოსებმა (უილიამ პეტი, ჯონ გრაუნტი, გრეგორი კინგი და ედმუნდ ჰალეი) შეიმუშავეს სოციალური პროცესების რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; კონკრეტულად კი, ჯ. გრაუნტმა 1662 წელს გამოიყენა ისინი სიკვდილიანობის დონის ანალიზის პროცესში. ემპირიული კვლევების მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის განვითარება იმ პერიოდში, ძირითადად, ბუნებისმეტყველთა მიერ ხდებოდა. ამ თვალსაზრისით ე. ჰალეი, პ. ლაპლასი, ა. ლავუაზიე სოციოლოგიის დამფუძნებელთა რიცხვში მოხვდნენ.

თეორიული და ემპირიული სოციოლოგია საწყის ეტაპზე ერთმანეთისაგან გარკვეულწილად მოწყვეტილად ვითარდებოდა. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ხდებოდა კლასიკური სოციოლოგიის ჩამოყალიბება XIX საუკუნეში, რაც განპირობებული იყო, ერთის მხრივ იმით, რომ ო. კონტისა და ჰ. სპენსერის მაკროსოციოლოგიური თეორიები პრინციპულად არ უშვებდნენ მიკრო დონეზე

შემოწმებას, მეორე მხრივ, ისინი მხოლოდ წარსულზე იყვნენ ორიენტირებულნი (სოციოლოგია მთლიანობაში ყალიბდებოდა, როგორც ისტორიული სოციოლოგია), ხოლო ემპირიული გამოკვლევები ეძღვნებოდა თანამედროვე საზოგადოების მძაფრ პრობლემებს. ასე იყო XIX საუკუნის ბოლომდე, სანამ ე. დიურკემი და მ. ვებერი არ დაინტერესდნენ მეთოდოლოგიით. მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო თეორიული და ემპირიული სოციოლოგიის გაერთიანება, შემუშავდა რადენობრივი მეთოდოლოგია (განსხვავებით თვისებრივისაგან ე. დიურკემი, გ. ზიმელი, ფ. ტიონისი და მ. ვებერი), რომლის გამორჩეული წარმომადგენლებიც იყვნენ პ. ლაზარსფელდი, რ. მერტონი, ჯ. ლანდბერგი და სხვები.

თეორიული სოციოლოგიური აზრის ემპირიულ კვლევასთან დაკავშირების წარმატებული მცდელობა ჰქონდა ფრანგული სოციოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელს ემილ დიურკემს. ეს საშუალებას გვაძლევს, ისტორიულად განვსაზღვროთ მომენტი, როდესაც ფრანგულმა სოციოლოგიამ სწორი გზით იწყო განვითარება. თუმცა, ფილოსოფიამ მის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა, რათა მისი წარმოდგენები სოციოლოგიის, როგორც სოციალურ ფაქტებზე მეცნიერების ემპირიული საფუძვლის შესახებ კონკრეტულ კვლევებად ქცეულიყო. მისი მოსაზრებები გაცნობიერებულ ემპირიზმსა და გაუცნობიერებელ აპრიორიზმს შორის მერყეობდა.

ინგლისში მკვლევართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ჯონ ჰოვარდი იყო, რომელიც XVII საუკუნეში ცდილობდა ციხეების რეფორმას და ამ მიზნით ძალზე ობიექტურად და სისტემატიზებურად აგროვებდა ფაქტებს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ XIX საუკუნეში ჩარლზ და მერი ბუტების მიერ კონკრეტულ და სარწმუნო ფაქტებზე დაყრდნობით, დარიბი ხალხის მდგომარეობა გახდა აღწერის ობიექტი. 1910-იან წლებს მიეკუთვნება არტურ ბოულის ნაშრომი, რომელიც 5 საშუალო სიდიდის სამრეწველო ქალაქის შედარებით შესწავლას მიეძღვნა. სწორედ მან გამოიყენა პირველად სტატისტიკური შერჩევა (20-დან ერთი სახლის არჩევა) და შეეცადა ზუსტად დაეცვა მის მიერ გამოყენებული კვლევის ტექნიკა.

საფრანგეთში ფ. ლე პლემ გამოიყენა მეთოდი, რომელსაც ამერიკელებმა “case study” უწოდეს¹. მან მოუწოდა ეკონომისტებს, ინჟინრებსა და სოციოლოგებს, შეესწავლათ მშრომელთა ცხოვრების პირობები და შეეცადა, რადენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად გამოეყენებინა “ჩართული

¹ მას განიხილავდნენ, როგორც “მონოგრაფიულ კვლევას”

დაკვირვების” მეთოდი, აგრეთვე, სხვა ხერხებიც. მისი ოცწლიანი დაულაღავი კვლევის შედეგია ექვსტომეული ნაშრომი ”ევროპელი მშრომელები”.

ემპირიკოსთა შორის უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო ფრანგულ-ბელგიური წარმოშობის მეცნიერი, მათემატიკოსი, XIX საუკუნის გამოჩენილი სტატისტიკოსი ადოლფ კეტლე. სწორედ მის სახელს უკავშირდება მეცნიერების ისტორიაში სოციალური სტატისტიკის გადასვლა ფაქტების შეგროვებისა და აღწერიდან მყარ მაჩვენებლებს/ცვლადებს შორის კორელაციების დადგენამდე ანუ სტატისტიკურ კანონზომიერებამდე.

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანული სტატისტიკა წარმოადგენდა გეოგრაფიის, ისტორიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მედიცინის შესახებ ცნობათა კონგლომერატს, ხოლო ემპირიული სოციოლოგიის საწყისები XIX საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება და მომდინარეობს ფრანგული და ინგლისური ემპირიული სკოლების იდეებიდან. 1872 წელს გერმანიაში შეიქმნა ემპირიულ კვლევების ძირითადი და ფაქტობრივად ერთადერთი ცენტრი - “სოციალური პოლიტიკის საზოგადოება”, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ევროპულ ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამ საზოგადოების საქმიანობას უკავშირდება პოლიტეკონომიის გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლების, კერძოდ, გ. შმოლერის, ასევე, მ. ვებერის, ა. ვებერის, ფ. ტიონისის შემოქმედება. მისთვის დამახასიათებელი იყო მომავალი კვლევის პროგრამის წინასწარი კოლექტიური განხილვა, საკვანძო პრობლემების განსაზღვრა, რომლის შესახებაც ხდებოდა ინფორმაციის მოპოვება და ამ პრობლემების უშუალოდ ანკეტის კითხვებად ფორმულირება.

პირველად კვლევის მეთოდოლოგიაზე ყურადღების აქცენტირებას და კითხვების სწორად ჩამოყალიბებას ყურადღება მიაქცია მაქს ვებერმა, სწორედ, მისი წყალობით მოხდა აღნიშნული საზოგადოების ემპირიული მოღვაწეობის აყვანა თვისებრივად ახალ დონეზე. თავისი ცხოვრების განმავლობაში მაქს ვებერმა, პირდაპირ თუ ირიბად, ექვს კვლევაში მიიღო მონაწილეობა ის თვითონ ადგენდა კვლევის პროგრამებსა და ანკეტებს, გამოსცა ნაშრომი გერმანული სოფლის მეურნეობის მშრომელების შესახებ. იგი შესანიშნავად ფლობდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიას და შედარებით ისტორიულ მონაცემთა ანალიზს (Добренко, В., Кравченко, А., 2001).

მეთოდოლოგიურ პლანში დასავლეთ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს კონკრეტული კვლევების განვითარების კუთხით მაგალითს ყოველთვის აშშ აძლევდა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ემპირიული სოციოლოგიის განვითარების მსოფლიო ლიდერი აშშ გახდა. 1910 წლისთვის ქვეყანაში დაახლოებით 3000 ემპირიული კვლევა განხორციელდა უახლესი სტატისტიკური ტექნიკით. აშშ-ში, ისე როგორც საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, პირველი კვლევები მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ცხოვრების პირობების აღწერას წარმოადგენდა, რაც ხშირ შემთხვევაში ჰუმანური და პოლიტიკური მოტივებით და არსებული სიტუაციის რეფორმირების სურვილით იყო განპირობებული. თუმცა, ეს კვლევები უფრო ჟურნალისტური ხასიათის იყო, ვიდრე სოციოლოგიური. ჯ. ლანდბერგმა (30-იან წლებში) ჩამოაყალიბა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ცენტრალური პრინციპები: ოპერაციონალიზმი, კვანტიფიკაცია და ბიჰევიორიზმი. პ. ლაზარსფელდის, გ. ბლეილოკის, პ. ბრიჯმენის, უ. ოგბორნის, რ. მერტონის ძალისხმევით მათემატიკურ-სტატისტიკური და მეთოდოლოგიური ფუნდამენტი ჩაეყარა ემპირიულ სოციოლოგიას. მათემატიკის შეღწევამ სოციოლოგიაში ეს უკანასკნელი გაამდიდრა კლასტერული, ფაქტორული, კორელაციური და მონაცემთა ანალიზის სხვა მეთოდებით; ფსიქოლოგიასთან ურთიერთქმედებამ კი იგი მიიყვანა მოვლენათა გაზომვის ზუსტი მეთოდების განვითარებასთან, ასეთად შეიძლება დასახელდეს ტესტები, სკალები, სოციომეტრია, პროექციული, ფსიქოლიანგოსტიკური პროცედურები და სხვ.

1930 წელს, კრიზისის პერიოდში, გამოკითხვებმა აშშ-ში უფრო ფართე მასშტაბები მიიღო, თანაც გაიზარდა მათი ზემოქმედება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამ ტრანსფორმაციას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: ერთი მხრივ, მეთოდებმა სიზუსტის მაღალ ხარისხს მიაღწია, მეორე მხრივ საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფოს ფუნქციები. 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ამერიკელი სოციოლოგები თავიანთ კვლევებს უფრო მეცნიერულად მიუდგნენ. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ სხვის მიერ მოწოდებული ინფორმაციით და თვითონ მიდიოდნენ კვლევის ადგილებში, რათა დაკვირვებისა და მონაცემთა მოპოვების მეთოდებისთვის მეტი სიზუსტე შეეძინათ. ამით განვითარება დაიწყო სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა, რომლებიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, განსაკუთრებით კი, კვლევის იმ სახეებმა, რომელსაც ინგლისელებმა “საველე კვლევები” (field studies) უწოდეს.

ნებისმიერი ემპირიული გამოკვლევის ცნებითი სისტემის სტრუქტურა შედგება ქვესისტემებისგან. პირველი ქვესტრუქტურა მომდინარეობს თეორიული პარადიგმიდან, რომლის ფარგლებშიც მუშაობს სოციოლოგი, მეორე

საგნობრივი სფეროდან და საშუალო დონის თეორიებიდან, მესამეს განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების მეთოდის სპეციფიკა, მეოთხეს მონაცემთა ანალიზის ლოგიკა; და ბოლოს მეხუთე წარმოიშვება მათემატიკური კონსტრუქტების (მეთოდების, მოდელების) ენისაგან.

როგორც ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი (რუსული წარმოშობის) ჟ. გურვიჩი აღნიშნავდა, XX საუკუნის სოციოლოგიის ამოცანა არ არის გადაჭრას კაცობრიობის, პროგრესის ბედის, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კონფლიქტის, ფსიქიკურისა და სოციალურის, სოციოლოგიურ კანონზომიერებათა პრობლემები.

მაგრამ, თუ დავეუკვირდებით, გურვიჩის სიტყვებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გაჩნდეს შეკითხვა ყოველივე ეს როგორღა მოდის თანხმობაში სოციოლოგიური მეცნიერების მზარდ განვითარებასთან? დღეს სოციოლოგია არის თავისი კონცეპტუალური მარაგის, მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტარიების გადახედვისა და გადააზრების პროცესში.

ზემოთ აღნიშნული საკითხების კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. მეთოდოლოგიებისა და კვლევითი ინსტრუმენტების გადახედვის საკითხიც სწორედ მათ სრულყოფას ემსახურება, რამდენადაც რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევითი მიდგომების/სტრატეგიების გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, მოვიპოვოთ ინფორმაცია, რომელიც მაქსიმალური ადეკვატურობით გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს.

2. საზოგადოებრივი აზრი და სოციოლოგია

საზოგადოებრივი აზრი საზოგადოების ცნობიერების, ინტერესების, განწყობის, საზოგადოების ჯგუფების და კლასების განცდების, გრძნობებისა და დამოკიდებულებების რეალურ მდგომარეობას გადმოსცემს. ეს არის სოციალური ერთობების დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი.

ტერმინი ინგლისური წარმომავლობისაა და იგი პირველად, 1759 წელს თავის საპარლამენტო სიტყვაში გამოიყენა ჯონ სოლბერნმა.

რა არის მისი არსი? პირველ რიგში, ეს არის ადამიანთა აზრობრივი შემოქმედების შედეგი, მეორე საზოგადოებრივი აზრის ფომირებისას შერჩევის კრიტერიუმია საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები, მესამე მასობრივ მსჯელობებს სხვადასხვა ხარისხის ობიექტურობა აქვთ, ხანდახან, როცა მეცნიერულ ფუნდამენტს მოკლებულია, მცდარი აზრი იქმნება და განსჯის საგანიც ხდება, მეოთხე საზოგადოებრივი აზრი ადამიანებს პრაქტიკული საქმიანობისკენ უბიძგებს და ა. შ.

საზოგადოებრივი აზრის სუბიექტი არის ხალხი. ამ უკანასკნელს თავისი შიდა სტრუქტურა აქვს, რომლის ელემენტებსაც წარმოადგენს ჯგუფები, ცალკეული ფენები, სხვა ერთობები, ცალკეული ადამიანები. სწორედ ამ ჩარჩოებში იქმნება და ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი.

საზოგადოებრივი აზრის ობიექტი არის ის, რის გამოც ამ აზრის ფორმირება ხდება. რაც მეტად ეხება ობიექტი ადამიანთა ინტერესებს, მით მეტად რელიეფურად იკვეთება აზრი. იგი, შესაძლოა, სტიქიურადაც შეიქმნას და შეგნებულადაც. მისი ჩამოყალიბების ძირითადი საშუალებებია - მედია საშუალებები, პოლიტიკური აგიტაცია, ზეპირი პროპაგანდა, პირადი ურთიერთობები.

საზოგადოებრივი აზრის 5 ასპექტი

გელაპის გეგმა ითვალისწინებდა საზოგადოებრივი აზრის ხუთი განსხვავებული ასპექტის კვლევას. ესენია:

1. გამოკითხულის/რესპონდენტის ცოდნა საგნის შესახებ
2. მისი ზოგადი შეხედულებები
3. მიზეზები, თუ რატომ იზიარებს იგი ამ შეხედულებებს
4. მისი სპეციფიკური შეხედულებები პრობლემის სპეციფიკური ასპექტების შესახებ
5. გამოთქმული აზრის ინტენსივობა

სუთგანზომილებიან პლანში შეკითხვების ხუთი კატეგორია გამოიყენება: მფილტრავი, ღია, მიზეზობრივი, სპეციფიკური, შეხედულების ინტენსივობის გამომხატველი.

ამ გეგმას საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ეტალონი შეიძლება ეწოდოს. მაგრამ ახლა გამოკითხვის მრავალი სახე არსებობს: ღია რეგიონული და ზოგადნაციონალური გამოკითხვები; დახურული კონფიდენციური კლიენტის, ფირმების, ასოციაციების, კავშირების და სხვა ორგანიზაციების შეკვეთით და სხვ.

აშშ-ში ასეთ რეგულარულ საფუძველზე მუშაობს დ. გელაპის ინსტიტუტი, დ. ჰერისის, დ. იანკელოვიჩის ფირმა. აშშ-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტი და მსგავსი ორგანიზაციები დაწესებულებათა 5%-ს შეადგენს, 95%-ს ფირმები შეადგენს, რომლებიც კერძო კონფიდენციალურ დაკვეთებს ასრულებენ.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლისადმი დამოკიდებულება საინტერესოა პიერ ბურდიესთან. იგი თავის ნაშრომში “სოციალური სივრცე: ველი და პრაქტიკები” ერთ თავს უძღვნის იმის არგუმენტაციას, რომ საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, ანუ ეჭვქვეშ აყენებს მის არსებობას და გვაძლევს მისი დანიშნულებისა და ფუნქციონირების კრიტიკულ და მწვავე ანალიზს (Bourdieu, P., 1997). იგი ამოდის სამი ძირითადი პოსტულატიდან, რომლებიც ქვევით მოგვყავს:

1. ყოველი გამოკითხვა, აზრის გაგება გულისხმობს, რომ ყველას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი აზრი, ან სხვაგვარად თუ ვიტყვით, შეხედულების/აზრების წარმოება ყველასთვის არის ხელმისაწვდომი, რასაც პ. ბურდიე საკამათოდ მიიჩნევს.

2. ასევე გულისხმობს, რომ თითქოსდა ყველა აზრი მნიშვნელოვანია. მისი აზრით, ეს ასე არ არის და შეხედულებათა (რომელთაც ერთნაირი რეალური ძალა არა აქვთ) სუმირების/შეჯამების ფაქტს მივყავართ აზრსმოკლებული არტეფაქტების წარმოშობამდე.

3. ეს პოსტულატი ფარულად ვლინდება: ის მარტივი ფაქტი, რომ ყველას ერთი და იგივე შეკითხვა დაესმის, გულისხმობს ჰიპოთეზას კონსენსუსის არსებობის შესახებ პრობლემატიკასთან დამოკიდებულებაში, ანუ თანხმობაზე, რომ შეკითხვა იმსახურებს იმას, რომ დავევათ (დავუსვათ რესპონდენტებს).

სამივე პოსტულატი, ბურდიეს აზრით, დეფორმაციათა მთელ სერიას შეიცავს (წინასწარ განსაზღვრავს), რომლებიც თავს იჩენს იმის მიუხედავად, რაც არ უნდა მკაცრად იყოს შესრულებული მეთოდოლოგიური მოთხოვნები მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში.

საზოგადოებრივი კვლევებით შემოთავაზებული პრობლემატიკა, პ. ბურდიეს აზრით, პოლიტიკურ ინტერესებს ექვემდებარება და ეს აისახება, ერთსა და იმავე დროს, პასუხების მნიშვნელობებზე და იმ მნიშვნელობებზეც, რომლებიც შედეგების გამოქვეყნებას ენიჭება. საზოგადოებრივი აზრის ზონდაჟს პ. ბურდიე განიხილავს, როგორც პოლიტიკური მოქმედების ინსტრუმენტს და მიიჩნევს, რომ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ილუზიის შექმნა, რომ

საზოგადოებრივი აზრი არსებობს როგორც იმპერატივი, რომელიც ინდივიდუალური აზრების შეკრებით და იმ იდეის დანერგვით მიიღება, რომ არსებობს აზრების საშუალო არითმეტიკული ანუ საშუალო აზრი. პროცენტებში გამოხატული და გადმოცემული საზოგადოებრივი აზრი, რომლის მიწოდებაც მედიის მეშვეობით ხდება, წმინდა არტეფაქტია და მისი დანიშნულებაა, დაფაროს ის, რომ საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობა მოცემულ მომენტში არის ძალთა სისტემა და არაფერია იმაზე არაადეკვატური - გამოხატო საზოგადოებრივი აზრი პროცენტული დამოკიდებულებების საშუალებით... მისი ფუნდამენტური ეფექტი ასეთია” დაამტკიცო შეხედულება საზოგადოებრივი აზრის ერთსულოვნების შესახებ, ანუ მოახდინოს გარკვეული პოლიტიკის ლეგიტიმირება და განამტკიცო ძალთა დამოკიდებულება, რომელსაც ის ეფუძნება ან რომლებიც მას ხდიან შესაძლებელს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის პრაქტიკულ ასპექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის.

3. კვლევის მეთოდები. კვლევის სტრუქტურა, ტიპები და ფორმები

საზოგადოებრივი მეცნიერებები და კერძოდ, სოციოლოგია ნომოთეტურ მეცნიერებად ითვლებოდა, ანუ ისეთ მეცნიერებად, რომელიც შეისწავლიდა მოვლენის ზოგად, ჩვეულ და განმეორებად ასპექტებს, რომელსაც კანონების დადგენა თუ არა, განზოგადება და წინასწარ განჭვრეტა/დანახვა მაინც შეეძლო. მაგრამ ნებისმიერ მეცნიერებას აქვს ასევე იდეოგრაფიული ასპექტიც, ანუ გულისხმობს გარკვეული რაოდენობის ცალკეული ფაქტების შესწავლას. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ როგორც კი კონკრეტული კვლევების საკითხი დადგა დღის წესრიგში, ნომოთეტური მეთოდის უპირატესობა და გადაჭარბებული როლი ეჭვქვეშ დადგა.

მეთოდის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ვინდელბანდის შემოქმედებაში. იგი განიხილავდა კონკრეტულად ისტორიული მეცნიერების მეთოდის სპეციფიკის პრობლემას, რომელიც ტრანსცენდენტალური ღირებულებების გაცნობიერებისა და გარდაქმნა-დანერგვის პროცესია. გადამწყვეტ განსხვავებად “ბუნების შესახებ მეცნიერებებსა” და “გონის შესახებ

მეცნიერებებს” (დილთეის ტერმინოლოგიით) შორის იგი მეთოდის მიხედვით განსხვავებას მიიჩნევდა. თუკი საბუნებისმეტყველო მეთოდი ზოგადი კანონების გამოვლენაზეა ორიენტირებული, ისტორიულ ცოდნაში ინდივიდუალური მოვლენების აღწერაა აქცენტირებული. პირველ მეთოდს ვინდებლანდმა ნომოთეტური, ხოლო მეორეს იდეოგრაფიული უწოდა. იგი მიიჩნევდა, რომ ერთი და იმავე საგნის კვლევა ორივე მეთოდით არის შესაძლებელი, თუმცა ნომოთეტურ მეცნიერებაში პრიორიტეტულია კანონმდებარე მეთოდი; ისტორიული ყოფის საიდუმლოებები, რომლებიც თავისი ინდივიდუალური განუმეორებლობით ხასიათდება, მხოლოდ იდეოგრაფიული მეთოდით მიიღწევა, რამდენადაც ზოგადი კანონები, პრინციპში, არათანაზომადია ერთეულ კონკრეტულ არსებობასთან. აქ ყოველთვის არის რაღაც, რაც ზოგადი ცნებებით ვერ გამოიხატება და ადამიანის მიერ გაცნობიერებულია როგორც “ინდივიდუალური თავისუფლება”. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ორი მეთოდის დაყვანა რაიმე ერთ საფუძველზე შეუძლებელია.

ნომოთეტური მეთოდი ორიენტირებულია პიროვნების, როგორც თვისებათა და მახასიათებელთა ერთობლიობის გაგებაზე ნორმასთან შეპირისპირების გზით, რათა გამოავლინოს ყველასთვის საერთო პიროვნული თვისებები.

რაოდენობრივ მეთოდებს მიაკუთვნებენ ნომოთეტური მეთოდების კლასს ეს არის ობიექტური პარადიგმა (სტანდარტიზებული ტესტები ნორმასთან შედარებისთვის). ტარდება მაშინ, როდესაც აუცილებელია რაოდენობრივი დამოკიდებულებების გარკვევა ამა თუ იმ პრობლემისადმი და პასუხობს კითხვებს რამდენი? რა სისწირით?

იდეოგრაფიული მეთოდით ხდება პიროვნების, როგორც ერთიანი სისტემის, გაგება პიროვნების ინდივიდუალური თვისებების გამოვლენის გზით.

თვისებრივი მეთოდები კი იდეოგრაფიულ სახეობას მიეკუთვნება ეს არის სუბიექტური პარადიგმა (დაუსრულებელი ფრაზები, პროექციული მეთოდიკები). ტარდება, როცა აუცილებელია ქცევითი მოდელების გარკვევა. ეს არის შინაარსობრივი კვლევა და პასუხობს კითხვებს - რა? რატომ?

სოციოლოგია, როგორც მეცნიერული ცოდნის დამოუკიდებელი დარგი, თავისი საგნის შესასწავლად სპეციფიკური მეთოდების ერთობლიობას მოიხმარს და როგორც ცნობილია, ისინი თეორიულად და ემპირიულად იყოფა.

თეორიული კვლევის ინსტრუმენტს სოციოლოგიაში, ისე როგორც ფილოსოფიაში რეფლექსია წარმოადგენს, რაც შესწავლისა და შედარების გზით რაიმეს გააზრების პროცესს ნიშნავს. ახალი მეცნიერული ცოდნის გენერირება ხდება არსებული თეორიების, სხვადასხვა მეცნიერთა იდეების საფუძველზე.

თეორიულ მეთოდებთან ერთად სოციოლოგია იყენებს ემპირიულ მეთოდებს, რომლის ამოსავალ მასალას წარმოადგენს მსჯელობები, განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები, სოციალური ფაქტები, აზრობრივი ინდიკატორები, მოვლენები და პროცესები, რომლის მიღებასა და სისტემატიზებასაც ცდილობს სოციოლოგი გარკვეული მეთოდების მეშვეობით, როგორც არის პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები.

მეთოდების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს სოციოლოგიურ გამოკვლევებში ფართოდ გამოყენებული მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები, რაც პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის და, აგრეთვე, მიღებული მონაცემების ვერიფიკაციის საშუალებას იძლევა.

სოციოლოგიური კვლევის სახეები - კვლევის საგნის ანალიზის სიღრმის, აგრეთვე, გადასატრედი ამოცანების ხასიათის მიხედვით ემპირიული სოციოლოგიური კვლევის შემდეგ სახეებს განასხვავებენ:

- დაზვერვითი (პილოტაჟური) კვლევა;
- აღწერითი კვლევა;
- ანალიტიკური კვლევა.

დაზვერვითი ანუ პილოტაჟური კვლევა საცდელი სახეა, რომლის დანიშნულებაც არის კვლევის მომზადების ხარისხის შემოწმება. იგი უფრო გამარტივებული პროგრამითა და შეკვეცილი ინსტრუმენტით არის წარმოდგენილი. ამგვარი კვლევა საშუალებას იძლევა დაზუსტდეს მიზნები, ჰიპოთეზები, კვლევის ამოცანები, ანუ ხდება კვლევის ინსტრუმენტის გამოცდა, დახვეწა და დაზუსტება. საკვლევი ერთობლიობის მოცულობა მსგავს კვლევებში დიდი არ არის და 20-დან 80-მდე რესპონდენტს შეადგენს.

აღწერითი კვლევა შედარებითი რთული სახეობაა. მისი მიზანი ისეთი ემპირიული ცნობების მოძიებაა, რომლებიც შედარებით ერთიან წარმოდგენას ქმნიან შესასწავლი ობიექტებისა და მისი სტრუქტურული ელემენტების შესახებ. მან უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული განწყობები და ტენდენციები. იგი

საკმაოდ დაწვრილებით შემუშავებული პროგრამისა და უკვე აპრობორებული კვლევის ინსტრუმენტის საფუძველზე ხორციელდება.

ანალიტიკური კვლევა ზემოთ ჩამოთვლილთა შორის კვლევის ყველაზე ჩაღრმავებულ სახეს წარმოადგენს. მისი მიზანია არა მხოლოდ აღწეროს შესასწავლი სოციალური ფენომენის სტრუქტურა, არამედ განსაზღვროს და ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მის ძირითად რაოდენობრივ და თვისებრივ პარამეტრებს, მის ხასიათსა და სპეციფიკას განაპირობებენ. ახსნა კი, თავის მხრივ, თეორიის შემუშავებასა და შემოწმებას გულისხმობს, რომლის საფუძვრებრივი კომპონენტების გამოყოფა საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი დ. ვაუსს (De vaus, D. 2002)

ემპირიული სოციოლოგიური კვლევის სტრუქტურა ნებისმიერი ემპირიული სოციოლოგიური კვლევის საწყის ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს საკვლევი პრობლემა, კვლევის ობიექტი და საგანია.

საკვლევი პრობლემის შესწავლას სოციოლოგი ემპირიული კვლევის მეშვეობით ახდენს. “საკვლევი პრობლემის ზუსტ, მკაფიო ფორმულირებასა და მისი აქტუალობის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს კვლევის პროცესისათვის.

სწორედ საკვლევი პრობლემის აქტუალური ასპექტების მიხედვით უნდა შეირჩეს კვლევის ობიექტი – ის სოციალური რეალობა, რომლის კვლევა-ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის ოპტიმალურ საშუალებას მოგვცემს.

ნებისმიერი სოციალური რეალობა კომპლექსური ხასიათისაა. მისი ყველა პარამეტრის აღწერა/დახასიათება შეუძლებელია და არც არის საჭირო.

არაარსებითი პარამეტრების შესწავლა მხოლოდ ზედმეტად გაართულებს, ხელს შეუშლის კვლევის პროცესს. ამიტომ, უნდა დაკონკრეტდეს კვლევის საგანი ანუ ის, თუ რა ასპექტით შევისწავლოთ შერჩეული ობიექტი.

კვლევის ეფექტურად წარმართვისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია კვლევის მიზნის ფორმულირება.

ემპირიული სოციოლოგიური კვლევის მიზანი შეიძლება იყოს გარკვეული სოციალური პროცესების რეგულირება, მართვა, პროგნოზირება და სხვა.

კვლევის მიზნის ზუსტი ფორმულირება მომდევნო ეტაპების მიზანმიმართულად წარმართვის, ცალკეული ასპექტების აქცენტირების საშუალებას იძლევა.

კვლევის მიზნის შესაბამისად ხდება იმ კონკრეტული ნაბიჯების ანუ კვლევის ამოცანების ჩამოყალიბება, რომელთა განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს მიზნის მიღწევა” (დურგლიშვილი, ნ. 2006).

4. რაოდენობრივი და თვისებრივი ტრადიცია ისტორიული წანამძღვრები

ტერმინები “კვლევის თვისებრივი მეთოდები” და “თვისებრივი სოციოლოგია” დღეს სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგიური პუბლიკაციების ლექსიკონში მყარად დამკვიდრდა. დიდი ხნის განმავლობაში დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში გაბატონებული იყო პოზიტივისტური მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებული იყო საბუნებისმეტყველო კვლევით სქემებზე, კრიტერიუმებსა და სტანდარტებზე. მრავალი წლის განმავლობაში ემპირიულ სოციოლოგიაში დომინანტური პოზიცია ეკავა კვლევებს, რომელთა მიზანსაც შეადგენდა წამოყენებული ჰიპოთეზების შემოწმება ფორმალისტული მეთოდებისა და გაზომვითი პროცედურების დახმარებით. ტრადიციული ემპირიული სოციოლოგიის, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც რაოდენობრივი, პოზიტივისტური, ნორმატული და ა.შ. იწოდებოდა, გამძაფრებული კრიტიკა მხოლოდ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ძირითადად, იგი მომდინარეობდა ფენომენოლოგიური, ინტერნაციონალისტული და ეთნომეთოდოლოგიური მიმართულებებიდან/მიმდინარეობებოდან და მიმართული იყო არა მხოლოდ სოციოლოგიურ კვლევებში გამოყენებულ ფორმალიზაციისა და კვანტიფიკაციის პროცედურებზე, აგრეთვე, სოციალური რეალობის ბუნების საბაზისო (ხშირად იმპლიციტურ) წანამძღვრებზე, რომლებიც რაოდენობრივი მიდგომის საფუძველში დევს. პოზიტივისტური ორიენტაციის სოციოლოგიასთან დისკუსიის პროცესში ვითარდებოდა არა მარტო ალტერნატიული თეორიული პროგრამები, არამედ სორციელდებოდა აქტიური საველე სამუშაოები, რომელშიც უპირატესობა ენიჭებოდა მონაცემთა მოპოვების/შეგროვების ე.წ. თავისუფალ, არასტრუქტურირებულ, ინტერპრეტაციულ/-ტორულ, თვისებრივ მეთოდებს. საბოლოოდ, ამ კვლევითი სფეროს განხილვა/აღიარება მოხდა როგორც სოციოლოგიის სავსებით დამოუკიდებელი დარგისა, რომელსაც

გააჩნია თავისი საკუთარი თეორიული, მეთოდოლოგიური და მეთოდური არსენალი. მის დასახასიათებლად დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი “თვისებრივი სოციოლოგია”, დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში იგი წარმოადგენს სამეცნიერო მიმართულებას, რომელსაც აქვს პარადიგმული მახასიათებლები, რაც თეორიული კონცეპციების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და კვლევის კონკრეტული მეთოდების ურთიერშეკავშირებულობითა და ერთიანობაში ვლინდება”.

თეზისი სოციოლოგიის თეორიული, საგნობრივი და მეთოდური არაერთგვაროვნების შესახებ ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ნებისმიერი მეთოდის შესაძლებლობები და მისი როლი სხვა მეთოდებს შორის არ შეიძლება გაგებულ იქნეს სწორად, მისი წარმოშობისა და იმ ამოცანების კონტექსტიდან ამოვარდნილად, რომლებიც მას თავდაპირველად უნდა გადაეჭრა, ასევე, თუ არ გავითვალისწინებთ ამ მეთოდის “ექსპანსიის” პროცესებს სხვა საგნობრივ სფეროებზე.

თუ მაქსიმალურად გავამარტივებთ, ემპირიული სოციოლოგიის მეთოდების განვითარების ისტორია მისი ჩასახვის მომენტიდან დღევანდებამდე ამგვარად გამოიყურება.

როგორც ცნობილია, ძირითად ემპირიულ მეთოდად, რომლითაც პირველი თაობის სოციოლოგები (ფ. ტიონისი, ე. დიურკემი, გ. ზიმელი და სხვები) სარგებლობდნენ, მიხნეულია/ითვლება დაკვირვება, თანაც არა ჩართული დაკვირვება ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ ყოველდღიური, ყოფითი, “ცხოვრებისეული”, რომელსაც ემატებოდა ლიტერატურის შესწავლა, კოლექტებთან ურთიერთობა და სხვ.

სოციოლოგიურ საქმიანობაში სისტემატური ემპირიული მასალის გამოყენების პირველი მცდელობები XX საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. იმ დროისთვის ემპირიულ მონაცემთა ძირითადი სახეები იყო წერილები, დღიურები, სასამართლო საქმეები, ზეპირი ისტორიები, მოგვიანებით - ავტობიოგრაფიები, კიდევ უფრო გვიან - სპეცსამსახურებიდან მოწოდებული აგენტურული საქმეები მეთოდები, რომელიც ჩართულ დაკვირვებად შეიძლება განვიხილოთ. ასე რომ, პირველი ეტაპი შეიძლება განვიხილოთ როგორც თვისებრივი. მაშინდელი კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება დამნაშავეობის სოციალური

მიზეზების შესწავლა იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და მოზარდებს შორის. მოგვიანებით, “დიდი დეპრესიის” დასაწყისიდან მოყოლებული, ჩრდილოვანი ეკონომიკის კრიმინალური მხარეების ფოკუსირება მოხდა.

რაოდენობრივი ფორმალიზებული გამოკითხვები აშშ-ში 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამ სახემ მალევე ჰპოვა გავრცელება და დამკვიდრდა. მნიშვნელოვანია, რომ რაოდენობრივი გამოკითხვების წარმოშობის სფეროს თავიდან არაფერი ჰქონია საერთო სოციოლოგიის დამფუძნებელი მამების თეორიულ შრომებთან, არც პირველ ემპირიულ კვლევებთან, რომლებიც, თავის მხრივ, დამნაშავეთა პიროვნების გენეზისსა და იმ წლებისათვის დამახასიათებელ სხვა პრობლემებს (რაც მაშინ შეისწავლებოდა) ეძღვნებოდა. ამავე წლებს მიეკუთვნება აუდიტორიების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და რეკლამის რაოდენობრივი შესწავლის მცდელობები.

მიჩნეულია და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ახალმა რაოდენობრივმა მეთოდებმა არსებითად შეავიწროვა წინა “თვისებრივი” ტრადიცია, თავის თავისკენ მოიზიდა და გადმონაცვლა საზოგადოებრივი ინტერესების ფოკუსი, აქედან გამომდინარე, ფინანსური და სხვა რესურსები. აქვე აღსანიშნავია, რომ ევროპული სოციოლოგიური სკოლები, რომლებიც, შესაძლებელია, ამერიკულის ალტერნატიული ყოფილიყო, ამ დროს ომისშემდგომ ეკონომიკურ კრიზისში მოექცნენ და საბოლოოდ განადგურდნენ II მსოფლიო ომის გამო. ომის შემდგომ ევროპაში რამდენიმე ათწლეულით დამკვიდრდა “ამერიკანიზაციის ეპოქა” ანუ, როცა კვლავ წამოწეულ ევროპულ სკოლებს შეეძლოთ მხოლოდ ამერიკული მიღწევების რეციპიენტები ყოფილიყვნენ (Белановский А.1996).

მასობრივი გამოკითხვების შემუშავება და დამკვიდრება დიდ ტექნოლოგიურ მიღწევად მოგვევლინა, რომლის საფუძველზეც განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი ეკონომიკური დარგი “გამოკითხვების ინდუსტრია” ჩამოყალიბდა, რაც თანამედროვე საზოგადოების განუყოფელ ელემენტად იქცა. ამ დარგის მნიშვნელობა არსებითად მას მერე გაიზარდა, რაც მასობრივი გამოკითხვების საფუძველზე დაიწყო რეგულარული მარკეტინგული კვლევები, რომლებიც დამატებით მძლავრ (და პოლიტიკასთან შედარებით უფრო სტაბილურ) დაფინანსების წყაროდ იქცა.

სოციოლოგიური განათლების სისტემა, რა თქმა უნდა, ვერ დარჩებოდა ამ პროცესებს მიღმა. ფორმალიზებული გამოკითხვის მეთოდები, მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების მეთოდების ჩათვლით, სოციოლოგიური განათლებისა და აკადემიური სოციოლოგიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ფორმალიზებული გამოკითხვის შედეგები აღმოჩნდა ინფორმაციის მასივები, თანაც საკმაოდ მოხერხებული სხვადასხვა მათემატიკური ოპერაციებისათვის, მათ შორის ეგმ-ს საშუალებით. ასე გაჩნდა მათემატიკური სოციოლოგია, რომელსაც თავისი მიღწევები ჰქონდა, მაგრამ მან ისე ძლიერ მოახდინა სოციოლოგიური განათლების პროცესის ფორმალიზება, რომ მასში ჰუმანიტარული მიმართულებები შეავიწროვა.

მასობრივი გამოკითხვების ტექნოლოგიამ და მისმა თანმხლებმა მათემატიკურმა მეთოდებმა დიდი გავლენა მოახდინა მთლიანობაში სოციოლოგიაზე მისი ყველა დარგის ჩათვლით. ეს გავლენა უდავოა, მაგრამ არაერთმნიშვნელოვანი. ჩვენი მიზნებისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმის დადგენა, სად და რატომ წარმოიშვა (გაჩნდა) “მკვლევართა მზარდი დაუკმაყოფილებლობა მასობრივი გამოკითხვების ზედაპირულობით”.

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ თუ 50-იან წლებამდე გამარტივებულად შეგვეძლო ემპირიული სოციოლოგიის განხილვა, როგორც რაღაც ერთიანის და მასში თვისებრივი და რაოდენობრივი პერიოდის გამოყოფა, შემდგომ ასეთი გამარტივება არამართებულია. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მეთოდური დინამიკის განხილვა, სულ მცირე სამ ავტონომიურ სფეროში: თეორიულ სოციოლოგიაში, სოციოლოგიური განათლების სისტემასა და კომერციულ სოციოლოგიურ კვლევებში (Bozon, M. 1992).

თეორიული სოციოლოგიის და მასთან დაკავშირებული ემპირიული კვლევების განვითარება მარკეტინგული საგან დამოუკიდებლად/ავტონომიურად ხდებოდა და ეს საკმაოდ რთული გზა აღმოჩნდა.

30-იან წლებში აშშ-ში ჩამოყალიბდა ძლიერი თეორიული სკოლა სტრუქტურულ-ფუნქციონალურის სახელწოდებით. ამავე პერიოდში ძალიან მაღალ დონეზე გამოვიდა სხვა სოციოლოგიური სკოლებიც, რომლებიც უკავშირდებოდა ორგანიზაციის კვლევებს, კულტურულ-ანთროპოლოგიურ კვლევებს და სხვა კერძო მიმართულებებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს მიმართულებები ხასიათდებოდა არა მარტო მაღალი თეორიული, არამედ ძალზე მაღალი მეთოდოლოგიური კულტურითაც. ამიტომ მათთვის პრიმიტიული “რაოდენობრივი” ან პოზიტივისტური ორიენტაციების მიწერა უხეში შეცდომა იქნებოდა. აღნიშნული სკოლები საკმაოდ მაღვალკვალიფიციური იყვნენ (Lazarsfeld P., 1987), ისინი სრულყოფილად ფლობდნენ ემპირიული მეთოდების მთელ არსენალს, მათ მოდიფიკაციასა და კომბინირებას კვლევების საჭიროების

შესაბამისად ახდენდნენ. ემპირიული კვლევებისას ძირითადი საშუალებები იყო: დაკვირვება (ჩართული და ყოველდღიური), ინდივიდუალური არაფორმალური ინტერვიუ, ფორმალური რაოდენობრივი გამოკითხვები. რაც შეეხება ჯგუფურ ინტერვიუს, იგი მაშინ ნაკლებად გამოიყენებოდა და იმ დროის თეორეტიკოსებისა და ემპირიკოსების ყურადღებას არ იპყრობდა.

სოციოლოგიურ თეორიაში ემპირიული გამოკვლევების როლის სწორედ გაგებისთვის, აღსანიშნავია. რომ “შეცნიერების თეორიული დონე შედარებით დამოუკიდებელია, მას განვითარების უნარი ისეც აქვს, ემპირიული კვლევების მონაცემებზე რომ არ დაეყრდნოს, რამდენადაც თეორიული და ემპირიული ჰიპოთეზები შეიძლება ცნების შინაარსის დაზუსტებისა და განვითარების შედეგად გაჩნდეს და არა იმ მოვლენათა შორის კავშირების ემპირიული ანალიზის შედეგად, რომლებშიც მოხდა ამ ცნებების ოპერაციონალიზაცია.”

იდეური კონფლიქტი “რაოდენობრივსა” და “თვისებრივ” სოციოლოგიას შორის 60-იანი წლების ბოლოს სტრუქტურული ფუნქციონალიზმის კრიტიკის ფონზე (დროს) აღინიშნა იმ წლებში გამოჩენილი ფენომენოლოგიური სოციოლოგიის და მასთან დაკავშირებული მიმართულებების მხრივ. ფენომენოლოგების კრიტიკას 2 ასპექტი ჰქონდა: თეორიული და მეთოდიკური. ჩვენს თემასთან უშუალო კავშირშია მეთოდიკური ასპექტები. ჩვენი ვარაუდით, მეთოდიკურ რევოლუციას, რომელიც თეორიულს პარალელურად მიმდინარეობდა, ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: 1. საკმაოდ ცხადი ის იყო, რომ ფენომენოლოგიური ორიენტაციის მომხრეთათვის “ცოცხალი ენა” და “ცოცხალი დაკვირვება” გაცილებით რელევანტური იყო მათი თეორიული შეხედულებებისა, ვიდრე ფორმალური გამოკითხვების მონაცემები; 2. მოგვიანებით, ეთნომენოლოგიური სოციოლოგიის ფუძემდებელთა ნაშრომების გავლენით ინტერესი ბიოგრაფიული და ზეპირი ისტორიების მეთოდების მიმართ საკმარისად გაღვივდა და ორივემ არსებითი მეთოდიკური და თეორიული განვითარება ჰპოვა.

I - თუ ზემოაღნიშნულ იდეოლოგიურ საკითხებს არ ჩავთვლით, მეთოდური საკითხების ფოკუსის გადანაცვლების პროცესი მთლიანობაში ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც კონცეპტუალური წარმოდგენების ყოველი სპეციფიკური სისტემის და მისი შესატყვისი სპეციფიკური ობიექტისთვის არსებობს მეთოდების ბუნებრივი წონასწორობა, რომელიც იდეოლოგიური მიდრეკილებებით კი არ განისაზღვრება, არამედ

შესასწავლი პრობლემის ობიექტური თვისებებით (ამას ფენომენოლოგიური სოციოლოგიის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ). სრული სურათის შესაქმნელად დავამატებთ, რომ ჩვენი აზრით, თეორიული სოციოლოგიის სფეროში რაოდენობრივი მეთოდების მიმართ ინტერესის დაქვეითება ამ მეთოდების რელევანტურობის ზონებისადმი ინტერესის დაცემას უკავშირდება და არა ამ პრობლემური ზონების (როგორც ასეთის) გაქრობას (Дмитриева, Е. 1999).

რაოდენობრივი მეთოდების კრიტიკის II მიზეზი, როგორც ჩანს, პირველზე უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ დრომდე ცუდად გაცნობიერებული ისაა, რომ ფენომენოლოგიური ორიენტაციის თეორეტიკოსები, უკიდურეს შემთხვევაში, მათგან უფრო ახალგაზრდები, გამოდიოდნენ “სოციოლოგიური ისტებლიშმენტის” წინააღმდეგ. ისინი ერთ ობიექტად აერთიანებდნენ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თეორიულ სოციოლოგიას და რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში გავრცელებულ ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის სწავლების მეთოდებს. რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდების მოჭარბება თეორიულ სოციოლოგიას არანაირად არ ახასიათებდა, მას ადგილი ჰქონდა სოციოლოგთა მეთოდური განათლების სისტემაში, რომელსაც საფუძვლად ხელოვნური ჰიბრიდი ედო გამოყენებით რაოდენობრივ მეთოდებსა და მათი ვალიდურობის დასაბუთებებს შორის პოზიტივისტური ფილოსოფიის ჭრილში, ისე რომ გამოყენებითი გამოკვლევების რეალური სპეციფიკა ამგვარ აღწერებში თითქმის იგნორირებული იყო.

პოზიტივისტური მეთოდოლოგიური კონცეფციის ძირითადი ნაკლია ის, რომ იგი კონცენტრირდებოდა გაზომვის სიზუსტესა და ჰიპოთეზების მათემატიკურ შემოწმებაზე, არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა არის შინაარსობრივი თეორიები და ჰიპოთეზები და საიდან ჩნდებიან ისინი? სოციოლოგიური განათლების სისტემის ასეთ არაადექვატურობას ღრმა მიზეზი გააჩნია. სოციოლოგიის, როგორ მეცნიერული დისციპლინის ე.წ. “ტრაგედია” ისაა, რომ მრავალრიცხოვან დიდ თეორიულ შრომებთან ერთად, მან ვერ შექმნა თეორიული სახელმძღვანელოს ჟანრი, რომელშიც მისი შრომების ადეკვატური განზოგადება მოხდებოდა. ამის შედეგად სოციოლოგთა ყოველი ახალი თაობა თავისი პროფესიული ზრდის პროცესში იძულებულია თვითგანათლებას დაეყრდნოს. აქედან გამომდინარეობს სოციოლოგიის პერიოდული იდეოლოგიზაცია, “თაობათა კონფლიქტი”, აღმასვლის და დაცემის პერიოდები, მკვეთრი იდეოლოგიური შემობრუნებები და ა.შ. აქედანვე გამომდინარეობს შესამჩნევი გადახრა სოციოლოგიური განათლების კვლევის მეთოდების

შესწავლისაკენ, რომლის საშიშროებაც არაორაზროვნად გამოხატა ეკონომისტმა ფ. ხაიეკმა: “საუბედუროდ, კვლევითი სამუშაოს ტექნიკური ხერხები შედარებით იოლად ასათვისებელია, ამიტომაც მასწავლებლის მდგომარეობაში ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ფლობენ ტექნიკას, მაგრამ სუსტად ერკვევიან კვლევის საგანში, ამიტომაც მათი შრომა, მეცნიერულობის თვალსაზრისით, შეუმდგარი, უძლური აღმოჩნდება” (Общество свободных, 1990).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა შევეცადოთ განვსაზღვროთ ის რეალური სფერო, რომლისადმიც გამოკითხვების რაოდენობრივი მეთოდების კრიტიკა მართლაც საფუძვლიანი იქნებოდა. ასეთი კრიტიკა ნამდვილად არ იყო მიმართული ორგანიზებული კომერციული გამოკითხვებისადმი, რომლებიც ავტონომიურად ხორციელდებოდა, რომელთაც ჰქონდათ დაფინანსების დამოუკიდებელი წყაროები და წარმატებით წყვეტდნენ პრაქტიკულ ამოცანებს. ამას გარდა, თვისებრივი მეთოდები აქტიურად გამოიყენებოდა კომერციულ გამოკითხვებში 50-იანი წლების დასაწყისში, ანუ აკადემიური დებატების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე.

მეორე მხრივ, მეთოდური კრიტიკის ობიექტი არ იყო სტრუქტურულ-ფუნქციონალური სოციოლოგია, რომელიც სოციოლოგიური მეთოდების არსენალით, რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკითხვების ჩათვლით, კორექტულად და რეფლექსიის მაღალი დონით სარგებლობდა. მიუთითებთ, რომ ჩვენთვის ცნობილი არ არის არც ერთი პუბლიკაცია, რომელშიც მეთოდური თვალსაზრისით იმ რაოდენობრივი გამოკითხვების შედეგები ყოფილიყო გაკრიტიკებული, რომლებიც საფუძვლად რ. მერტონის, პ. ლაზარსფელდის, ს. სტაუერის და სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიმდინარეობის ცნობილ სოციოლოგთა თეორიულ შრომებს დაედო. უფრო ნაკლები საფუძველია, მეთოდური კრიტიკის ობიექტად ორგანიზაციების სოციოლოგია ჩავთვალოთ, რამდენადაც ამ სფეროში, მართალია, ფორმალისტული მასობრივი გამოკითხვები გამოიყენებოდა, მაგრამ ისინი არასოდეს ყოფილან გაბატონებული (გამონაკლისია სხვადასხვა ანკეტები და ფორმულარები, რომლებიც ძნელად თუ ჩაითვლება და დახასიათდება სოციოლოგიურად). რაც შეეხება III მაღალგანვითარებულ კულტურულ-ანთროპოლოგიურ სკოლას, იგი არასოდეს განიცდიდა რაოდენობრივი მეთოდების ზეწოლას, რაზეც კ. ლევი-სტროსის სიტყვებიც მიუთითებს: “კორელაციის არსებობის ნამდვილობა (ჭეშმარიტება), რომელიც შთამბეჭდავ სტატისტიკურ მონაცემებს ემყარება, საბოლოოდ დამოკიდებულია იმ მოვლენათა წინასწარი გამოყოფის სისწორეზე, რომელთა

შორისაც მყარდება კორელაციები, რაც მოჭადობელი წრის საშიშროებას ქმნის... სტატისტიკური მეთოდი ყოველთვის ეფექტურია არასწორი კორელაციების აღმოსაჩენად “(Леви-Стросс, 1985).

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ, რომ მზარდი დაუკმაყოფილებლობა, რომელიც რაოდენობრივი გამოკითხვების ზედაპირულობით იყო გამოწვეული, არ ეხებოდა არც კომერციული გამოკითხვების სფეროს და არც იმ წლების კვლევითი სოციოლოგიის თეორიულ-ემპირიულ მიმართულებებს, გვრჩება დავასკვნათ, რომ ამ დაუკმაყოფილებლობას იწვევდა, პირველ რიგში, თვით საუნივერსიტეტო გარემოში მეთოდიკური საკითხების სპეციფიკური გაშუქება, ანუ სოციოლოგიის სწავლების სფეროში; და ასევე ნაშრომების ზედაპირულობა, რომლებიც სრულდებოდა სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკაში.

ამ დასკვნის საფუძველზე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მიმდინარე სოციოლოგიური პერიოდიკა საკმაოდ იტვირთებოდა არაადეკვატურად ორიენტირებული მკვლევრების პუბლიკაციებით, ძირითადად - ახალგაზრდებით. პრინციპში, ასეთი მოვლენა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ეს პუბლიკაციები იმავდროულად სასწავლო ფუნქციას ასრულებდნენ. თუმცა, მათში რაოდენობრივი ინსტრუმენტების არაადეკვატური და არაკრიტიკული გამოყენება თვალშისაცემია და ამიტომაც, კრიტიკის ბუნებრივ სამიზნედ იქცა. მეთოდურ ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა გამოკითხვის შედეგების მაგალითები, რომლებშიც რაიმე გარკვეული აზრის დაჭერა ძნელია.

მას შემდეგ, რაც აკადემიურ სოციოლოგიაში თვისებრივი მეთოდებისკენ ორიენტაციის მიზეზები დავახასიათეთ, შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა წვლილი შეიტანა ამ პროცესში მარკეტინგული გამოკითხვების სფერომ. კვლავაც აღვნიშნავთ იმის მიუხედავად, რომ ეს ორივე სფერო (რაოდენობრივი და თვისებრივი) ერთმანეთზე გარკვეულ და დროდადრო არსებით გავლენას ახდენენ, მათი განვითარების დინამიკა ყველა არსებითი ნიშნის მიხედვით ავტონომიურია. ამის ნათელ ილუსტრაციას მათი სარესურსო დინამიკის მაჩვენებლებში განსხვავება წარმოადგენს. 40-60-იანი წლების დასავლური თეორიული სოციოლოგიის “ოქროს ხანასთან” შედარებით, 80-იან წლებში მკვეთრად დაეცა მისი საზოგადოებრივი პოპულარობა, შემცირდა სოციოლოგიის შემსწავლელ სტუდენტთა რაოდენობა, გაიზარდა პროფესორთა საშუალო ასაკი, დავიწროვდა ფუნდამენტური თეორიული შრომების მკითხველი აუდიტორია,

შემცირდა ასიგნებები (Giddens, A., 1993). 60-იანი წლების საუნივერსიტეტო რევოლუციამ სოციოლოგიაში დარგობრივი დეპრესიის კლასიკურ ფორმასთან მიგვიყვანა. მხოლოდ შემდგომ წლებში ხდება შესაძლებელი მისი გადალახვა, თანაც, პირველ რიგში, იმ საგანთა ხვედრითი წილის ზრდის ხარჯზე, რომლებიც გამოყენებით და კომერციულ მიზნებზეა ორიენტირებული.

რაც შეეხება კომერციულ გამოკითხვებს, მათი რაოდენობა ომის შემდგომ პერიოდში გაიზარდა, თავისი ტემპებით გაუსწრო ეკონომიკის ზრდას მთლიანობაში და არავითარი დეპრესიის ნიშანი არ დატყობია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XX საუკუნის 20-იან წლებში კომერციული კვლევების სფერომ შექმნა მასობრივი რაოდენობრივი გამოკითხვების ტექნოლოგია და იგი მთელ სოციოლოგიაზე გაავრცელა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ახალი საგნობრივი სფეროს, კერძოდ, მარკეტინგული კვლევების ათვისებისას, პირველ რიგში სწორედ კომერციულმა სფერომ განიცადა უკმარისობა და რაოდენობრივი აპარატის არაადეკვატურობა, თანაც წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ სფეროში, ძირითადად, დამატებით მეთოდად არა ზოგადად თვისებრივი მეთოდები იქცა, არამედ - ფოკუს-ჯგუფები, ასევე, თუმცა ნაკლებად - ინდივიდუალური არაფორმალური ინტერვიუ. ფოკუს-ჯგუფების შესახებ თანამედროვე მონოგრაფიების ყველა ავტორი ერთი აზრისაა იმაში, რომ აშშ-ში ფოკუს-ჯგუფები აქტიურად გამოიყენებოდა მარკეტინგულ კვლევებში 50-იანი წლების შუა პერიოდიდან, ზოგიერთის აზრით კი - 40-იანი წლების ბოლოდან (Goldman, Macdonald, 1987.).

თ ა გ ი II

1. რაოდენობრივი კვლევითი სტრატეგია ფუქციები და შესაძლებლობები; რაოდენობრივი კვლევა, როგორც მეცნიერული მეთოდი

რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებამ მწვერვალს გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მიაღწია. ამ პერიოდის პუბლიკაციები სწორედ რაოდენობრივი ანალიზის შედეგებს ეფუძნებოდა. ეს სურათი დღეისთვის შეცვლილია.

რაოდენობრივმა მეთოდებმა მძაფრი კრიტიკა განიცადა, რაც უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიური მოსაზრებებით იყო განპირობებული. სოციოლოგთა მხრიდან კრიტიკა ეხებოდა მაკროსოციოლოგიური თეორიების უნარს თუ უუნარობას, რომლებმაც სათანადოდ ვერ შეძლეს სოციალური მოვლენებისა და პროცესების ახსნა. აქედან გამომდინარე, იმის საჭიროება დადგა, რომ გლობალური პრობლემების რაციონალური შემეცნებიდან ორიენტირი ლოკალური ერთობების გაგებისკენ გადმოსულიყო.

რაოდენობრივი კვლევა სოციალურ მეცნიერებაში ძირითადი მეთოდია, შესაბამისად, იგი საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვანი ტექნიკაა. მისთვის მონაცემების მოპოვების მთავარ ინსტრუმენტს მასობრივი გამოკითხვა წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება გარკვეული საკითხების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა. მასობრივ კვლევებს საფუძველი აშშ-ში ჩაეყარა და ეს მოვლენა უკავშირდება ცნობილი ამერიკელი მკვლევრების პოლ ლაზარსფელდისა და სამუელ სტაუფერის სახელებს.

ს. სტაუფერის მიზანი იყო სოციალური მოვლენების შესწავლა ემპირიული მეთოდების გამოყენებით, რაც საყოველთაოდ ცნობილი “დიდი დეპრესიის” შედეგების ანალიზით დაიწყო, მოგვიანებით კი მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობასა და შედეგებს იკვლევდა. პ. ლაზარსფელდმა კი პირველმა ჩაუყარა საფუძველი პანელურ კვლევებს, კონკრეტულად, მისი შესწავლის საგანი გახდა პოლიტიკური ქცევა, უფრო ზუსტად, კენჭისყრა როგორც პროცესი. მას მიაჩნდა, რომ კვლევის მიზანი აღწერით არ უნდა ამოწურულიყო. აქედან გამომდინარე, იგი ითვალისწინებდა სოციალურ და დემოგრაფიულ ფაქტორებსაც, რითაც არსებული მოვლენების დინამიკური ცვლილების ახსნის მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა (დ.წულაძე, 2005).

პოზიტივისტური პარადიგმა, რომელიც რაოდენობრივ მეთოდს უდევს საფუძვლად, ემყარება იმას, რომ ჩვენ გარემომცველ რეალობას ობიექტური ონტოლოგიური სტრუქტურა აქვს და ჩვენ, როგორც მისი შემადგენელი ინდივიდები, გარკვეულად ვრეაგირებთ ამ რეალობაზე (Morgan, G. & Smircich, L. 1980). პოზიტივიზმის მომხრეები ამტკიცებენ, რომ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება, რომელიც შეიძლება გაიზომოს და თეორიულად დასაბუთდეს. ამას გარდა, რაოდენობრივი მონაცემები უფრო ზუსტია, ღირებული და ხელს უწყობს ობიექტურ რეალობაში მიმდინარე მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენასა და განზოგადებას (Morgan, G. & Smircich, L. 1980).

რაოდენობრივი კვლევები დედუქციური და პარტიკულარისტული ხასიათისაა და ტარდება მეცნიერული ჰიპოთეზის ფორმულირების, ემპირიული გზით მისი სამართლიანობის შემდგომი შემოწმების პრინციპით, რიცხვით მონაცემებზე დაყრდნობით (Frankfort-Nachmias, C. & Nachmias, D. 1992). ამდენად, ალბათობა აღრევისა, რომელიც მკვლევრის პიროვნული თავისებურებებით ან მის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციებით არის განპირობებული, დაბალია.

რაოდენობრივი მეთოდის უპირატესობები:

- სამეცნიერო პრობლემის ზუსტი და დეტალური ფორმულირება;
- დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების ზუსტი და მკაფიო განსაზღვრა კვლევის პროცესში;
- კვლევაში დასახული მიზნების და ამოცანების მიმდევრობის დაცვა, უფრო ობიექტური რეზულტატების მიღების შესაძლებლობა, ჰიპოთეზების სისწორის შემოწმება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;
- კვლევით მიღებული შედეგების სანდოობისა და საიმედოობის მაღალი დონე;
- დასკვნების სუბიექტურობის მინიმიზაცია და აღმოფხვრა (Kealey, D. & Protheroe, D. 1996);
- განმეორებითი კვლევების ჩატარების შესაძლებლობა.

რაოდენობრივი მეთოდის ნაკლოვანებები:

- ინფორმაციის მიღების შეუძლებლობა საკვლევი მოვლენის სიტუაციური კონტექსტის შესახებ;
- ყველა იმ გარემოების კონტროლირების შეუძლებლობა, რომლებიც არ ზემოქმედებენ რესპონდენტების პასუხებზე;
- დასკვნების შეზღუდულობა, რაც განპირობებულია კვლევის ფორმატით: კითხვების ფორმულირების სიციხადე და სხვ.
- კვლევის ჩატარების შეუძლებლობა მოვლენების დინამიკაში შესასწავლად.

რაოდენობრივმა სოციოლოგიურმა კვლევებმა ფართო გამოყენება ჰპოვა სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვ.). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მონაცემთა მოპოვების მნიშვნელოვან საშუალებად ითვლება, აგრეთვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროშიც. მეთოდის ეფექტურობას ადასტურებს მისი გამოყენების ფართო სპექტრი მარკეტინგულ კვლევებში, რომლებიც დღეს განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს, მოსახლეობის აღწერის დროს და ა.შ. მსგავსი პოპულარობა განპირობებულია მისი შესაძლებლობებით, რამდენადაც ამ მეთოდებით მიღებული შედეგები იძლევა განზოგადების საშუალებას დიდ პოპულაციებზე. მეცნიერთა ნაწილის აზრით, რაოდენობრივი კვლევებით მიღწეული შედეგები უფრო სანდო და საიმედოა და აქედან გამომდინარე, რეალობის წვდომის მეტ საშუალებას იძლევა, ვიდრე თვისებრივი მეთოდები. თავის მხრივ, ამას განსაზღვრავს თვისებრივი მეთოდებით მიღებული შედეგების სუბიექტური ხასიათი, რაც მკვლევრის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული (Здравомыслов, А. 1969).

რაოდენობრივი კვლევა გულისხმობს მონაცემების მოპოვებას, ორგანიზაციულ საკითხებს და შედეგების ანალიზს. იგი მიზნად ისახავს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ახსნას და მიზეზების დადგენას.

თვითონ ტერმინი “რაოდენობრივი გამოკვლევები” მისი ფორმის სპეციფიკას უსვამს ხაზს და პირველ რიგში გადმოცემის მათემატიკურ ფორმას. რაოდენობრივი კვლევების რეზულტატები, წესისამებრ, ცხრილების, სკალების, პისტოგრამების სახით არის წარმოდგენილი, მათი შინაარსი კი - პროცენტული მაჩვენებლებითა და კოეფიციენტებით. ამ კვლევებში ფოკუსირება ხდება საზოგადოებრივ სტრუქტურებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების

ცხოვრებას. სოციოლოგიური ანალიზის ობიექტს კი მოცემულ შემთხვევაში გარკვეული სოციალური ერთობები/ჯგუფები წარმოადგენს, რომელთაც სოციოლოგი თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ირჩევს.

რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს მიზეზებისა და შედეგების გამოვლენა. ამ მიზნით ისინი სარგებლობენ საკვლევი ობიექტის ნიშნით ცვლადით, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს (მაგ., სქესი, ასაკი, სტატუსი, შემოსავალი, პროფესია და ა.შ.).

2. გაზომვა, როგორც რაოდენობრივი კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტი

სოციოლოგიის საგნის, მისი კონცეპტუალური აპარატისა და ინფორმაციის მოპოვების მეთოდების სპეციფიკა გაზომვის პრობლემებისადმი დამოუკიდებელ და ორიგინალურ მიდგომას მოითხოვს. ასეთი მიდგომების შემუშავებასა და სხვა მეცნიერებებიდან (კერძოდ, ფსიქოლოგიიდან, ეკონომიკიდან) გაზომვის კონკრეტული პროცედურების მოშველიებაზე უარის თქმამ, შესაძლოა, სერიოზულ თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ პრობლემამდე მიგვიყვანოს. სწორედ ამ პრაქტიკის, კონკრეტულად კი, გაზომვის იდეის ევოლუციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს სოციოლოგიური გაზომვისადმი პრაქტიკული მიდგომები. სოციოლოგიური ცოდნის მათემატიზაციის პროცესის, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გათვალისწინება უზრუნველყოფს მის შედეგიანობასა და ვარგისიანობას.

ემპირიული სოციოლოგიის თეორია და პრაქტიკა ეფუძნება შესასწავლი სოციალური რეალობის ბუნების შესახებ გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და კონცეპტუალურ წარმოდგენებს. ეს პრინციპები და წარმოდგენები იქცევა გაზომვის კონკრეტულ ნორმალურ მოდელებად, მისი ვალიდურობისა და სანდოობის მოთხოვნებად. გაზომვის მოდელებისა და მისი ხარისხისადმი ნორმატული მოთხოვნების ევოლუცია სოციოლოგიის საგნის სპეციფიკის, მისი კონცეპტუალური აპარატისა და კვლევის მეთოდების შედეგია (Лазарсфельд, П. 1972).

რაოდენობრივ კვლევებში გაზომვის პრობლემებისადმი სოციოლოგთა ყურადღება სამ ძირითად ეტაპზეა გამახვილებული.

თვით იდეის ევოლუციის ძირითადი ეტაპები გაზომვის პრობლემატიკით მზარდი დაინტერესების პერიოდებს ემთხვევა. სახელდობრ: ა) სოციალური განწყობებისა და სუბიექტური ცვლადების გაზომვა (1930-1950 წლების დასაწყისი); ბ) გაზომვის ხარისხის შეფასებისადმი ახალი მიდგომის წარმოშობა-გაჩენა (1960-1970 წწ.); გ) კავშირის - “კონცეპტუალიზაცია-გაზომვა” - შესახებ წარმოდგენების შემუშავება, მათ შორის ურთიერთკავშირის ანალიზი (1970-1980 წწ.).

გაზომვის იდეის განვითარებაში პერსპექტიული მიმართულებაა გაზომვისადმი მოდელებით მიდგომის თეორიულ-მეთოდოლოგიური დასაბუთება და გაზომვის სამდონიანი კონცეფციის პროცესი.

ყოველი მეცნიერული დისციპლინისათვის მნიშვნელოვანია რეალობის საკვლევ მოვლენათა თეორიული მოდელების ახსნისა და მიღებული ფაქტობრივი მასალის ურთიერთკავშირის საკითხი. პ. ლაზარსფელდმა, ამერიკული სოციოლოგიის დახასიათებისას, მიუთითა, რომ ემპირიულ მონაცემთა ანალიზი სრულიად არ წარმოებს ზოგად სოციოლოგიური თეორიის პოზიციებიდან. ტარდება სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-სამართლებრივი გამოკვლევები, არსებობს მედიცინის, ოჯახის, ურბანიზაციის და ა.შ. სოციოლოგიები. მისი აზრით, ამ მიმართულებებს შორს ვერ მივყავართ, რამდენადაც ისეთი ცნებები, როგორცაა “რეფერენტული ჯგუფი”, “როლი”, “სტრატეფიკაცია”, “სოციალიზაცია” და ა.შ., რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ანალიზისათვის, სრულიად არ ქმნიან ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობას, რომელიც “საზოგადოების თეორიას” შეადგენს (Лазарсфельд, П. 1972). მწვავედ დგას ემპირიზმის პრობლემა. რობერტ მაკინისის აზრით, თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგი, უპირველეს ყოვლისა, ფაქტების შემგროვებელია, რომლის მთავარ სამუშაო ინსტრუმენტებსაც ჯერ კიდევ ინტერვიუების ტექნიკა და სტატისტიკური ანალიზი წარმოადგენს. “მისი მთავარი მეთოდოლოგიური საზრუნავი დაკვირვებების ადეკვატურობა და საიმედოობა და მასთან დაკავშირებული გაზომვის პრობლემებია”. სოციოლოგს უამრავი ფაქტი აქვს, მაგრამ ესაჭიროება საიმედო თეორიები, რომლებიც ამ ფაქტებს მოაწესრიგებენ. ამით თეორიის ენა იმდენად დაშორდა გამოკვლევის ენას, რომ ერთი ენიდან მეორეზე გადაყვანა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა (თეორეტიკოსთან “კაუზაცია”, ემპირიკოსთან კორელაცია და სხვ.).

თეორიაში არსებობს ფუნდამენტური ცნებები: როლი, სტატუსი, ძალაუფლება; კვლევაში გამოიყენება ემპირიული კატეგორიები ასაკი, სქესი, პროფესია და ა.შ.

ასეთი ვითარება თვით კვლევის ობიექტის სირთულით არის გაპირობებული. და ამდენად ერთიანი სოციოლოგიური თეორიის და ახსნით მოდელებთან მისი კავშირის პრობლემა, რომლებიც ემპირიული გამოკვლევების დონეზეა აგებული, გადაუჭრელი რჩება.

გაზომვა სოციოლოგიურ გამოკვლევაში გარკვეული წესების თანახმად ობიექტებისათვის, მათი მახასიათებლებისათვის რიცხვითი მნიშვნელობების მინიჭებაა ემპირიული ინდიკატორების და მათი სიმბოლოების სახით. მისი დახმარებით ვღებულობთ ობიექტის ნიშნების რაოდენობრივ და თვისებრივ შეფასებას. გაზომვა შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული ემპირიული სისტემის მათემატიკური მოდელის აგება. იგი სამ ძირითად ეტაპს მოიცავს: 1. გასაზომი სიდიდეების გამოყოფა ყველა შესაძლებელი სიდიდის ერთობლიობიდან, რითაც ხასიათდება ობიექტი; 2. გაზომვის ეტალონის მოძიება; 3. გასაზომ სიდიდესთან ეტალონის მისადაგება და შესაბამისი რიცხვითი მახასიათებლის მიღება.

სოციოლოგიაში გაზომვის ობიექტი მჭიდროდაა დაკავშირებული შესასწავლ, კვლევის ობიექტთან. გაზომვის ობიექტის არჩევა შემდეგი მიმდევრობით მიმდინარეობს: ჯერ ავირჩევთ კვლევის ობიექტს, შემდგომ კვლევის საგანს, და ბოლოს ხდება გაზომვის ობიექტის შერჩევა. ეს უკანასკნელი უნდა გავიგოთ მისი ფართე აზრით ანუ როგორც სხვადასხვა სოციალური თვისებისა და მახასიათებლის ნაკრები (ერთობლიობა), რომელთა გაზომვასაც გეგმავს მკვლევარი, რაც ნიშნავს მათ გამოსახვას რაოდენობრივი ფორმით და მათ შორის კავშირების დადგენას (Толстова, Ю. 1998).

სოციოლოგის შესწავლის ობიექტი, სოციალური ინფორმაციის მატარებლები არიან ადამიანები მათი ჯგუფური მახასიათებლები, შეფასებები, დამოკიდებულებები და ა.შ. ისინი არიან ასევე იმ თვისებათა მატარებლები, რომლებიც უნდა გავზომოთ. ფსიქოლოგისაგან განსხვავებით, რომელსაც კონკრეტული ინდივიდის მახასიათებლები აინტერესებს, ან კიდევ ის, თუ რით განსხვავდება A ინდივიდი B-საგან, სოციოლოგს აინტერესებს განსხვავებული სოციალური ჯგუფების მახასიათებლები, რომელთა უმრავლესობა ისე უნდა გავიგოთ, როგორც ინდივიდუალური მახასიათებლების გაზომვა. მაგალითად,

პრაქტიკულად შეუძლებელია იცოდეთ რომელიმე პროფესიული ჯგუფის თავისი საქმიანობით კმაყოფილების ხარისხი, თუ არ გაზომავ მისი თითოეული წევრის კმაყოფილების ხარისხს. ამდენად, სოციოლოგიური გაზომვის ძირითადი პრობლემაა შერჩევის ანუ რეპრეზენტატულობის პრობლემა. იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და სოციოლოგიაში სხვადასხვაგვარად დაისმის და წყდება.

მისი არსებითი თავისებურებაა ისიც, რომ შეუძლია კვლევის (გაზომვის) ობიექტით მანიპულირება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ა.შ. ობიექტებით მანიპულირების ფარგლები (ჩარჩოები) საკმაოდ ფართოა ფაქტობრივად, ეს მათი არსებობის საზღვრებია. სოციოლოგიური ობიექტები კი, რომლებსაც საკუთარი ნება გააჩნიათ, გაცილებით ნაკლებად განიცდიან ამგვარ მანიპულირებას. უფრო მეტიც, მკვლევარი შესაძლოა თვითონ აღმოჩნდეს ექსპერიმენტულ სიტუაციაში, დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტი გახდეს. დამკვირვებლისა და შესასწავლი ობიექტის ურთიერთქმედების პრობლემა თავისთავად ფართო, სადისკუსიო და რთულია. მისი ძირითადი თავისებურებებია:

უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა შესასწავლი ერთობლიობა, და აქედან გამომდინარე გასაზომი თვისებები, დამკვირვებლის ზემოქმედებით, შესაძლებელია დეფორმირდეს;

მეორე ერთსა და იმავე ობიექტზე (ადამიანთა ერთობლიობაზე), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება რამდენჯერმე ზედიზედ ექსპერიმენტის ჩატარება: ისინი იღლებიან, პასუხზე უარს ამბობენ, ინტერესს კარგავენ და ა.შ.

მესამე ყველა თვისებას, რაც მკვლევარს აინტერესებს, ვერ გაზომავ და ვერ შეისწავლი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადამიანები ყველა კითხვას არ პასუხობენ. არსებობს კვლევის ეთიკური ნორმები. და ბოლოს არსებობს, ასე ვთქვათ, იდეოლოგიური მომენტები, მსოფლმხედველობა (როგორც მკვლევრის, ისე შესასწავლი ერთობლიობის). განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის საზოგადოების წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად პასუხობენ ერთსა და იმავე შეკითხვებს და აფასებენ მოვლენებს, აქვთ განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაციები.

ასე რომ, სოციოლოგისათვის გაზომვის ძირითადი თავისებურებების გამოყვანა გასაზომი და შესასწავლი ობიექტის სპეციფიკიდან სრულიად ბუნებრივია.

თავისებურების შემდეგი ჯგუფი **გაზომვის ერთეულს** უკავშირდება. მრავალ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში არსებობს გაზომვის ერთეულების არა მარტო ერთობლიობა (ნაკრები), არამედ ეს ერთეულები გარკვეული წესით იმგვარად უკავშირდება ერთმანეთს, რომ ქმნიან გაზომვის სისტემას. ამავე დროს, ყველა ფიზიკური სიდიდე რაღაც ზომით ხასიათდება.

რამდენადაც სოციოლოგიაში გასაზომი ხელსაწყო არის სკალა, ამდენად არსებობს გაზომვის დონეების პრობლემაც. მაგრამ ეს დონე მხოლოდ ინტერვალური და პროპორციული სკალების მეშვეობით მიიღწევა, რომელთა აგებაც მრავალი სერიოზული სახის სირთულესთან არის დაკავშირებული. ამას გარდა რჩება გაზომვის პროცედურების უნიფიკაციის პრობლემა, რადგანაც ყოველ ახალ კვლევაში ახალი სკალის კონსტრუირებაა საჭირო .(Толстова, Ю. 1998).

როდესაც სოციოლოგიური გაზომვის იმ თავისებურებებზე ვლაპარაკობთ, რომლებიც მეთოდს უკავშირდება (რომლის საშუალებითაც იგი იწარმოება), უპირველეს ყოვლისა უნდა დავაზუსტოთ, რომ სიტყვა “მეთოდში” სხვადასხვა რამ შეიძლება იგულისხმებოდეს. პირველ რიგში, ეს არის მონაცემთა შეგროვების მეთოდი, მეორე თვით სკალის აგების მეთოდი, მესამე თვითონ გაზომვის მეთოდი (პროცედურა) და ა.შ.

სოციოლოგიური კვლევების ყველა მეთოდი, როგორც ცნობილია, იყოფა ინფორმაციის შეგროვებისა და მისი დამუშავების მეთოდებად. შესაბამისად, განასხვავებენ მონაცემთა მოპოვებისა და მისი დამუშავების ეტაპებს. ასევე, საქმე ეხება შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის ეტაპებსაც. იმასთან დაკავშირებით, ჩამოთვლილთაგან რომელ მეთოდს მიეკუთვნება სკალირება, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

სოციოლოგიური გაზომვის თავისებურებაც სწორედ ისაა, რომ ერთი და იგივე გაზომვის პროცედურა შეიძლება გამოიყენო გამოკითხვის დროსაც და დოკუმენტების ანალიზისასაც. მეტიც, გამოკითხვის ფარგლებში, ერთი და იგივე სკალა შეიძლება ჩართო საფოსტო ანკეტაში, ინტერვიუს პროცესში, ექსპერტულ ანკეტაში და ა.შ. ამასთან, მიღებული შედეგები განსხვავებული იქნება. ამას მიყვაროთ ვალიდურობისა და საიმედოობის პრობლემასთან (მის გამწვავებასთან).

აღსანიშნავია ასევე, რომ ერთი და იგივე თვისების გასაზომად სოციოლოგიაში შესაძლებელია სხვადასხვა პროცედურის გამოყენება. შეიძლება,

მაგალითად, წყვილადი შედარებების და მიმდევრობით ინტერვალების მეთოდის გამოყენებაც.

სოციალური მახასიათებლების კვანტიფიკაცია - ცნობილია, რომ რამდენადაც სოციოლოგს საქმე მასობრივ პროცესებთან აქვს, იგი ოპერირებს რიცხვითი მაჩვენებლებით, რომლებიც გამოსახავენ (ხატავენ) სიხშირეს, გრძლიობას და კავშირის სიმტკიცეს სხვადასხვა სოციალურ მახასიათებელს შორის. სოციალური ობიექტებისა და პროცესების თვისებათა რაოდენობრივი გამოსახვის ყველა ოპერაციის წანამდღვარი არის რაოდენობრივი ნიშნების პირველადი გაზომვა ანუ მათი კვანტიფიკაცია. ნებისმიერი გაზომვა იწყება მარტივი (უბრალო) რაოდენობრივი ნიშნების მოძიებით, რომელთა შორის მიმართება შეიძლება რომელიღაც რიცხვითი მასშტაბით იყოს გამოსახული (გადმოცემული).

იგი არის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გასაზომი ობიექტი შედარდება რაღაც ეტალონთან და ღებულობს რიცხვით გამოსატულებას გარკვეული მასშტაბით ან სკალით (სკალაზე). მას უწოდებენ ასევე ემპირიული სისტემის ცალსახა (ერთმნიშვნელოვან) ასახვას მის ელემენტებს (შემადგენლებს, მდგომარეობებს, თვისებებს და ა.შ.) შორის მიმართებებთან რიცხვით სისტემაში რიცხვებს შორის შესატყვის მიმართებებს შორის. შედეგად ყალიბდება გასაზომი ობიექტის რიცხვითი მოდელი, უფრო ზუსტად - თვისებრივი ანალიზისას გამოყოფილი მისი ზოგიერთი მხარის. რამდენადაც ზუსტი ანალოგის (იზომორფული მოდელის) მიღება პრაქტიკულად არ ხერხდება, შემუშავდება მიახლოებითი ანალოგი (ჰომომორფული მოდელი), რომელიც რიცხვითი გამოსახულებით პირობითად შეესაბამება ორიგინალს. სოციალურ გაზომვებს ხშირად კვალიმეტრულს უწოდებენ, ანუ თვისებრივი მიმართულებების პირობით რაოდენობრივ ანალოგებს.

კვანტიფიკაციის პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ არის მათემატიკური. იმისათვის, რომ სოციალური ობიექტის თვისებებს გარკვეული წესის მიხედვით მიუწეროთ რიცხვები, უნდა გავარკვიოთ მათი შინაარსობრივი სტრუქტურა და შესაბამისობა მოვნახოთ მასსა და გაზომვის ინსტრუმენტს შორის, ე.ი. ეს თვისებრივ-რაოდენობრივი ანალიზის ამოცანაა (Паниотто, В., Максименко В.1982).

პრინციპულად, ცვლილება შესაძლოა სოციალური ობიექტის ნებისმიერმა თვისებამ განიცადოს: თვისებრივმაც და რაოდენობრივმაც. რაოდენობრივთან (როგორცაა ასაკი - შესრულებული წლების რიცხვით, შემოსავალი - ფულად

ერთეულებში, განათლება - სწავლების წლებით) მიმართებაში საქმე შედარებით მარტივად არის. მათთვის უკვე არსებობს საყოველთაოდ მიღებული გაზომვის ეტალონები: ერთი წელი ასაკის ან საგანმანათლებლო მომზადებისათვის, ერთი ლარი ხელფასის გამოსაანგარიშებლად, ერთი ადამიანი ოჯახის ზომის დასადგენად და ა.შ.

რაოდენობრივისაგან განსხვავებით, თვისებრივ მახასიათებლებს (სოციალური მიკუთვნებულობა, ადამიანთა შეხედულებები და ა.შ.) არა აქვთ დადგენილი გაზომვის ეტალონი. მათი კონსტრუირება შესასწავლი ობიექტის ბუნების შესაბამისად და კვლევის ჰიპოთეზების თანახმად ხდება. ამიტომაც თვისებრივ მახასიათებლებთან გაზომვის პროცედურები ერთგვარი გამოგონებებია, რომლებიც გარკვეული ტიპობრივი ხერხებით ხორციელდება.

პირველ მიახლოებაში გაზომვის ხერხები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველ კატეგორიას ის ხერხები შეადგენს, რომელთა მეშვეობით ობიექტთა რაოდენობრივი მახასიათებლები იზომება დროსა და სივრცეში მათი ფიზიკური არსებობის თვალსაზრისით.

სივრცეში გრძლიობა შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც ადამიანთა დაშორების ზომა ინდუსტრიულ-კულტურული, პოლიტიკური ცენტრიდან პოლიტიკური მოძრაობების კვლევებში. ურთიერთქმედებაში მყოფ (ურთიერთქმედ) ადამიანთა შორის კომუნიკაციის ფიზიკური განგრძობადობა ახასიათებს მათი ერთობლივი მოღვაწეობის ერთ-ერთ პირობას. ტექსტის სტრიქონების რიცხვი, რომლებიც გარკვეული აზრის მქონეა, აზრის განმეორების სიხშირის მიხედვით ტექსტების კლასიფიკაციის საშუალებად გამოიყენება (ან მოვლენის).

დროში განგრძობადი ერთეულები - მოვლენის სიხშირე, ხანგრძლიობა, დროის ინტერვალის სიდიდე - ასევე ახასიათებს სოციალურ პროცესებს რაოდენობრივი მხრივ. ყველა ამ შემთხვევაში გამოსადეგია “ბუნებრივი” გაზომვის ეტალონები (Осипов, Г., Андреев, Э. 1980).

გაზომვის მეორე კატეგორია მიეკუთვნება ობიექტებს, რომელთათვისაც საყოველთაო სკალები არ არსებობს. მაგრამ ყველაზე რთული სოციალური მოვლენებიც კი შეიძლება კვანტიფიცირდეს მათი გრძლივობის, ინტენსივობის, განმეორებადობის სიხშირის მხრივ. ამგვარი მტკიცების ონტოლოგიური საფუძველი - რეალობის ობიექტების თვისებრივ-რაოდენობრივი გარკვეულობა (განსაზღვრულობა), როგორც ხასიათდება ზომის ფილოსოფიურ კატეგორიაში. რაც შეეხება გაზომვის პრაქტიკულ შესაძლებლობებს, ისინი მთლიანად

დამოკიდებულია ჩვენს უნარზე, - მოვნახოთ ან მოვიგონოთ საიმედო გაზომვითი პროცედურა.

რაოდენობრივ კვლევაში გაზომვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებია:

ინდიკატორი შესასწავლი ობიექტის მახასიათებელია, რომელიც ექვემდებარება დაკვირვებასა და გაზომვას. მან შეიძლება უშუალოდ წარმოადგინოს შესასწავლი ობიექტი, ასევე შესაძლოა გადმოსცეს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც არ ექვემდებარებიან უშუალო დაკვირვებასა და გაზომვას. სოციოლოგიურ კვლევაში სპეციალური პროცედურების მსგელობისას გამოყოფილი ინდიკატორები თეორიულად და ემპირიულად დასაბუთებული უნდა იყოს.

გაზომვის სკალა სოც. გაზომვის ძირითადი ინსტრუმენტია, ეტალონის სახით ახდენს მნიშვნელობათა ამა თუ იმ ერთობლიობის ფიქსაციას, რაც მკვლევარს აინტერესებს. სკალა დაადგენს ინდიკატორების გარკვეულ თანმიმდევრობას. ამასთანავე იგი სტატისტიკური მასალის ანალიზის საშუალებაა. გაზომვის პროცესში სკალის მეშვეობით თვისებრივად სხვადასხვაგვარ მონაცემებს შეუპირისპირებენ რაოდენობრივ მაჩვენებლებს. გასაზომი მახასიათებლების ხასიათისა და მათი ანალიზის ამოცანებიდან გამომდინარე, შემდეგი სკალები გამოიყენება: ნომინალური ანუ სახელდების (ობიექტებისა და მათი მახასიათებლების კლასიფიკაციისათვის), რიგის (ნიშნის გამოჩენის ინტენსივობის შესადა-რებლად ზრდის ან კლების მიხედვით), რანგული (რანგების, რიგის დასადგენად), ინტერვალური (ნიშნის ამა თუ იმ მახასიათებლის ინტენსივობის ანალიზისათვის), ფარდობითი (ფარდობის პროპორციების ასახვისათვის).

მაჩვენებელი სოციოლოგიურ გამოკვლევაში ლოგიკური და მათემატიკური წესების მიხედვით განზოგადებული გამოკვლევის მონა-ცემებია, რომლების ჰიპოთეზების შესამოწმებლად და დასკვნებისათვის გამოიყენება. მაგ., ასაკობრივი ჯგუფის შემადგენლობის მაჩვენებელი 45% - 25 წლამდე.

ინდექსი სპეციალურად შექმნილი მაჩვენებელია, რომელიც გამოხატავს კავშირს, ინდიკატორების კომბინაციას, გამოიყენება გარკვეული ჰიპოთეზების შესამოწმებლად. მაგ., ჯგუფის სიმჭიდროვის ინდექსი.

საფუძვლიანობა სოციოლოგიური ინფორმაციის კვლევის მონაცემთა რაოდენობრივი და თვისებრივი დახასიათება; მახასიათებლები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება ინფორმაციის *ვალიდურობა*, ანალიზის პროცედურისა და მონაცემთა შეგროვების, მათი შესატყვისობა თეორიულ და მეთოდურ მოთხოვნებთან; ინფორმაციის მდგრადობა ანუ სხვადასხვა პირობებში გაზომვის შედეგების მსგავსება.

საიმედოობა კვლევის შედეგების მათი ხარისხის მახასიათებელია, შესასწავლი ობიექტის რეალური მდგომარეობის შესაბამისობა გამოტანილ დასკვნებთან.

გაზომვა არის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გარკვეულ თანამიმართებაში მყოფი გაზომვის ობიექტები აისახებიან რაღაც მათემატიკურ სისტემაში, ამ სისტემის ელემენტებს შორის შესაბამისი მიმართებებით.

გაზომვის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს რესპოდენტი, ესა თუ ის ჯგუფი, ორგანიზაცია, ყოფილი პირობები და ა.შ. ურთიერთობებში, რომელთა მოდელირებაც ხდება გაზომვისას, ობიექტები ერთგვებიან როგორც გარკვეულ თვისებათა მატარებლები. საკვლევი ერთობლიობის რესპოდენტები შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი ნიშნის მატარებლად, როგორცაა კმაყოფილება შემოსავლით, ცხოვრების დონით, შრომის პირობებით, საკუთარი მთავრობის პოლიტიკით, ოჯახური მდგომარეობით, სტატუსით და ა.შ. შესაძლებელია განვიხილოთ მათ შორის თანასწორობის მიმართება (“თანასწორი” ან “არათანასწორი”) კმაყოფილების ხარისხის თვალსაზრისით. ამავე რესპოდენტებს გააჩნიათ სხვა მახასიათებელიც – ასაკი. ცხადია, მათ შორის თანასწორი მიმართება შეიძლება არსებობდეს პირველი მახასიათებლის, მაგრამ არათანასწორი – მეორე მახასიათებლის მიხედვით.

გაზომვისას ყოველ ობიექტს მიეწერება გამოყენებული მათემატიკური სისტემის გარკვეული ელემენტი. სოციოლოგიაში გამოიყენება რიცხვითი მათემატიკური სისტემები, ანუ ისეთი სისტემები, რომელთა ელემენტებსაც ნამდვილი რიცხვები წარმოადგენენ. თუმცა შესაძლებელია არარიცხვითი

მათემატიკური სისტემების ეფექტური გამოყენებაც – ნაწილობრივ მოწესრიგებული სიმრავლეების, გრაფების, მატრიცების და ა. შ.

ადეკვატური გაზომვა გულისხმობს დაკვირვების ობიექტებზე და მათ შესასწავლ მხარეებზე ზოგადი წარმოდგენის არსებობას. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა გამოვეყნოთ მიმართებები ობიექტებს შორის, რომლებიც უნდა აისახონ გამოყენებული მათემატიკური სისტემის ელემენტებს შორის შესატყვის მიმართებაში. რამდენადაც გაზომვის პრაქტიკულად განხორციელებისას სოციოლოგები უმრავლეს შემთხვევაში რიცხვით სისტემებს იყენებენ, შეეხერხებით სოციოლოგიაში მათი გამოყენების პრინციპებზე.

ცვლადების ოპერაციონალიზაციას ვახდენთ იმისათვის, რათა აბსტრაქტული ცნებები წარმოვადგინოთ რაოდენობრივად და განვახორციელოთ რეალური სამყაროს მოვლენათა აზრობრივი შედარება ამ ცნებებით გადმოცემულ თვისებათა ტერმინებში. რიცხობრივ მნიშვნელობათა მიწერას თვისებათა წარმოსადგენად ვუწოდებთ გაზომვას. ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში გაზომვის შედეგად ცვლადებთან რაღაც მნიშვნელობები ასოცირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტი საზუსტით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ დაკვირვების მოცემული ობიექტი (ადამიანი, ქალაქი, ერი, ორგანიზაცია) რამდენად ავლენს იმ თვისებას, რომელიც გასაზომ ცვლადს ახასიათებს. დაუშვათ, იმის მაგივრად, რომ ვთქვათ “ქალაქში ცუდი მდგომარეობაა დამნაშავეობასთან დაკავშირებით”, შეგვიძლია უშუალოდ დამნაშავეობის კონკრეტულ ზომაზე ვიმსჯელოთ (Осипов, Г., Андреев, Э. 1980).

გაზომვის პროცედურები წარმოადგენენ მოვლენათა კატეგორიზაციისა (კატეგორიებად დაყოფა) და მოწესრიგების საშუალებას. ამასთანავე, ზოგიერთი პროცედურის მეშვეობით გამოვლინდება მოვლენებს შორის უფრო დეტალური და ნიუანსობრივი განსხვავება. ამიტომაც საჭირო ხდება გაზომვის სხვადასხვა დონის კონსტატაცია.

ამ დონეებიდან გამოვეყოფთ: სახელდების (ნომინალური), რიგის, ინტერვალურს. ნომინალური გაზომვა მოვლენის შესახებ მინიმალურ ინფორმაციას იძლევა. იგი მხოლოდ დისკრეტულ კატეგორიათა ნაკრებია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ესა თუ ის ობიექტი. მაგ., ეროვნება ნომინალურ დონეზე გაიზომება ადამიანთა კლასიფიკაციის მეშვეობით: ქართველი, ინგლისელი, ფრანგი, რუსი, გერმანელი და ა.შ.

რიგითი დონე მეტ ინფორმაციას იძლევა, რამდენადაც არსებობს არა მხოლოდ კატეგორიებად დაყოფის, არამედ მოვლენათა რიგობითი წარმოდგენის, რანჟირების შესაძლებლობა. რიგითი გაზომვა ყოველ ობიექტს მიანიჭებს რიცხვს, რომელიც აღნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ მოცემული ობიექტი სხვათაგან განსხვავდება ან მათი მსგავსია გასაზომი ცვლადის თვალსაზრისით, არამედ ეს რიცხვი ასევე მიუთითებს თუ რამდენად არის მოცემული ობიექტი სხვასთან დაკავშირებული იმ კონკრეტული თვისების რაოდენობრივ ტერმინებში, რომლითაც იგი ხასიათდება. შეგვიძლია ობიექტი განვასხვავოთ სიდიდის, სიმცირის, აგრეთვე მისი მახასიათებელი თვისების ოდენობის მიხედვით. მაგ., სოციალური კლასის ცნება იზომება რიგით დონეზე: ყოველ ადამიანს მიეწერება დაბალი, საშუალო ან მაღალი კლასი.

ინტერვალური გაზომვა კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა. ამ დროს კლასიფიცირებისა და რანჟირების გარდა შეგვიძლია ვიმსჯელოთ გასაზომი თვისების მეტობა-ნაკლებობაზე სხვა ობიექტებთან შედარებით. ინტერვალური გაზომვა ეფუძნება გასაზომი თვისების რაღაც სტანდარტული ერთეულის არსებობას. სტანდარტული ერთეული გულისხმობს დაშორებას ობიექტის გასაზომი თვისების სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის. მაგ., სტანდარტული ერთეულის გამოიყენებით ჩვენ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყოველთვიურ შემოსავალს - 200 და 300 ლარს - შორის აბსოლუტურად ისეთივე სხვაობაა, რაც 800 და 900 ლარს შორის. (სკალების შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვევით).

3. ვალიდურობა და საიმედოობა

ვალიდურობის ცნება

სოციოლოგიურ თეორიებში გამოყენებული ცნებების უშუალოდ გაზომვის საშუალება არცთუ ისე ხშირად გვიხდება ხოლმე. ცნებების: ძალაუფლება, მობილობა, დემოკრატია, ორგანიზაცია, კონფლიქტი, - რაოდენობრივად წარმოდგენა არ არის ისე მარტივი, როგორც ცნებების: სივრძე, წონა, სიმაღლე და სხვ. ჩვენ ისეთი მაჩვენებლებით ოპერირება გვიწევს, რომლებიც ირიბად შეესატყვისება წარმოდგენილ ცნებებს. ამ დროს იმის საშიშროება ჩნდება, რომ შერჩეულმა მაჩვენებლებმა ადეკვატურად ვერ ასახოს

მათი მეშვეობით გასაზომი ცნებები. ასეთი შემთხვევისათვის გამოიყენება ტერმინი ვალიდურობა (validity). სემანტიკურად იგი მიღებული ინფორმაციის “სიმყარის”, “მდგრადობის” ელემენტებს შეიცავს. გაზომვის ვალიდურობით სარგებლობა ნიშნავს, რომ დაინტერესდეთ, მართლა არის თუ არა შესაძლებელი გაზომვის მოცემული საშუალებით ამა თუ იმ (ჩვენს მიერ შერჩეული) ცნებების გაზომვა. ვალიდურობის უზრუნველყოფა ხშირად სოციალურ მეცნიერებებში გაზომვასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემად მიიჩნევა. გაზომვა რომ ვალიდურად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს ამომწურავი და სრული (Толстова, Ю. 1998).

ამ დროს ჩნდება ორი კითხვა: 1) როგორ განვახორციელოთ ამომწურავი, სრული და შესატყვისი გაზომვა; და 2) როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ამას მივაღწიეთ.

პირველ კითხვაზე პასუხი იწყება ოპერაციონალიზაციის პროცესით. ვალიდურობის განსაზღვრა შეგვიძლია როგორც ხარისხის, რომლითაც გაზომვის შეფასებათა სხვაობა ასახავს განსხვავებებს მხოლოდ გასაზომი ცვლადის მნიშვნელობათა განაწილებაში. ფართო აზრით, სიტყვა **ვალიდურობა**, ანუ მეთოდის დასაბუთებულობა, ნიშნავს მისი მეშვეობით მიღებული ემპირიული მონაცემების შესაბამისობას (შესატყვისობას) კვლევის ძირითად მიზნებთან.

რამდენადაც ალბათ სრული და საყოველთაო ვალიდურობა ძნელად მისაღწევია. ჩვენს მიზანს ისეთი გაზომვის შერჩევა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მინიმალურად მგრძნობიარე იქნება ყველა სხვა განსხვავებათა ზემოქმედებისადმი (ჩვენთვის საინტერესო ცვლადით გაპირობებული განსხვავებების გარდა). ამისათვის აუცილებელია ყველა ჩვენს გაზომვასთან დაკავშირებული პროცესების ყურადღებით განხილვა შეფასებებში განსხვავებათა შესაძლო მიზეზების დადგენის მიზნით. ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღებაა საჭიროა, რათა დაზღვეული ვიყოთ სისტემატური შეცდომების დაშვებისაგან. მაგ., შეიძლება დაგვჭირდეს სხვადასხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების თავიანთ მთავრობათა პოლიტიკით კმაყოფილების ხარისხის გასაზომვა. ამისათვის ჩვენ ვუშვებთ, რომ მთავრობის პოლიტიკით კმაყოფილება-უკმაყოფილების მაჩვენებლად ჩავთვალოთ რესპოდენტთა პასუხები სპეციალურად შემუშავებულ კითხვების ბლოკზე. ამ შემთხვევაში განსხვავებათა ერთადერთ წყაროდ რესპოდენტთა პასუხებში განსხვავება მიიჩნევა, მაგრამ ფაქტობრივი ვითარება გვაფიქრებს ამგვარი დაშვების არასაკმარისობაზე და ვარიაციათა სხვა შესაძლო წყაროების

არსებობაზე. თუ საკვლევ სახელმწიფოებს შორის არის სახელმწიფოები მმართველობის ავტორიტარული სისტემით, რომლებიც მიმართავენ საიდუმლო პოლიციის სამსახურს დისტიკური აზროვნების ჩასახშობად და თავიანთი პოლიტიკის კრიტიკის ნებისმიერ მცდელობას აღიქვამენ სახელმწიფოებრივი დალატის აქტად, მაშინ სავსებით შესაძლებელია, ამ სახელმწიფოთა მოქალაქეები ინტერვიუში შიშობდნენ თავიანთი უკმაყოფილების გამოთქმას თავიანთი მთავრობის პოლიტიკის მიმართ. ამ შემთხვევაში გასაზომად მიღებულ შეფასებებს შეიძლება ისევე განსაზღვრავდეს მთავრობის დამოკიდებულება ნონკონფორმისტებისადმი, რამდენადაც რესპოდენტთა მოსაზრება. რამდენადაც ამგვარი გაზომვის შეცდომის ალბათობა ძალიან მაღალია, მომზადებული კითხვები ოპერაციონალიზაციის სრულიად შეუსაბამოა.

ვალიდურობის შეფასების პროცესს ვალიდიზაცია ეწოდება. ვალიდურობის ტიპოლოგია დამოკიდებულია კვლევის იმ ინსტრუმენტზე, რომელიც განიხილება როგორც ამომწურავი, არგუმენტების განმამტკიცებელი და მათი სპეციფიკური გამოყენებისა და გამართლების პროცესისადმი მგრძობიარე.

ვალიდურობისადმი მიდგომას მეცნიერები სხვადასხვაგვარად განიხილავენ და შესაბამისად კლასიფიკაციაც ცოტაოდენ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამ საკითხთან დაკავშირებით განვიხილავთ ვალიდურობის ოთხ ფორმას. ზოგადად გაზომვის ვალიდურობა, მას სხვანაირად **კონსტრუქტორულ ვალიდურობას** უწოდებენ (Frankfort-Nachmias, C., & Nachmias, D. 1992), შეიძლება განესაზღვროთ, როგორც ცნებებს, კონსტრუქტებსა და ოპერაციონალურ განსაზღვრებებს შორის მყარი შესაბამისობის მაქსიმალური გაზრდა (მაქსიმიზაცია). რამდენად არის შესაძლებელი შედეგების, როგორც სპეციფიკური ნიშნებისა თუ კონსტრუქტების მნიშვნელოვნების მაჩვენებლის, ინტერპრეტაცია? ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვს ემპირიული მონაცემების გზით შესაბამისობისა და ახსნის ლოგიკურ ანალიზს. ტრადიციულად დისკუსია წარმოებს ფსიქოლოგიურ თეორიებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი განიხილება სოციალურ მეცნიერებათა კვლევებში ზოგადი ფორმით გამოყენების თვალსაზრისით. თუმცა, მხოლოდ ამ გამარტივებული განსაზღვრებით მონაცემების მოპოვებისა და კვლევის ინსტრუმენტის შეფასების პროცესში ხელმძღვანელობა გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს. აქედან გამომდინარე, უნდა განხილულ იქნეს არა მარტო კონსტრუქტული ვალიდურობა (მაგ., I -ტესტის შემთხვევაში ვიკვლევთ თუ რამდენად შეუძლია მას

ინტელექტის დონის რეალური გაზომვა), არამედ, აგრეთვე სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენების ვალიდურობა, რომელიც განიხილება როგორც ინდივიდების სხვადასხვა სოციალურ კლასებში განაწილების საფუძველი.

სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინის “კონსტრუქტორული ვალიდურობა” გამოყენება ერთმნიშვნელოვნებით არ ხასიათდება. გაზომვის პრობლემებზე არსებულ სოციოლოგიურ სახელმძღვანელოები ძირითადად ორიენტირდებიან კვლევის ცალკეულ არეალსა და ინსტრუმენტების გამოყენების საკითხებზე. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული ტერმინი გაზომვის ინსტრუმენტის (ან ჰომოგენური ქვესექტორების), დაკვირვების ტექნიკისა თუ კლასიფიკაციის სქემის ვალიდურობის ფართე განსაზღვრებაა სოციალურ კვლევებში კონსტრუქტის წარმოდგენის (რეპრეზენტაცია) მიზნით. ქრონბახი (Cronbach, 1990) ამტკიცებს, რომ კონსტრუქტული ვალიდურობა ფაქტობრივად ვალიდურობის სხვა ფორმებისაგან განცალკევებულად არ განიხილება, განსხვავებით კრიტერიული და კონტენტური ვალიდურობისაგან. კონსტრუქტული ვალიდურობის ფართე მნიშვნელობა გულისხმობს, ზოგადად, გაზომვის ვალიდურობას. ვიწრო მნიშვნელობაში კი არგუმენტების ლოგიკური ურთიერთშესაბამისობა (თანმიმდევრობა) იგულისხმება.

ქრონბახი განიხილავს ვალიდურობას როგორც დამაჯერებელ არგუმენტს. იგი შენიშნავს აუცილებელია შედეგიდან გამომდინარეობის დაცვა. ბევრი შემთხვევა (მაგალითი) მოითხოვს შედეგიდან გამომდინარეობის დაცვას. ეს მაგალითები შეხედულების სავარაუდო ახსნებს წარმოადგენს, რომელთაგან ზოგი გამოხატავს აპელირებას საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებაზე, ცხად უპირატესობასა თუ ლოგიკურ წანამდგარზე. თუ სათანადო აუდიტორია ცდილობს მოძებნოს შესაძლო შემთხვევები და გასაგები არგუმენტები, ეს ნიშნავს, რომ მათთვის დასკვნა მისაღებია. როცა დისკუსია ამა თუ იმ პროფესიის სპეციფიკით შემოისაზღვრება, ექსპერტთა ინტერპრეტაციების გაზიარება აუცილებელია. სხვა ინტერპრეტაციები საჯარო განხილვის ხასიათს ღებულობს. ფსიქოლოგთა თვალსაზრისების გაზიარება იმ შემთხვევაში ხდება, როცა მათი არგუმენტები არსებულ ალტერნატივათა შორის მართებულად მიიჩნევა (Cronbach, L.J. 1951)..

ტერმინი **კრიტერიული ვალიდურობა** გულისხმობს ინსტრუმენტის როგორც ობიექტთა კლასიფიკაციის საშუალების (მეთოდის) გამოყენებას კვანტიტატიური (რაოდენობრივი) ნიშნების საფუძველზე. რაოდენობრივი ინსტრუმენტის ვალიდიზაციის ერთ-ერთი ხერხია იმ რესპონდენტთა შეფასებების

განხილვა, რომლებიც მოცემული მახასიათებლის მატარებლად ითვლებიან. იგი განისაზღვრება სპეციალური ტექნიკით და შესაძლებელია კვლევის მიზნის შესაბამისად რამდენიმე ხერხთან ერთობლიობაში გამოიყენებოდეს. ერთ-ერთი ხერხია მათი კონკურენტული ვალიდურობის შეფასება შემოწმების მეშვეობით, პარალელური გაზომვის ან კლასიფიკაციისაგან გასხვავებით. სუბიექტთა (რომელთაც ფსიქიკის მოშლა აღენიშნებათ) ინდეტიფიკაციის ინსტრუმენტი, შეიძლება ინდივიდთა ორ ჯგუფზე შემოწმდეს, რომელთაგან ერთმა იცის ამ ფაქტის შესახებ, მეორემ კი არა. თუ შედეგები გამოავლენს რაიმე გამორჩეულ (სხვისაგან განსხვავებულ) თვალსაზრისს, რომელიც ამ ჯგუფებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, მაშინ ეს ტესტი ვალიდურია. ამის საპირისპიროდ, საინტერესოა, კორელირებს თუ არა გარკვეული ინსტრუმენტით მიღებული შედეგები სხვა ინსტრუმენტთან, რომლის ვალიდურობაც დამტკიცებულია. მეორე ხერხია პროგნოზულ ვალიდურობაზე ფოკუსირება ტესტის შედეგების სავარაუდო შედეგებთან შედარების საფუძველზე. მაგ., რამდენად კორელირებს მათემატიკაში მეორე საფეხურის სწავლების სკოლებისთვის შემუშავებული აკადემიური უნარების (მოსწრების) ტესტის შედეგები უმაღლესი მათემატიკის პროგრამის ათვისების კურსდამთავრებულთა შედეგებთან.

სხვა სიტუაციაში შეიძლება განვიხილოთ ტესტის **კონტენტური ვალიდურობა**. ადეკვატურად წარმოადგენს თუ არა ტესტი სუბიექტის საქმეებსა თუ უნარებს ამა თუ იმ სუბიექტისა თუ საკითხთა ერთობლიობისთვის. მაგ., რამდენად ასახავს სემესტრის ბოლოს გამოცდა მშობლიურ ლიტერატურაში ლიტერატურის შესახებ ფაქტებს და აგრეთვე ინდივიდის ინტერპრეტაციულ და ანალიტიკურ უნარებს.

კონტენტური ვალიდურობის გაძლიერება ხდება ტესტით გათვალისწინებული ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური პროცესების საშუალებით. დეტალური განხილვა ნათელს ჰყენს პრობლემას: სად გაგავლოთ ზღვარი ვალიდურობის ფორმებს შორის და რომელი მათგანი გამოვიყენოთ? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია კვლევის მიზანსა და ინსტრუმენტის გამოყენებაზე. ცალკეული ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება ერთზე მეტი მიზნით და შესაბამისად, მოითხოვს შემოწმებას ვალიდურობის ერთზე მეტი ფორმის მეშვეობით. მაგ., შესაძლებელია ვივარაუდოთ საჯარო გამოცდის შედეგების გამოყენების შესაძლებლობათა საზღვრები, მაგრამ სხვა

კვლევებში მათი სპეციფიკური გამოყენება უჩვენებს პრობლემის ხასიათს. მაგ., საფეხურის სწავლების გამოცდები როგორც ცოდნის გარკვეული დონისა და სპეციფიკურ საკითხებში გარკვეული უნარ-ჩვევების განსაზღვრული ინდიკატორი ინგლისსა და უელსში პოტენციური დასაქმების საზომად მიიჩნევა. გარდა ამისა, გამომცდელები უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე მას თვლიან საუნივერსიტეტო წარმატების განმსაზღვრელად და სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმად. ამ ტესტების გამომშვეები საგამომცდელი დაწესებულებები იცავენ კონტენტური ვალიდურობის მოთხოვნას მოცემული ტესტის შინაარსის ნამდვილობის დადგენის მეშვეობით. მეორე მხრივ მრავალი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ეს გამოცდები მცირედ თუ განსაზღვრავს საუნივერსიტეტო წარმატებას. გარკვეული სირთულე იქმნება ამასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში გვაქვს სპეციალურად ერთი მიზნისთვის შექმნილი ინსტრუმენტი (ტესტირება), რომელიც სხვა მიზნებისთვის (კვლევისთვის – კონკრეტული ვალიდურობა, აკადემიური წარმატებისთვის – პროგნოზური ვალიდურობა) დიდი ვალიდურობით არ ხასიათდება.

მარფი (Marphy, D. 1991) და დევიდსჰოფერი (Davidshofer, 1991) ავითარებენ და ამტკიცებენ, რომ ვალიდურობის ოთხი ტიპი განიხილება როგორც შედეგებიდან დასკვნის გამოყვანის ვალიდურობის დადგენის ოთხი სტრატეგია. მკვლევარზეა დამოკიდებული ყველა ინსტრუმენტის ათვისება და მათი განვითარება იმდენად, რომ თითოეული ინსტრუმენტი კვლევის ამოცანის შესაბამისი იყოს. ყოველივე ეს წინ წამოსწევს იმ პრაქტიკულ პრობლემას, თუ როგორ გადაწყვიტოს მკვლევარმა კრიტერიუმის შერჩევის საკითხი ახალი ტესტის აგებისას ან ვალიდურობის ტიპის მისადაგება უკვე შერჩეული ინსტრუმენტისადმი.

პირველადი ინსტრუმენტის განვითარება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მკვლევარმა უნდა დაასაბუთოს, რამდენად სასურველია არსებული ინსტრუმენტის გამოყენება და თითოეული გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ვალიდურობის შემოწმება. ზოგჯერ შესაძლოა ერთი ინსტრუმენტის ვალიდურობის შეფასება, რომლის გამოყენებაც სხვასთან შედარებით კორელაციური კავშირის მეშვეობით უფრო იოლია, რამდენადაც იგი უფრო კონტროლირებადია (კონკურენტული ვალიდურობა). მაგ., შიზოფრენიით დაავადებულთა უნარების კვლევითი პროექტი პირველ რიგში მოითხოვს ინსტრუმენტის შემოწმებას მათი უნარების კლასიფიკაციისათვის.

რამდენადაც უკვე კვლევის მრავალი ინსტრუმენტი არსებობს, სასურველია დაისვას საკითხი კონკურენტული ვალიდურობის შესახებ. ინსტიტუციონალიზებულად შიზოფრენიით დაავადებულად მიჩნეული ინდივიდების რანჟირება ასახავს თუ არა მათ პრობლემებს? თუ ინსტრუმენტი ვალიდურია, უფრო ადვილად უნდა გაიზომოს ფართე სკალაზე, ვიდრე ინტერვიუს რამდენიმე სერიის მეშვეობით.

პრედიქტული/პროგნოზული (predicted) ვალიდურობა ხშირად დგინდება გაზომვის ინსტრუმენტს ან საზომსა და პროგნოზირებადი შესრულების ზომას შორის კორელაციის მოძიებით. მაგ., უნარების ტესტის შედეგების გამოყენება უმუშევრობასთან დაკავშირებული კონსულტაციის მიზნით, ვალიდურად ასახვს თუ არა მათ პოტენციურ წარმატებას სპეციფიკურ სფეროებში. არცერთი ინსტრუმენტი ვალიდურობით არ ხასიათდება. შეიძლება ითქვას, რომ ვალიდურობის დაცვის შედეგი არის შეფასება ინსტრუმენტის ვალიდურობის სკალაზე ერთსა და ათს შორის. რა უფრო მნიშვნელოვანია: - ის, რომ ამგვარ სკალაზე ინსტრუმენტი შეიძლება დაბლა დაეშვას, თუ ის, რამდენად ფასდება ვალიდურობა და რამდენად კარგადაა დოკუმენტირებული შემდგომი განხილვისა და ანალიზისთვის. კვლევის ერთ-ერთმა გამიზნულმა შედეგმა უფრო შეიძლება გამოიწვიოს ცნების ან კონსტრუქტის შეცვლა ან მოდიფიკაცია, ვიდრე კვლევის ინსტრუმენტმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შეიძლება არ ზომავდეს იმას, რაც ნავარაუდები იყო, მაგრამ შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო გამოდგეს სხვა რომელიმე ცნების გასაზომად. მაგ., დღეს ინტელექტის ბუნების გააზრების გარკვეული შეფასება არსებობს, რომელიც ინტელექტის გაზომვის გამოყენებასა და განვითარებას ეფუძნება. პიროვნული დაკვირვება შეიძლება დაემთხვეს იმ თვალსაზრისს, რომ ინტელექტის დონის დადგენა შესაძლებელია დასწავლისა და ახალი პრობლემების დაძლევის უნარის მიხედვით და იგი უფრო მეტია, ვიდრე ფაქტების დამახსოვრებისა და ცნებების გაგების უნარი.

ეს ეხმაურება კლინის თვალსაზრისს, რომ ინტელექტის გაზომვა უმთავრესად მოიცავს ორივე ტიპის უნარის კომბინაციას: კრისტალიზებულსა (ვერბალური, მექანიკური, რიცხვითი და სოციალური) და ფლუიდურს (აზროვნების აუცილებლობა პრობლემის გადაწყვეტის პროცესში). ადრე არსებული ტესტები ძირითადად გამოიხსნენ იყო კრისტალიზებული უნარების გასაზომად, რომლებიც ხშირად კულტურულ ღირებულებებს ასახავს. დღეს უკვე საბუთდება ამ ორი ტიპის უნარის ბალანსირების აუცილებლობა. მათი რა თანაფარდობა მიიღება მემკვიდრეობით და რამდენადაა შესაძლებელი მათი

გაძლიერება სწავლების (როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლების) გზით. საინტერესოა ინტელექტის გაზომვის მცდელობა, როცა არანაირი საფუძველი არ არსებობს მიმდინარე დებატების გარდა. არსებობს არგუმენტთა გარკვეული რიგი, რომელიც ცხადად მიუთითებს აბსტრაქტული ცნებების ვალიდიზაციის ბუნებაზე.

და ბოლოს, **ფასადური/ზედაპირული ვალიდურობა** (face validity) არის ტერმინი, რომლის გამოყენებაც არ უკავშირდება კონსტრუქტულ ვალიდურობას, მაგრამ ამის მიუხედავად მკვლევრის ინსტრუმენტისადმი გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებს (Frankfort-Nachmias, C., & Nachmias, D.1992).

დაისმის საკითხი, თუ რამდენად ვალიდურია კვლევის მოცემული ინსტრუმენტი? თუ რესპონდენტებისთვის იგი მისაღები არ არის, მათ შეუძლიათ პასუხზე უარი განაცხადონ ან შეკითხვას გულწრფელად არ უპასუხონ, სერიოზულად არ მოეკიდონ მოცემულ ამოცანას ან შეცდომით გასცენ პასუხი.

ვალიდიზაციისადმი ძირითადი მიდგომების სხვა ტიპოლოგიასაც მოვიყვანოთ, რომელიც გარკვეული ასპექტით განსხვავებულია ზემოთ მოყვანილისაგან, თუმცა არა ურთიერთგამომრიცხავია.

1. **პრაგმატული ვალიდურობა.** რამდენადაც გაზომვის ვალიდურობა ფასდება იმ მონაცემთა საფუძველზე, თუ რაოდენ კარგად შეიძლება ქცევების ან მოვლენების პროგნოზირება (წინასწარმეტყველება). გაზომვას, რომელსაც მოვლენების წინასწარმეტყველება შეუძლია, პროგნოსტული ვალიდურობა ახასიათებს. ამგვარი ვალიდიზაციისათვის საჭიროა რაიმე ალტერნატიული მახასიათებლის არსებობა, რაც მათი (ამ ცვლადების) ვალიდური ასახვა იქნება. ჩვენი გაზომვის შემოწმება შესაძლოა ალტერნატიული მახასიათებლით ისევე, როგორც, ვთქვათ, დაბადების შესახებ ცნობის სიზუსტე შეიძლება შევამოწმოთ დაბადების მოწმობის მეშვეობით. სამწუხაროდ, სოციოლოგიურ კვლევებში გამოყენებულ ცნებებში იშვიათად გვხვდება ცხადი (ცალსახა) ვალიდური ალტერნატიული მაჩვენებლები. საბოლოოდ კი მივმართავთ მეორე ტიპის ვალიდიზაციას კონსტრუქტულს.

2. **კონსტრუქტული ვალიდიზაცია** შემდგენაირად ხორციელდება გაზომვის ვალიდურობა გამოგვეყვას მონაცემებიდან, რომელიც გადმოსცემს შესატყვისობის ხარისხს მოლოდინების სხვადასხვა განზომილების შეფასებების შესაბამისობას შორის. ეს კი იმ თეორიიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომელიც მოცემული მაჩვენებლის გამოყენებას უკავშირდება. ამ დროს

მსჯელობა წარიმართება ორი მიმართულებით. თუ X ცნება დადებით კავშირშია Y ცნებასთან და უარყოფით კავშირშია Z ცნებასთან (როგორც ვარაუდობს მოცემული თეორია), მაშინ სწორი იქნება ისიც, რომ ვალიდური გაზომვის შემთხვევაში X ცნებასთან დაკავშირებული შეფასებები დადებით კავშირში იყოს Y ცნებასთან დაკავშირებულ შეფასებებთან და უარყოფით კავშირში Z ცნების შეფასებებთან. არ შეგვიძლია გაზომვის ვალიდობა ამ გაზომვაში ცნებების შეფასებების შედარების მეშვეობით სხვა გაზომვაში იმავე ცვლადის შეფასებებთან, რომელიც ვიცით, რომ ვალიდურია (როგორც დაბადების მოწმობის შემთხვევაში). თუმცა გაზომვის ვალიდურობის დადგენა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ცვლადის მაჩვენებლად გამოყენებული გაზომვა ქმნის იმავე ტიპის ურთიერთობებს მოცემულ ცვლადსა და სხვა ცვლადებს შორის, რომელიც ჩვენი თეორიის თანახმად არის მოსალოდნელი.

კონსტრუქტული ვალიდობის ერთ-ერთი სახეა გარეგანი ვალიდობაცია. ამ დროს ხორციელდება შეფასებათა შედარება ერთი მხრივ, გაზომვაში, რომელიც ვალიდობას ექვემდებარება და მეორე მხრივ, შეფასებებთან სხვა ცვლადებისთვის გაზომვაში. ვალიდობის ამ მეთოდის გამოყენებისას გამოკვლევაში უნდა ჩავრთოთ გაზომვები სხვა ცვლადებისთვის. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი გაზომვებისთვის ვალიდობის ხერხების დადგენა კვლევის პროცესის საწყის ეტაპზე უნდა მოვახდინოთ. რასაკვირველია, ამ დროისათვის უნდა ვიცოდეთ როგორ შევამოწმებთ გაზომვის ვალიდურობას. ეს აუცილებელია საჭირო ინფორმაციის მოპოვების უზრუნველსაყოფად. ხშირად ცვლადებისათვის ვალიდური მაჩვენებლების აღმოჩენა, რომელთაც ძირითადი ცვლადი უნდა უკავშირდებოდეს, გაძნელებულია; ამიტომ შინაგანი ვალიდობის პროცედურა ფრთხილად უნდა ჩატარდეს. ყოველივე ეს ძალიან ჰგავს ჰიპოთეზის შემოწმების პროცედურას. ცალკე აღებული არც ერთი შედეგი არ იძლევა გაზომვის ვალიდურობის (ან არავალიდურობის) გარანტიას. სწორი ვალიდობის შემთხვევათა ზრდასთან ერთად ჩვენ მეტად ვრწმუნდებით გაზომვის ვალიდურობაში. ამ მიზეზის გამო შინაგანი ვალიდობაციაში მართებულია თეორიით ნაკარნახევი უფრო მეტი ურთიერთობების ძიება. ვალიდობის შემოწმების რაც უფრო მეტი ხერხი გვაქვს, მით უფრო საიმედოა შედეგი (მრავლობითი მაჩვენებლის გამოყენება).

მსჯელობათა იგივე ლოგიკა მიესადაგება კონსტრუქტული ვალიდობის მეორე ტიპს – შინაგან ანუ კონვერგენტულ ვალიდობაციას. ვალიდობის ეს ტიპი მოიცავს ერთი და იმავე ცვლადისათვის რამდენიმე გაზომვის შემუშავებას

და მათ ურთიერთშედარებას. თუ A , B და C ვალიდური გაზომვებია X- თვის, მაშინ A , B და C გაზომვებში ყოველი კონკრეტული ობიექტის შეფასებები ძალიან დაახლოებული უნდა იყოს ერთმანეთთან (Frankfort-Nachmias, C., & Nachmias, D. 1992).

3. ვალიდიზაციის მესამე ხერხს დისკრიმინანტულს უწოდებენ. ამ შემთხვევაში საკითხი ასე დაისმის ძირითადად ჩვენ გვაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა რაიმე ცნების მაჩვენებლად მოცემული გაზომვის გამოყენების შემთხვევაში, ეს ცნება განვასხვაოთ სხვა ცნებისაგან. მაგ., თუ გვსურს გავზომოთ *პოლიტიკური მოღვაწეებისადმი ნდობის* ცნება სხვადასხვა კითხვის მეშვეობით, ხოლო ჩვენს კითხვარში არის შეკითხვები, ზოგადად, *ადამიანების მიმართ ნდობის* გასაზომად, ამ ორი გაზომვის შეფასების შედარებისას, ჩნდება კითხვა ხომ არ ასახავს კითხვათა პირველი წყება საერთოდ ადამიანთა მიმართ ნდობის გაზომვის სხვაგვარ ხერხს? როცა პასუხები ერთმანეთს ძალიან უახლოვდება, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნდობის გაზომვას არ გააჩნია დისკრიმინანტული ვალიდურობა, რამდენადაც არ იძლევა ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან განსხვავების საშუალებას. სხვანაირად თუ ვიტყვით, დისკრიმინანტული ვალიდიზაცია ნიშნავს მაჩვენებლის შესახებ დასკვნის გაკეთებას სხვა ცნებებისადმი შეუსაბამობის ხარისხის საფუძველზე, რომლებიც გასაზომი ცნებებისაგან თეორიულად განსხვავებულია.

4. ცხადი ვალიდურობა. ზოგიერთი გაზომვა საკვლევი ქცევის იმდენად პირდაპირ და უშუალო დაკვირვებას ეფუძნება, რომ მათი ვალიდურობის შესახებ საკითხის დასმაც უგუნურება იქნება: ასეთი გაზომვა გარეგნულადაც კი ვალიდურად გამოიყურება. ვთქვათ, გვინდა სახელმწიფოებრივი კანონის დაცვის ხარისხის გაზომვა სააქციზო ნიშნების გამოყენების შესახებ. დამკვირვებელი, ამ შემთხვევაში უბრალოდ აფიქსირებს ამ გამოყენების არსებობა-არარსებობას. ამით კი ვღებულობთ კანონის შესრულების ცხად ვალიდურ გაზომვას. მაგრამ მხოლოდ ამგვარ ვალიდურობაზე დაყრდნობა შეცდომაში შეგვიყვანდა. თუ გამოკვლევის საფუძველზე სწორი დასკვნების მიღება გვსურს, გაზომვის ვალიდურობა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურებით უნდა დამოწმდეს.

საიმედოობა - როდესაც საქმე ვალიდურობას ეხება, გვაინტერესებს, რამდენად ზუსტად შეესაბამება ამა თუ იმ გაზომვის შედეგად მიღებული მნიშვნელობები გასაზომი ცვლადის რეალურ (ნამდვილ) მნიშვნელობებს. როდესაც გაზომვის საიმედოობას ვეხებით, გვაინტერესებს გაზომვით მიღებული

მნიშვნელობების სიმყარე (მდგრადობა). შესაძლებელია თუ არა გაზომვის რამდენჯერმე გამოყენებით ნებისმიერი მოცემული ობიექტისთვის მივიღოთ ერთი და იგივე მნიშვნელობა? თუ საქმე სხვაგვარადაა და სახვადასხვა მიდგომის შედეგად ერთსა და იმავე ობიექტს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება?

თუ რომელიმე გაზომვის არაერთჯერადად გამოყენებისას ერთი და იგივე ობიექტი არ ღებულობს ერთსა და იმავე მნიშვნელობას, ეს გაზომვა შესაბამისი ცნების არასაიმედო მაჩვენებელია. მაგ., სახაზავის საიმედოობის გარანტიის მიზნით, მათ ამზადებენ ისეთი მასალისაგან, რომელიც არ იწველება, არ იჭიმება. წელვადი მასალით დამზადების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ერთი და იგივე ობიექტის სხვადასხვა სიგრძე გვიჩვენონ.

როცა გაზომვა არასაიმედოა, იგი ვერ იქნება ვალიდური, რამდენადაც ზოგი გაზომვა შეფასებებში, რომლებსაც ობიექტებს მივაწერთ, გაზომვის შეცდომებითაა გაპირობებული და არა ობიექტებს შორის რეალური განსხვავებით (ერთი და იგივე საგნის წონა).

შესაძლებელია გაზომვა სავსებით საიმედო იყოს, მაგრამ მაინც არავალიდური აღმოჩნდეს. მაგ., რამდენად მოსწონთ სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანებს თავიანთი მთავრობის პოლიტიკა. კვლევის დროს დასმულმა კითხვებმა არავალიდურ გაზომვასთან შეიძლება მიგვიყვანოს, რამდენადაც ავტორიტარულ ქვეყნებში ხალხს სიმართლის თქმის ეშინია და რასაც ფიქრობს, იმას არ ამბობს. რადგან მოცემული ფაქტორი განაპირობებს უფრო სისტემატურ, ვიდრე შემთხვევით შეცდომას, შეკითხვა საკმაოდ მყარ და მდგრად შედეგებს მოგვცემდა. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენჯერ შეეკითხები, ხალხი ერთსა და იმავე პასუხს იძლევა. ამით კი, ცხადია, გაზომვა ვალიდური ვერ ხდება.

იგი საიმედო იქნება, თუმცა შეიძლება არ იყოს ვალიდური, მაგრამ იგი ვერანაირად ვერ იქნება ვალიდური, თუ საიმედო არ არის. საიმედოობას საფრთხე მხოლოდ შემთხვევითი შეცდომის მხრივ ემუქრება (მაშინ, როცა საფრთხე ვალიდურობას სისტემატურობის და შემთხვევითი შეცდომის მხრივ აქვს). ეს ნიშნავს, რომ თუ წინა (აღრე ჩატარებულ) კვლევებში გაზომვა დამაჯერებლად ვალიდურობის იყო, მისი გამოყენება შეგვიძლია ისე, რომ საიმედოობის გამო შიში არ გვქონდეს: თუ გაზომვა ვალიდურია, ის საიმედოც უნდა იყოს.

როგორ დავიზღვიოთ თავი არასაიმედოობისაგან? როგორ განვსაზღვროთ საიმედოა თუ არა მოცემული გაზომვა?

არასაიმედლობა რომ ავიშორეთ, აუცილებელია გაზომვის შემთხვევითი შეცდომების წყაროების ცოდნა და მათზე კონტროლის დაწესება. კერძოდ, უნდა მოვიზიაროთ გაზომვის რეალური პროცესი და მოვახდინოთ გაზომვის ინსტრუმენტის წინასწარი ტესტირება, რითაც გამოვლინდება შემთხვევითი შეცდომების ადრე უცნობი მიზეზები.

სოციალურ მეცნიერებებში რთულია განსაზღვრო, საიმედოა თუ არა გაზომვა. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ იმ ცვლადების მნიშვნელობები, რომელთანაც საქმე გვაქვს, შეიძლება დროთა განმავლობაში, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ძირეულად შეიცვალოს: ადამიანები იცვლიან შეხედულებებს გამოცდილების დაგროვებასთან ერთად; ქვეყნები ცვლიან პოლოტიკას, რესურსებს და ა.შ. როცა რეალური მნიშვნელობები ასე თუ ისე იცვლება, რთულდება გაზომვის შემთხვევითი შეცდომების ზემოქმედებით შედეგები განასხვავო რეალური მერყეობისაგან გასაზომი ცნების ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ საიმედოობის ტესტები უნდა ჩატარდეს მაქსიმალურად მცირე დროით შუალედებში.

როგორც აღინიშნა, საიმედოობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რაოდენობრივ კვლევებში გაზომვის დროს. სოციალურ მეცნიერებებში გაზომვის საიმედოობის განსაზღვრის მეთოდების სამი ტიპია:

1. არაერთჯერადი ტესტირების მეთოდი ამ შემთხვევაში ერთი და იგივე გაზომვა რამდენჯერმე გამოიყენება ერთი და იმავე ობიექტებისადმი. თუ ისინი (ობიექტები) ყოველ ჯერზე ერთნაირ შეფასებას დებულობენ, გაზომვა საიმედოდ ითვლება. ამ მეთოდთან დაკავშირებით სირთულეები მაშინ ჩნდება, როცა გაზომვა ინტერვიუებისას უკავშირდება (განსხვავებით უსულო ობიექტების მახასიათებლების გაზომვის ან ადამიანებზე ფარული დაკვირვებისაგან). თუ შეკითხვებს დროის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ ვიმეორებთ, რესპონდენტებს ხშირად ახსოვთ მათ მიერ გაცემული პასუხები, და იმ მოსაზრებით, რომ თანმიმდევრულნი იყვნენ თავიანთი პოზიციის გამოხატვაში, იმეორებენ ხოლმე მათ, იმის ნაცვლად, რომ გულახდილი და მართალი პასუხები თქვან. როცა ასეთი სიტუაცია იქმნება, ნაკლებ სავარაუდოა და თითქმის შეუძლებელიც, რომ სწორად შევაფასოთ კითხვების საიმედოობა, როგორც ამ ცნების მაჩვენებელი. ამგვარი სიტუაცია რომ ავიცილოთ, განმეორებითი გამოკითხვის ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ დროის მნიშვნელოვანი შუალედის შემდეგ შეგვიძლია. თუმცა ამ დროს სხვა პრობლემას ვაწყდებით: დროის განმავლობაში ცვლადის ნამდვილი მნიშვნელობები შეიძლება შეიცვალოს, და აღმოვჩნდეთ იმ

მდგომარეობაში, რომ ვერ მოვახდინოთ შეფასებებში სხვაობების დადგენა, რაც შეიძლება განაპირობოს გაზომვის არასაიმედოობამ ან ცვლადის რეალურმა ცვალებადობამ (Толстова, Ю. 1998).

2. აღნიშნულმა პრობლემამ წარმოშვა საიმედოობის სხვა ტესტის შექმნის საჭიროება ეს არის ალტერნატიული ფორმის მეთოდი. მის თანახმად, გაზომვის სხვადასხვა ფორმები ერთსა და იმავე მომენტში ერთი და იმავე ჯგუფის ობიექტებისათვის გამოიყენება, ან ერთი და იგივე გაზომვა გამოიყენება ობიექტთა სხვადასხვა ჯგუფისათვის. ამ შემთხვევაში ტესტ-ფაქტი შეუძლებელია, რამდენადაც ერთზე მეტად არც ერთი ობიექტი არ იზომება, და რადგანაც გაზომვები ერთმანეთისაგან არანაირი დროითი ინტერვალებით არ არიან დაშორებულნი, გაზომვის შედეგებზე საკვლევი ცვლადების რეალური ცვლილებები ვერ მოახდენენ გავლენას (არ აისახებიან). ამ სტრატეგიის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად შევუპირისპირებთ ერთმანეთს გაზომვის ალტერნატიულ ფორმებს, როგორც მოცემული ცნების გაზომვას და ასევე იმაზე, ნამდვილად ეკვივალენტურია თუ არა ორი ჯგუფი გასაზომი ცვლადის დისტრიბუციის თვალსაზრისით. თუ იმის ვარაუდის საფუძველი არსებობს, რომ პირობები სრულდება, მაშინ, რაც უფრო ახლოა ორი გაზომვის ან ორი ჯგუფის შეფასებები, გაზომვის საიმედოობა მით მეტად სარწმუნოა. მაგრამ თუკი შესაძარბელი გაზომვები ან ჯგუფები არ გვაქვს, ამ მეთოდს სათანადოდ ვერ გამოვიყენებთ.

3. და ბოლოს, გაზომვის საიმედოობის ტესტირების ბოლო ხერხია ქვეშერჩევის მეთოდი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტებისაგან ვაყალიბებთ შერჩევას, მას ვყოფთ რამდენიმე ქვეშერჩევად ისე, რომ ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ. შემდეგ ერთსა და იმავე გაზომვას ვიყენებთ ყველა ქვეშერჩევისადმი და გამოვიყენებთ შედეგების მსგავსება-განსხვავებას, როგორც გაზომვის საიმედოობის მაჩვენებელს. რამდენადაც ერთსა და იმავე გაზომვას ვიყენებთ, აუცილებელი არ არის შეპირისპირება-შეჯერება, როგორც ალტერნატიული ფორმის დროს.

ზემოთ მოყვანილი საიმედოობის ტესტებიდან ნებისმიერის შედეგების ინტერპრეტაციისათვის მრავალი სტატისტიკური პროცედურა არსებობს. მაგრამ რომელი მათგანიც არ უნდა მოვიშველიოთ გაზომვის საიმედოობა კვლევის დაწყებამდე უნდა დადგინდეს.

როგორი რთულიც არ უნდა იყოს სოციოლოგიური გაზომვა, მისი ერთადერთი მიზანია შედეგების მიღება.

სოციოლოგიური გაზომვა არ მთავრდება სკალის მეშვეობით რიცხვითი მახასიათებლების მიღების შემდეგ. იგი ითხოვს სისტემატიზაციას, სხვა რიცხვით მაჩვენებლებთან შედარების საშუალებას და აქედან გამომდინარე, მიღებული სოციალური ინფორმაციის ანალიზის საშუალებას.

აქ ვაწყდებით სოციოლოგიური გაზომვის ისეთ თავისებურებებს, რომლებიც მას სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, კერძოდ კი, ფსიქოლოგიაში გამოყენებული გაზომვისაგან განასხვავებს.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ გაზომვის პროცედურები თანამედროვე სახით საზღვარგარეთულ სოციოლოგიაში ექსპერიმენტული ფსიქოლოგიიდან შევიდა. ისინი საკმაოდ იყვნენ განვითარებული და შეესატყვისებოდნენ სოციალურ მახასიათებელთა პირველადი კვანტიფიკაციის ამოცანებს, რადგანაც გარკვეულწილად ჰქონდათ ვალიდურობასა და სანდოობაზე შემოწმების უნარი. სოციოლოგებს ხანდახან კიდევ ავიწყდებათ, რომ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას პრინციპულად განსხვავებული გაზომვის ობიექტები აქვთ. (...)

სოციალური სტატისტიკის მონაცემები ასევე შეიძლება იყოს სოციოლოგიური მახასიათებლები. მაგრამ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სოციალური და სოციოლოგიური მაჩვენებელი. აუცილებელი არ არის, რომ მაინცა და მაინც სოციოლოგიური მაჩვენებელი მივიჩნიოთ სოციალურად. სოციალური შეიძლება იყოს ასევე ეკონომიკური, დემოგრაფიული და ა. შ. მაჩვენებლები. არ არის აუცილებელი, რომ სოციოლოგიური მაჩვენებელი გაზომვის შედეგებზე აიგოს, მაგრამ გაზომვის შედეგი ყოველთვის სოციოლოგიური მაჩვენებელი უნდა იყოს.

გაზომვის მეთოდები და პროცედურა - სოციოლოგიაში გაზომვის ყველა პროცედურა სამ დამოუკიდებელ კლასად ან ტიპად შეიძლება დაიყოს. ეს დამოკიდებულია გაზომვის ობიექტზე, აგების წესსა და გამოყენებაზე. პირველ კლასს მიეკუთვნება გაზომვის პროცედურები; მას შეიძლება სუბიექტურ შეფასებათა მეთოდი ეწოდოს. მისი მიზანია ობიექტების მოწესრიგება ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით, ყოველი ობიექტისათვის იმ რიცხვის მიწერა, რომელიც ადამიანთა ერთგვაროვანი ჯგუფის ცნობიერებაში რაღაც მახასიათებელს გამოხატავს.

შემდეგია განწყობების (დამოკიდებულებების) სკალების აგების პროცედურები, რომლებიც მათ (განწყობების) გაზომვას უკავშირდება. მათი მიზანია რიცხვითი მაჩვენებლის მიწერა, რომელიც საკვლევი ერთობლიობის ყოველი ინდივიდის განწყობის გამოხატვის ინტენსივობას ახასიათებს.

გაზომვის პრობლემა, რომელიც მონაცემთა ანალიზის ხერხის არჩევასაა წარმოიშობა

სოციოლოგიაში გაზომვა ხშირად უკავშირდება შეგროვილ მონა-ცემთა ანალიზის ხერხებს. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გაზომვა სწორედ შედეგების შემდგომი შესწავლისათვის გეჭირდება. გაზომვისადმი მიდგომების ხარისხი სწორედ იმ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, რომ კონსტრუქციულად განისაზღვროს ის შესაძლებლობები, თუ როგორ მოვექცეთ ამ შედეგებს. ამ დროს მრავალი კითხვა ჩნდება.

1) მონაცემთა ანალიზის ხერხის შერჩევა დამოკიდებულია ამოსავალ სკალებზე. ეს გარემოება ინტუიციურ დონეზე ნებისმიერი სოციოლოგისათვის არის ცნობილი. ყველამ იცის, რომ ვთქვათ, საშუალო არითმეტიკულის გამოყენება შესაძლებელია ინტერვალური და შეუძლებელი - სახელდების (ნომინალური) და რიგის სკალებისათვის. მაგრამ სიტუაცია არც ისე მარტივია, როგორც გვეჩვენება. განვმარტოთ მაგალითზე.

ერთი მხრივ, უგუნურება იქნებოდა მნიშვნელობა მიგვეცა საშუალო არითმეტიკულისათვის, მაგ., რიცხვებისათვის 3 და 4, რომელთაგან 3 არის ინჟინრის კოდი, 4 ფარმაცევტის. მაგრამ მეორე მხრივ, განვიხილოთ ასეთი სიტუაცია: ვთქვათ “0” აღნიშნავს კაცს, “1”- ქალს, შესაბამისი საშუალო არითმეტიკული რესპონდენტთა რაღაც ერთობლიობისათვის ტოლია 0,4 -ის. ეს სავსებით მისაღებია, თუ საშუალოს მნიშვნელობას ვაინტერპრეტირებთ არა იმგვარად, რომ განხილული ერთობლიობის ყველაზე ტიპური წარმომადგენელი 40%-ად გვევლინება ქალად, არამედ ეს არის ქალების ხვედრითი წილის შეფასება ერთობლიობაში ისინი 40% -ია. რაღა თქმა უნდა, ეს ცხადია. ამ მაგალითებს მიღმა პრობლემა იმალება. საჭიროა თეორია, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში იმის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემდა, რა მეთოდი და რა აზრით არის გამოსადეგი კონკრეტულ მონაცემთა ანალიზისათვის.

აღნიშნული პრობლემა არ დგება იმ მონაცემთათვის, რომლებიც დაბალი ტიპის სკალების მეშვეობით მიიღება, თუ მათი ანალიზისთვის გამოვიყენებთ ამისათვის სპეციალურად არსებულ მეთოდებს. მაგრამ აქვე სხვა საკითხი

დაისმის. არც თუ ბევრი ასეთი მეთოდისათვის, რომლებიც სოციოლოგის ბუნებრივ ლოგიკას პასუხობს (სოციოლოგის, რომელიც ამგვარ მონაცემებს შეისწავლის), არის შემუშავებული შესაბამისი მათემატიკურ-სტატისტიკური კონცეფცია. ხშირად სრულიად ბუნდოვანია, როგორ უნდა გადაიტანო შედეგები შერჩევიდან გენერალურ ერთობლიობაზე. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა.

2) სკალის ხასიათი დამოკიდებულია გაზომვის შედეგების ანალიზის მეთოდზე. ეს დებულება იმაზე მეტყველებს, რომ მონაცემთა ჩვენი ფორმულირება (ინტერპრეტაცია) გაპირობებულია არა მარტო “გაზომვამდელი” ნაბიჯებით (თუნდაც მათი ფიზიკური მიღების ხერხით), არამედ “გაზომვის შემდგომი” წარმოდგენებით იმ მეთოდების არსზე, რომლებსაც სავარაუდოდ გაზომვის შედეგების ანალიზისათვის გამოვიყენებთ.

ამ ასპექტით ორი მხარე შეიძლება გამოიყოს:

ა) **შინაარსობრივი მხარე.** როდესაც ცნობიერებაში იმ მოვლენის გარკვეული შინაარსობრივი კონცეფცია გვაქვს, რომელიც გაზომვის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა შევისწავლოთ, სოციოლოგი ამოსავალ მონაცემებში დებს აზრს, რომელიც ამ კონცეფციით და შესაბამისად ანალიზის მეთოდის ხასიათითაც არის განსაზღვრული. წარმოდგენილი ასპექტის კერძო შემთხვევას პასუხობს ბლეილოკის გაზომვის დამხმარე თეორია, რომელიც მან შემოიტანა ჰიპოთეზების გაზომვის პროცესში შემდგომი შესასწავლი კავშირების შესახებ. დაახლოებით იგივე მოსაზრებებია გამოთქმული გუტმანის მიერ, სადაც იგი ამბობს, რომ გაზომვის ფარგლებში აუცილებელია სპეციალური თეორიული კონსტრუქციების შემუშავება და, რომ გაზომვის თეორიას, სტატისტიკურისაგან განსხვავებით, საქმე აქვს არა შერჩევის დასკვნებთან, არამედ სტრუქტურული ჰიპოთეზების კონსტრუირებასთან. მაგრამ ამ შემთხვევაში, გუტმანს ვიწრო აზრით აქვს გაგებული კონსტრუირებული ჰიპოთეზები, ანუ ისევე, როგორც ბლეილოკი, ისიც მხოლოდ ცვლადებს შორის კორელაციის სტრუქტურას გულისხმობდა .

ბ) **ფორმალური მხარე.** მონაცემთა ანალიზის ზოგიერთი მეთოდი იმ ვარაუდებს ეყრდნობა, რომ ეს მონაცემები გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებს. ეს პირობები ხანდახან არც თუ უვნებელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიაში გაზომვის პრობლემები არსებობს და ბევრი მათგანი გადაუჭრელია. დგება ისეთი თეორიის შექმნის აუცილებლობა, რომლის ძირითადი მიზნებიც იქნება: 1. სკალური

მნიშვნელობების მიღების პრინციპების შემუშავება, რომელიც ადეკვატურად ასახავს რეალობას ამა თუ იმ კონკრეტულ, სოციოლოგიისათვის საინტერესო სიტუაციაში; 2. აპარატის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ განვსაზღვროთ სკალური მნიშვნელობების ინტერპრეტაციის პრინციპები; 3. დასაშვებობის (არდასაშვებობის) ცნების შემუშავება ასეთი მნიშვნელობების ანალიზის კონკრეტული ხერხები (Tatarova, Г. 998).

ასეთი თეორია ჯერ არ არსებობს.

თავი III

1. თვისებრივი კვლევითი მიდგომა - ფუქციები და შესაძლებლობები

30-იანი წლების დასაწყისში სოციალური კვლევები, რომლებიც თავდაპირველად, როგორც სოციალური რეფორმების “მეცნიერული დასაბუთება”, ისე წარმოიშვა, საკუთარი მეცნიერულობის უფრო მკაცრი კრიტერიუმების შემუშავების წინაშე დადგა. გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ აღამიანთა ქცევების, ზრახვების, შეხედულებების შესახებ ემპირიული მონაცემების შეგროვების ეკლექტური პრაქტიკიდან გადასულიყვნენ სოციალური სტატისტიკის, ექსპერტთა და ელიტის წარმომადგენელთა გამოკითხვებითა და ცხოვრების პირობებზე დაკვირვებით “სუბიექტურ მაჩვენებელთა” გაზომვის პირდაპირ და ირიბ სტანდარტებზე. ისე კი, 1920-30-იანი წლების ზოგადნაციონალურ გამოკვლევებში, ზოგ შემთხვევაში, ახალგაზრდობის შეხედულებებისა და განწყობების, პროფესიული გეგმების, მიგრაციის მიზეზების გამოვლენის მიზნით გამოკითხვის პროცედურები გამოიყენებოდა. მაგრამ, რამდენადაც შერჩევისა და გაზომვის პრობლემები შეუმუშავებელი და დასახვეწი იყო, ასევე არ არსებობდა ცნებების “განწყობა” და “შეხედულება” მკაფიო კონცეპტუალიზაცია, ამგვარი ცდები კრიტიკას ვერ უძლებდა. კრიტიკა კი უპირველეს ყოვლისა, მოდიოდა აკადემიური მეცნიერებიდან, სადაც “რეალური ცხოვრების” ასეთი ფართომასშტაბიანი კვლევების პრაქტიკა და გამოცდილება იყო.

30-იანი წლებიდან ჩამოყალიბება დაიწყო სუბიექტური ცვლადების გაზომვის სოციოლოგიურმა ტრადიციამ, რომელიც განსხვავდებოდა ფსიქოლოგიურისაგან, თუმცა ამ უკანასკნელის მხრივ დიდ ზეგავლენას განიცდიდა. აღსანიშნავია, რომ თუკი სოციალურ ფსიქოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ქცევით და შემეცნებით კომპონენტებს ენიჭებოდა, სოციოლოგიურ დეფინიციებში უფრო შეფასებითი კომპონენტი ჭარბობდა (მაგ., ტერსტოუნისეული განწყობის განსაზღვრება, რომელიც მის თანახმად პოზიტიურ ან ნეგატიურ გრძნობათა დაძაბულობაა, რომელიც განწყობის ობიექტს უკავშირდება). თუმცა, ძირითადი არა განსაზღვრებათა შორის განსხვავება, არამედ მიდგომებსა და პროცედურებს შორის სხვაობა იყო.

ფსიქოლოგები, რომლებიც განწობებს შეისწავლიდნენ, ექსპერიმენტულ ტრადიციას მისდევდნენ, მის ნორმებს იცავდნენ და ნაკლებად ცდილობდნენ, მიესადაგებინათ ლაბორატორიული სამყარო რეალური სოციალური კონტექსტისათვის. თავის მხრივ, სოციოლოგებიც არ თანაუგრძობდნენ ექსპერიმენტული მეთოდების ღირსებებს და ნაკლოვანებათა მიუხედავად, მათი აზრით, მასობრივი გამოკითხვები იძლევა შესაძლებლობას, რომ მონაცემები მივიღოთ ჯგუფებზე, სუბკულტურებზე და ა.შ. ოღონდაც, განსხვავებულია გაზომვის ტექნიკა, რესპონდენტთა შერჩევა და კვლევის ჩატარების პირობები, ასევე ინდიკატორების მიზანშეწონილობა (ვინ რომელს მიიჩნევს მ.ბ.).

1920-30-იან წლებში ფსიქოლოგიაში განწყობათა გაზომვის შესახებ მრავალი შრომა გამოჩნდა. მათი ავტორები, ერთი მხრივ, ცდილობდნენ კვანტიფიკაცია შემოეტანათ კვლევებში და ამით ალტერნატივა შეექმნათ რადიკალური ბიჰევიორიზმისათვის, და მეორე მხრივ ფსიქომეტრული მიდგომისა და ტესტების თეორიის გამოყენების სფეროები გაეფართოებინათ. ფსიქოლოგიური კვლევების მონაწილენი ძირითადად სტუდენტები იყვნენ. 1935 წლის კლასიკურ მიმოხილვაში (გორდონ ოლპორტის), არც არის ნახსენები, რომ კვლევები სტუდენტებსა და მოსწავლეებზე ტარდებოდა, თანაც სტუდენტები განიხილებოდა არა როგორც სპეციფიკური ჯგუფი, არამედ როგორც “ხალხის ნაწილი” ზოგადად.

ამის ძირითად მიზეზთაგან ჩვენთვის საინტერესოა და არსებითი შემდეგი:

1) ფსიქოლოგები, ჩვეულებრივ, იყენებდნენ გაზომვის უფრო რთულ ინსტრუმენტებს და უფრო ზუსტ ჰიპოთეზებს იმ პირობებში, რომლებიც უფრო ახლოა ლაბორატორიულ ექსპერიმენტთან კონტროლის ხარისხით.

2) ეს კი ითხოვდა სტანდარტულ პროცედურებსა და მაღალ მზაობას თანამშრომლობისათვის საკვლევა მხრივ. რამდენადაც შედეგების აღწერა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ექსპერიმენტული ტრადიციების კანონებთან, მასში უნდა ყოფილიყო ვალიდურობისა და საიმედოობის ცნობები, საკვლევი ნაწილი უნდა ყოფილიყო კომპეტენტური და თვითრეფლექსიის ჩვევებით. ამას გარდა, არსებითი ფაქტორი იყო საკვლევი სტუდენტებთან ექსპერიმენტის “სიიაფე”.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრადიციით განწყობათა კვლევა აღნიშნულ პერიოდში ეფუძნებოდა ირიბ ინდიკატორებს გამოთქმულ შეხედულებებს. მართალია, განწყობათა სტრუქტურის მრავალდონიანობა და განწყობებისა და

შეხედულებების კავშირის არაწრფივობა მკაფიოდ აღიქმებოდა, ფსიქოლოგებს სოციოლოგებზე ნაკლებად ეპარებოდათ ეჭვი თავიანთი გასაზომი ინსტრუმენტის ვალიდურობაში, და თვით გასაზომი კონსტრუქტის ანუ განწყობის სტატუსში.

ამ მოსაზრებების საფუძვლიანობას უფრო ეჭვქვეშ აყენებდნენ სოციოლოგები.

რაოდენობრივი სოციოლოგიური მიდგომის თავისებურება არა მარტო სოციოლოგიის საგანზე და მეთოდზე შეხედულებებით განისაზღვრებოდა, არამედ პროფესიული ერთობის კონკრეტული თავისებურებებითა და საუკუნის პირველ მესამედში ჩამოყალიბებული კვლევითი პრაქტიკის ტიპებითაც.

ემპირიულ სოციოლოგიაში ინდივიდუალურ შეხედულებათა და განწყობათა კვლევების თანმიმდევრული კრიტიკა მოგვიანებით, 50-იან წლებში დაიწყო კრიტიკული სოციოლოგიის წარმომადგენელთა მიერ...

ამერიკულ აკადემიურ სოციოლოგიაში “რაოდენობრივი” მხარით ძირითადად დემოგრაფები და სტატისტიკის სფეროს ცალკეული წარმომადგენლები იყვნენ დაკავებული. სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, არ არსებობდა ექსპერიმენტული ტრადიცია მისი კვანტიფიკაციის შესახებ.

როგორც ჯ. კონვერსი აღნიშნავს: “სოციოლოგთა დიდი ნაწილი, რომელიც დაინტერესდა განწყობებით, ჯერ კიდევ ცუდად ფლობდა რაოდენობრივ ტექნიკას. ისინი, ძირითადად, ინტუიტიურად მუშაობდნენ არასტრუქტურირებული ინტერვიუთი, არასტანდარტიზებული კითხვარებითა და ინტერვიუს ბლანკებით, გამოიყენებდნენ დღიურებს, წერილებს და სხვა პირად დოკუმენტებს ცხოვრების თვისებრივი მხარის შესახებ.

ზოგიერთი სოციოლოგი ცდილობდა ერთმანეთისათვის შეერწყა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები რადგან მიიჩნევდნენ, რომ თვისებრივ მონაცემებზე დაფუძნებული ჰიპოთეზების გამყარება შესაძლებელია მკაცრი სტატისტიკური შემოწმებით უფრო ფართე მასალაზე. თუმცა აქ წინააღმდეგობა შესაძლებელია სოციოლოგისთვის ხელმისაწვდომი თვით სტატისტიკური მასალა ყოფილიყო. სტანდარტული მეთოდები პრაქტიკულად არ არსებობდა, შერჩევის პრობლემა 30-იან წლებამდე თეორიულადაც კი არ იყო გადაჭრილი (სოციოლოგიაში თანამედროვე შერჩევის მეთოდის საფუძვლების მკაცრი დასაბუთება ეჟი ნეიმანმა მოგვცა 1934 წელს, ხოლო სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკაში ალბათური შერჩევისა და სტრატეფიკაციის იდეამ დამკვიდრება

მხოლოდ 40-იან წლებში დაიწყო).სოციოლოგიაში ემპირიული კვლევების მეთოდები რაოდენობრივად და თვისებრივად იყოფა.

რაოდენობრივი მეთოდები ხასიათდება როგორც “ფორმალიზებული” და ‘მასობრივი’. ფორმალიზაციაში მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება: ა) რამდენად არის მიმართული მეთოდიკა გასაანალიზებელ ცვლადთა მკაცრად განსაზღვრულ ერთობლიობაზე და ბ) მათი რაოდენობრივი გაზომვა. ფორმალიზებული მეთოდიკური ინსტრუმენტების თავისებურებაა, რომ მათში საკვლევი ცვლადები წინასწარ არის მოცემული. მისი შეცვლა კვლევის პროცესში (შემდგომი მისადაგება) შეუძლებელია. სოციოლოგიური კვლევის ფორმალიზებული რაოდენობრივი მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება: სტატისტიკა, ანკეტა დახურული კითხვებით, სტრუქტურირებული დაკვირვება, კონტენტ-ანალიზი .

ისტორიულობის თვალსაზრისით ორივე ტრადიცია პრაქტიკულად თანადროულად წარმოიშვა. პირველ სერიოზულ ემპირიულ (თვისებრივი მიდგომის თვალსაზრისით) ნაშრომად ფრანგი მკვლევრის ფ. ლე-პლეს შრომა შეიძლება ჩაითვალოს (სხვადასხვა ფენის 300 ოჯახის კვლევა, მონოგრაფიული აღწერა). წიგნს ერქვა “ევროპელი მშრომელები”, გამოიცა 1855 წელს. მანამდე კი, 1835 წელს გამოვიდა ა. კეტლეს ნაშრომი “სოციალური ფიზიკის ცდა”, რომელმაც სათავე დაუდო ემპირიული რაოდენობრივი მონაცემების გამოყენებას სოციალურ მოვლენათა კანონზომიერების დასადგენად (Семёнова, В. 1998)..

ისტორიულად რაოდენობრივი და თვისებრივი ტრადიცია სოციალურ მეცნიერებებში ნაწილობრივ თანაარსებობდნენ, ნაწილობრივ კი თეორიული კონფლიქტის მდგომარეობაში იყვნენ.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ემპირიულ სოციოლოგიაში თვისებრივმა მხარემ (ავტობიოგრაფიების, წერილებისა და დღიურების ანალიზი) დაიწყო განვითარება. სავარაუდოა, რომ ასეთი დოკუმენტებისადმი ინტერესი ძირითადად გამომდინარეობდა ცნობიერების კვლევების ფილოსოფიური შრომებიდან, რომლებიც საფუძვლად ედო თეორიული სოციოლოგიის წარმოშობას.

შემდგომი პერიოდი, პირობითად 30-60-იანი და ნაწილობრივ 70-იანი წლები (XX ს.) რაოდენობრივი მეთოდების პოპულარობის პერიოდია. ამ გარდატეხას ორმაგი ბუნება ჰქონდა. ერთი მხრივ, ეს მიზეზები უკავშირდებოდა აშშ-ში 20-30-იან წლებში მასობრივი გამოკითხვების მეთოდების გამოყენებას (მის ათვისებას).

მეორე მიზეზი უფრო მსოფლმხედველობრივი ხასიათის იყო და ამ ისტორიულ ეპოქაში მეცნიერული ცოდნის ბუნებაზე პოზიტივისტური შეხედულებების წარმოშობასა და განვითარებას უკავშირდებოდა.

ლოგიკური პოზიტივიზმის ძირეული იდეები შემუშავდა 30-იანი წლების დასაწყისში ვენის ლოგიკური წრის მიერ, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსები და მათემატიკოსები მორიც შლიკი, ოტო ნერაიტი, რუდოლფ კარნაპი; ისინი ეყრდნობოდნენ ვიტგენშტეინის “ლოგიკურ-მათემატიკურ ტრაქტატს” (1921 წ.). ლოგიკური პოზიტივიზმის ერთ-ერთი საკვანძო დებულება ემყარება ე.წ. “ვერიფიკაციონიზმის პრინციპს”. ვერიფიკაციონიზმი გადმოსცემს მეცნიერული შემეცნების პროცესს, როგორც ფაქტების ემპირიული შემოწმების პროცედურას, რაც საფუძვლად უდევს შესატყვის მტკიცებებს.

30-იანი წლების ბოლოს ამ კონცეფციამ კრიზისი განიცადა, რამდენადაც დამტკიცდა, რომ მეცნიერული შემეცნების რეალური პროცესი ვერ ჯდება მის ფარგლებში. კერძოდ, იმ პრობლემათა შორის, რომლებიც მოცემულ ჩარჩოებში ვერ გადაიჭრა, აღმოჩნდა ჰიპოთეზების წარმოშობის პრობლემაც. ყურადღება გამახვილდა ვერიფიკაციის პროცედურებზე, გადაუჭრელი დარჩა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ჩნდება შინაარსობრივი ჰიპოთეზა, რომელიც შემოწმებას მოითხოვს.

30-იან წლებში შეხედულებათა პოზიტივისტური სისტემა პოპულარული გახდა სამეცნიერო ინტელიგენციის წრეებში და სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის მეცნიერთა მსოფლმხედველობაზე იქონია გავლენა. გამონაკლისი არც სოციოლოგია აღმოჩნდა, რომელშიც მკვეთრად გაიზარდა ინტერესი მეცნიერული ცოდნის ემპირიული ვერიფიკაციის პრობლემებისადმი, ემპირიული კვლევების რაოდენობრივი ასპექტებისა და გაზომვის პროცედურებისადმი.

პოზიტივისტური და “რაოდენობრივი” შეხედულებები სოციოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიასა და მეთოდოლოგიაზე 60-იან წლებამდე ჭარბობდა. შემდგომ დაიწყო მათი კრიტიკა, რომლის წყაროებიც, ერთი მხრივ, ემპირიული ხასიათის, ხოლო მეორე მხრივ მსოფლმხედველობრივი იყო. კრიტიკის ემპირიული წყარო ის იყო, რომ ჩატარებულ კვლევებს მეცნიერულად დაბალი დონისად მიიჩნევდნენ.

რაც შეეხება მსოფლმხედველობრივ მიზეზებს, ისინი ავტონომიური ხასიათისა იყო და მეცნიერული ცოდნის გაგების ახლებურ გნოსეოლოგიურ

მიდგომას უკავშირდებოდა. 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები (თუმცა არაერთმნიშვნელოვანი) თვით სოციოლოგიური თეორიის შიგნით მოხდა. და ისინი ახალი თეორიული მიმართულებების ფენომენოლოგიისა და ეთნომეთოდოლოგიის წარმოშობას უკავშირდებიდა.

თვისებრივი მიდგომის არსი

ამ მეთოდის გამოყენება პრიორიტეტულია მაშინ, როდესაც მკვლევრის ყურადღების ცენტრში ექცევა ცალკეული სოციალური ობიექტების თავისებურებების შესწავლა, მოვლენის ან შემთხვევის საერთო სურათის კვლევა მის შემადგენლებთან ერთობლიობაში, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთქმედება. აგრეთვე, იგი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ახალი მოვლენები და პროცესები, რომლებიც მასობრივად არ არის გაგრძელებული, განსაკუთრებით მკვეთრი სოციალური ცვლილების პირობებში.

თვისებრივი მიდგომის ზოგადი სტრატეგია მდგომარეობს პრობლემური სიტუაციის ანალიზის ღია, ძიებით, არასტრუქტურირებულ ხასიათში. მკვლევრის ყურადღება მიმართულია ცალკეული სუბიექტების განხილვაზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთობლიობაში.

მაქს ვებერის ტრადიციას თუ მივყევით, “თვისებრივი” მკვლევარი-სოციოლოგი არკვევს, თუ რა მნიშვნელობებს ანიჭებს სუბიექტი თავის ქმედებას. მკვლევარი ამ სუბიექტური მნიშვნელობების ინტერპრეტაციას ახდენს და მათ გარკვეული ლოგიკური მიმდევრობით ალაგებს, რათა ადამიანის ქცევის ტიპური მოდელების კონსტრუირება მოახდინოს.

მას ასევე უწოდებენ მიკროსოციოლოგიას ან “ფრაგმენტულს”, რამდენადაც ამგვარი მიდგომის პირობებში ხდება ყურადღების კონცენტრირება კონკრეტული ურთიერთქმედებების (ინტერაქციების) მიკროანალიზზე. გ. ზიმელს მიაჩნდა, რომ გლობალური სოციალური თეორიები სოციოლოგიაში შეუძლებელია. თავის ანალიზში იგი ეყრდნობოდა ადამიანური გამოცდილების “მიკროსაფუძვლებს”, პირველ რიგში მის კულტურულ შემადგენელს, რომლის წყალობითაც, ზიმელის აზრით, შესაძლებელია ერთი მხრივ, რეალური ცხოვრების ინდივიდუალური გამოცდილების გაგება, მეორე მხრივ საზოგადოების ხედვა, როგორც ერთიანი მოზაიკური ტილოს ხედვა, რომელიც სხვადასხვა ფრაგმენტებით არის ნაქსოვი.

თვისებრივ მეთოდოლოგიას ხშირად უწოდებენ ინტერპრეტაციულს ან გაგებითს, რამდენადაც ამ შემთხვევაში სოციოლოგი სოციალური აგენტების ქმედებას განიხილავს როგორც მოტივირებულს, რომელსაც აქვს საზრისი და სხვებზეა ორიენტირებული. ეს ქმედებები ანალიზს სწორედ იმ მნიშვნელობებში შეღწევის მეშვეობით ექვემდებარება, რომელსაც მათ ადამიანები ანიჭებენ ანუ სოციალური მოქმედებების გაგებისა და ინტერპრეტაციის გზით (ვებერი, ზიმელი).

თვისებრივ პარადიგმაში აქცენტირებულია ინდივიდუალური მხარე და იგი ერწყმის ამ ინდივიდუალურის შესახებ ბუნებრივი გზით მონაცემთა მოპოვების ხერხს. ეს ნიშნავს, რომ სოციოლოგმა იმგვარად უნდა ააგოს კვლევის პროცესი, რომ არ დაარღვიოს აქტორებისთვის ჩვეული წესი. სხვაგვარად თუ ვიტყვით, თვისებრივი კვლევა პრინციპულად უარყოფს ისეთ კვლევით პროცედურებს, რომლებიც რესპონდენტებს იყენებს “საცდელ ბაჭიებად” (მაგალითად, როგორც ექსპერიმენტში). გამოკითხვის მეთოდი, როგორც ნებისმიერი კვლევითი ინსტრუმენტი, ყოველთვის ხელოვნურია. თუმცა განიცდის ტრანსფორმაციას და ცდილობს იყოს მაქსიმალურად ბუნებრივი. ამ თვალსაზრისით კი, თვისებრივი კვლევები ყოველთვის ნატურალისტურია: “თვისებრივი სოციოლოგები” უპირატესობას ანიჭებენ ადამიანების, საგნებისა და მოვლენების კვლევას ბუნებრივ გარემოში.

თვისებრივი სოციოლოგია პრინციპულად აღიარებს ინდეტერმინიზმს, რადგანაც მიიჩნევს, რომ სოციალურ მოქმედებაში, რომელიც ნებისმიერი სოციალობის საწყისია, შედის სუბიექტურობა, რეფლექსურობა, სიტუაციური გადმოცემები/გამოვლინებები, მოულოდნელი სიახლის გამოჩენა. სოციალური რეალობა ამ შემთხვევაში არის პროცესი, რაღაცის ჩამოყალიბება, დაუსრულებელი რამ.

“თვისებრივი მიდგომისას მკვლევარი ველზე გადის კონცეპციებით, ჰიპოთეზებით და გაზომვითი ინსტრუმენტებით შეიარაღებული და იმ განზრახვით, რომ ამ ფოკუსის გავლით წესრიგი შეიტანოს განსხვავებული ობიექტებისა და მოვლენების ერთობლიობაში. ანუ მკვლევარი მიემგზავრება ექსპედიციაში შეუიარაღებელი, მაგრამ მომზადებული წინარე გამოცდილებით, მოცემულ პრობლემებთან დაკავშირებული წინასწარი ცოდნით, იმ განზრახვით, რომ ამოხსნას და ჩაწვდეს, თუ რა ხდება სინამდვილეში და ეს აღწეროს თეორიულად”. როგორც ვხედავთ, თვისებრივი მიდგომისას თეორია

ავიღებინებს კვლევის პროცესს, საწყისად კი მხოლოდ “მოცემული პრობლემების შესახებ არსებული სოციალური გამოცდილება” გვაქვს.

სოციალური მოვლენების შესწავლისას სოციოლოგები ისეთ კვლევით სტრატეგიას ირჩევენ, რომელიც შესასწავლი მოვლენის ბუნებას შეესატყვისება და მის უფრო სრულყოფილად გახსნას უწყობს ხელს. ერთი რომელიმე სტრატეგიის გამოყენებამ შესაძლოა მიღებული ინფორმაციის ცალმხრივობასთან მიგვიყვანოს. ნებისმიერი მეთოდოლოგიური შეხედულება ნაწილობრივი და არასრულია. ჩვენი აზრით, რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების დაპირისპირება, რომელსაც ჯერაც კიდევ ვხვდებით კვლევით პოზიებში, საკმაოდ ილუზორულია. თუ გავითვალისწინებთ პრინციპულ სხვაობებს ამოსავალ წანამძღვრებში, შეგვიძლია ეს მიდგომები განვიხილოთ როგორც ურთიერთშემავსებელი, რომლებიც სოციალური ცხოვრების განსხვავებულ, მაგრამ დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებს იკვლევენ: მოვლენის უნიკალურობასა და ტიპურობას, მის სტატისტიკასა და დინამიკას და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ კვლევით პრაქტიკაში დიდი ხანია, რაც არსებობს ორივე მეთოდის გამაერთიანებელი ტენდენციები (ტრიანგულაცია). ტრიანგულაციის ცნება სოციოლოგიაში პირველმა გამოიყენა დენზინმა წიგნში “კვლევითი აქტი”, რომელშიც იგი განმარტავს, რომ ტრიანგულაცია არის მრავალმხრივი მეთოდების გამოყენება ერთი და იმავე ემპირიული მოვლენის ანალიზისას.

დენცინის ნაშრომებზე დაყრდნობით, საზოგადოებათმცოდნეობაში ტერმინით “ტრიანგულაცია” აღინიშნებოდა სოციალური მოვლენის სიზუსტის ამაღლების შესწავლის აუცილებლობა მრავალი მეთოდის მეშვეობით. პ. ლაზარსფელდის აზრით, ტრიანგულაცია გვეხმარება დავაზუსტოთ ობიექტის რეალური მდგომარეობა სხვადასხვა მხრიდან და მიმართულებიდან დაკვირვების შედეგად.

ასე რომ, შეიძლება ითქვას კვლევითი მეთოდების არჩევა ხდება კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად: როდესაც ამა თუ იმ მოვლენის სრული და ყოველმხრივი შესწავლა აუცილებელი, პრიორიტეტი ტრიანგულაციას ანუ ორივე მეთოდის გამოყენებას ენიჭება.

თვისებრივი მეთოდის არასტანდარტულობა, მისი შედარებითი სიახლე და შემეცნებითი შესაძლებლობები XX საუკუნის 20-30-იანი წლების

სოციოლოგიისთვის უნიკალურ შესაძლებლობად იქცა, რამაც სოციალური მოვლენების უფრო სიღრმისეულ შესწავლას შეუწყო ხელი. მიზეზების ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს, რომელმაც სოციოლოგიურ კვლევაში ამ ალტერნატიული მიდგომის წარმოშობას უბიძგა:

1. გლობალური ხასიათის მიზეზები, რომლებიც XX საუკუნეში თეორიული პარადიგმების ცვლასთან არის დაკავშირებული
2. ლოკალური, შინაგანი, რომელიც განპირობებული იყო დაუკმაყოფილებლობით კლასიკური მიდგომის “შემცვნებითი ჰორიზონტისადმი”.

პირველ (გლობალურ) ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ XX საუკუნეში მეცნიერების მკვეთრი პრესტიჟის დაცემა ახალ დროებაში. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მეცნიერებას ბევრი რამით უკავშირებენ კაცობრიობის გლობალურ კატასტროფებს. კრიტიკას იმსახურებს მეცნიერების ინტენცია დაიპყროს სამყარო.

მეორე (ლოკალურ) ჯგუფს მიეკუთვნება კლასიკური მიდგომის ჩარჩოებში შემცვნებითი პროცესის ის მხარეები, რომლებიც კრიტიკას შიგნიდან იმსახურებს: სოციოლოგ-ემპირიკოსთა მხრიდან, რომელთაც ასეთი კვლევების საკმაოდ დიდი გამოცდილება დაიგროვეს. ყველაზე მეტად სოციოლოგების უკმაყოფილება გამოწვეული იყო მათემატიკური გამოცდილებით – მრავალგანზომილებიანი სტატისტიკის მეთოდებით, მათემატიკური მოდელირებით სოციალურ მოვლენათა აღწერისა და ახსნისათვის.

სინამდვილეში, სტატისტიკური ტრადიცია, რომელიც კლასიკურმა სოციოლოგიამ აითვისა, გულისხმობს, რომ შესასწავლი ობიექტები ერთურთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ; მათი ცალკეული თვისებები კარგად არის გამონაწევრებული და ასევე დაუკიდებელია ან უმარტივესი დამოკიდებულებებით არიან დაკავშირებული. ეს ტრადიცია ასევე გულისხმობს, რომ სირთულეს არ წარმოადგენს იმ მახასიათებელთა გამოვლენა, რომლებიც მათი ელემენტარული თვისებებიდან ობიექტების მთლიანობას აღწერენ. სოციოლოგთა შორის სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს და მყარდება აზრი იმის თაობაზე, რომ მათემატიკისა და სოციოლოგიის შერწყმა-ადაპტაცია წარმოუდგენლად რთული და პრობლემურია მიუხედავად მათემატიკოსთა და სოციოლოგთა დიდი ძალისხმევისა სოციოლოგიის მეცნიერების მოთხოვნებს

მიუსადაგონ უახლესი მათემატიკური მოდელები და ორიგინალური მათემატიკური აპარატი.

კიდევ ერთი პრინციპული შინაგანი პრეტენზია ის არის, რომ შეუძლებელი იყო კლასიკური მიდგომის ფარგლებში აღწერილიყო სოციალური ობიექტის რეალური მთლიანობა-ერთიანობა, რადგან ზოგჯერ ეს იყო არათავსებადის, წინააღმდეგობრივის შერწყმა. მაგრამ რა ვუყოთ რთულ სოციალურ მახასიათებლებს, რეალურ მთლიანობებს, როგორც არის ცნობიერების ტიპი, ცხოვრების სტილი, მოხმარების ხარისხი (თვისებრიობის ასპექტით)?

კლასიკური სოციოლოგიის უარყოფით მხარეებს აკუთვნებენ იმას, რომ სოციალური ობიექტების შესწავლა შეუძლებელია მის დროით ცვალებადობაში, რომელიც განპირობებულია როგორც ობიექტის გენეტიკური ბუნებით (მაგ., მოზარდთა ზრდა), ისე სოციალური პროცესებით. ლონგიტუდური კვლევები, რომლებიც ცდილობენ აღწერონ თაობათა ცვლილებები ქცევის ფორმებში, ცნობიერების ტიპებში, სადაც ათწლეულების განმავლობაში ერთი და იგივე ადამიანები შეისწავლებიან, რომლებიც ცხოვრებისეული ციკლის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან; უფრო ვეზოტიკა, ვიდრე რეალური კვლევითი პრაქტიკა და ასევე, ნაკლვანებებს შეიძლება მივაკუთვნოთ სუბიექტურობა.

ამას გარდა, გაჩნდა იმის განცდა, რომ თვისებრივი მონაცემები, რომლებიც გამოკითხვებით მიიღება, სრულიადაც არ არის ობიექტური ეს არის პასუხების ჯამი სტანდარტიზებულ შეკითხვებზე პასუხების, რომლებიც თანამედროვე ფრანგი სოციოლოგის დ. ბერტოს აზრით, სრულიად სუბიექტურია თავისთავად და ასეთად რჩება, გინდ ციფრებით მოახდინო მათი კოდირება, გინდ შეურიო და ისე გამოიყვანო საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი. “რა ხერხითაც არ უნდა მოამზადო კატები ან კატების რეპრეზენტატული შერჩევა მოახდინო, ისინი ვერასდროს გადაიქცევიან ბოცვრებად” (Берто, Д. 1997).

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი სრულად ვერ დაეთანხმება და გაიზიარებს ამ პოზიციას. ამის პასუხად კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციოლოგიური კვლევის ხარისხი ტრადიციულ სამეცნიერო მიდგომისას ფასდება მისი ობიექტურობა-სუბიექტურობის კრიტერიუმებით და გულისხმობს, რომ მხოლოდ ობიექტური კვლევა შეიძლება დავახასიათოთ როგორც სანდო, საიმედო, ვალიდური, დასაბუთებული. თვისებრივ კვლევებში აღნიშნული პრობლემა ყოველთვის მათი შემეცნებითი ბუნების კრიტიკის ცენტრში რჩებოდა. ამის მიზეზი არის შემდეგი: თვისებრივი კვლევის პროცესი, ძირითადად,

მონაცემთა მოპოვების ეტაპზე არაფორმალიზებული და ნახევრად ფორმალიზებული ინტერვიუს ჩატარებას გულისხმობს. ამასთან, ყოველი ინტერვიუ არის უნიკალური საუბარი, რომელსაც კრიტიკულად შეუძლია გავლენა მოახდინოს შემდგომ მონაცემთა ანალიზის მსვლელობასა და ძირითად დასკვნებზე. ამ აზრით, საკვლევი პირი, ისე როგორც ინტერვიუერი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ცხადია, რომ თვისებრივ კვლევაში, როდესაც ობიექტთან ხდება სოციალური დაახლოება, ობიექტი-ადამიანი იწყებს კვლევის მსვლელობაზე გავლენის მოხდენას, ანუ სულ უფრო მეტად იძენს კვლევის პროცესის სუბიექტის თვისებებს, ე.ი. ხდება კვლევის პროცესის სუბიექტივიზაცია (Савинская, И. 2002).

სუბიექტურობის დაძლევის მიზნით ავტორთა ნაწილი შემდეგ გზებს გვთავაზობს:

- ჯგუფური ანალიზი და მონაცემთა ინტერპრეტაცია
- ტრიანგულაცია და სხვა პროცედურები, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს რეზულტატების სანდოობა და საიმედოობა
- “კრიტიკოსის” ყოფნა/არსებობა კვლევით ჯგუფში

იმისათვის, რომ სოციოლოგიურ კვლევებში რომელიმე მიდგომა გამოიყენოს, უნდა შეისწავლო მისი განვითარების ისტორია, რათა ობიექტურად შეფასდეს მისი კვლევითი შესაძლებლობები და მიღებულ მონაცემთა ხარისხი.

არ არის დიდი ხანი, რაც თვისებრივი სოციოლოგიის ფორმირება და მის მიერ სხვადასხვა კვლევითი მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება ხდება. ამიტომაც მისი ცნებითი აპარატი და კვლევითი პროცედურები ბოლომდე მკაცრად ფორმულირებული არ არის.

თვისებრივი სოციოლოგიის აღმავლობას უკავშირებენ XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩიკაგოს სკოლის განვითარებას და ისეთ სახელებს, როგორც არის უ. თომასი და ფ. ზნანცკი, კ. ბოგარდუსი, რ. პარკი და სხვ. მათი გამოკვლევები ეხებოდა გადახრილ ქცევებსა და კრიმინოლოგიას, ეთნიკურ პრობლემებს და ურბანისტიკას, ასევე იყო თეორიული შრომები Case study, ცხოვრების ისტორიები, პირადი დოკუმენტები და ავტობიოგრაფიები (Баньковская, И.П. 1998).

სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა (ჯ. მიდი, ი. ჰაბერმასი, კ. ბლუმერი) შემოიტანა წარმოდგენა ენის შესახებ, როგორც საფუძველი სოციალური

კომუნიკაციის საზრისების ინტერპრეტაციისთვის. ამ მიდგომის თანახმად, საზოგადოებაში ინტერაქცია ხორციელდება ენის მეშვეობით, უცხუების გაცვლით, სიმბოლოებით.

ფენომენოლოგიურ ტრადიციაში ეს იდეები განვითარებულია იმ წარმოდგენამდე, რომ ადამიანის ქცევის მოტივების გაგება შესაძლოა მხოლოდ მისი ბიოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, ალფრედ შიუცის მიხედვით, “ცხოვრებისეული სამყაროდან გამომდინარე”. ადამიანები სუბიექტურად აგებენ სოციალურ რეალობას, ყოველ სოციალურ სიტუაციაში თავიანთი მოტივები და ქცევის მოდელები შემოაქვთ (პ. ბერგერი და ტ. ლუკმანი) და, როცა ასეთი სიტუაციები მეორდება, იმავე მოტივებსა და მოდელებს იყენებენ, ახდენენ მათ ტიპიზაციას.

ეთნომეთოდოლოგია ეყრდნობა ქცევის მნიშვნელობათა კვლევას ადამიანთა რუტინული ყოველდღიურობის ტაქტიკას ემპირიული დაკვირვების გზით. აქ ექსპერტებად ითვლებიან რიგითი ადამიანები, რომლებიც უფრო კომპეტენტური არიან ყოველდღიურ გამოცდილებაში, ვიდრე რომელიმე პროფესიონალი სოციოლოგი. ანალიზის მოცემულ ასპექტს ასევე უწოდებენ ფოლკლორულ სოციოლოგიას (გ. გარფინკელი).

ამგვარად, სოციოლოგიური ლიტერატურის ანალიზმა პრობლემასთან დაკავშირებით საშუალება მოგვცა გამოგვევლინა თვისებრივი მეთოდის განსხვავებულობა რაოდენობრივისგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ახსნას სოციალური მოვლენებისა და პროცესების ადამიანური “არსი”, კვლევის ობიექტი მასში არის ინდივიდი, მისი სოციალური სამყარო, მის მიერ გარე რეალობის და მისი თვითშეცნობის სამყაროს ახსნა. თვისებრივი მიდგომა დასავლეთში მე-20 საუკუნის 20-30 წლებში წარმოიშვა. ამას ხელი შეუწყო რაოდენობრივ კვლევაში კვლევითი კრიზისის გაჩენამ, რომელიც იმ ახსნას ემყარებოდა, რომ მას არ შეუძლია ახსნას ინდივიდის შინაგანი სამყარო, მისი პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ სოციუმთან ურთიერთქმედებაზე.

გაგებითი სოციოლოგია - ვიწრო აზრით, ეს არის მაქს ვებერის სოციოლოგიური კონცეფცია, ფართე აზრით, სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ორიენტაციით მიმართულია მისი ნატურალისტური განწყობებისა და პოზიტივისტური მეთოდოლოგიის დაძლევისკენ, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სათავე დაუდო მის

შემდგომ არაკლასიკურ ვერსიებს: ფენომენოლოგიურ სოციოლოგიას, ეთნომეთოდოლოგიას, კოგნიტურ სოციოლოგიას და ა.შ. მის პოსტმოდერნისტულ პროექტამდე (ზ. ბაუმანი, ვ. ველში და სხვ.); აგრეთვე, სოციოლოგიური ანალიზის ისეთ არაკლასიკურ მიმართულებებს, როგორც კულტურის სოციოლოგია და ცოდნის სოციოლოგია (Ионин Л.Г. 2004)..

გაგებითი სოციოლოგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციოლოგიური ცოდნის ჰუმანისტური ალტერნატივის ერთ-ერთი პირველი რედაქცია. გაგებითი თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბება სოციო-ჰუმანიტარულ ცოდნაში, უპირველეს ყოვლის, უკავშირდება დილთეის და ვებერის, ასევე, ზიმელის და ნაწილობრივ ჯ. მიდის სახელებს. მის უშუალო წყაროებად განიხილავენ სიცოცხლის ფილოსოფიას და ნეოკანტიანელობას (პირველ რიგში, ბადენის სკოლის სახით). თვისებრივის შემობრუნება უკავშირდება ა. შიუცის სახელს, რომელმაც გვიანდელი ჰუსერლის ფენომენოლოგიის ორიენტირი შეცვალა სოციოლოგიისკენ, ხოლო შემდეგ სოციოლოგიური ანალიზის ფოკუსში მოაქცია ენის პრობლემები, რაც ვიტგენშტეინის ლინგვისტურ მიდგომაში იყო მოცემული და ასევე თანამედროვე ჰერმენევტიკული ანალიზი.

გამაერთიანებელ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ამოსავლად “გაგების” სოციოლოგებისთვის გვევლინება პრინციპულად განსხვავებული ონტოლოგიების მტკიცება ბუნებრივი და სოციალური სამყაროს შესახებ. ამ წანამძღვართან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე, რომელიც ეჭვკვეთს აყენებს სოციალურ ცხოვრებაში ობიექტ-სუბიექტის შემეცნებითი სქემის შესაძლებლობას.

გაგების სოციოლოგიში კვლევითი ინტერესი შერეულია სოციალური აქტივობის უშუალო სუბიექტების ანალიზის დონეზე, აქცენტირებულია “პიროვნების ჩარჩოები” სოციოლოგიურ ცოდნაში. ეს ხაზი შემდგომ გამოიკვეთა ფენომენოლოგიურ ვარიანტში და, განსაკუთრების, ეთნომეთოდოლოგიაში. შინაგანი საზრისების ასპექტების და სოციალური მოქმედების აქტუალიზაციამ გარდატეხა შეიტანა გაგებით ორიენტაციაში კულტურის ანალიზის, როგორც ობიექტური მნიშვნელობების სფეროს მიმართ, როგორც “მე”-ს და “სხვა”-ს გაგების შესაძლებლობის მათგანიზებელმა. ამ თვალსაზრისით გაგებითი სოციოლოგია მეორე გავლენიან სოციოლოგიურ მიმართულებასთან სიმბოლურ ინტერაქციონიზმთან - საკმაოდ ახლოს აღმოჩნდა. თუმცა, უფრო კორექტულია, რომ მოვახდინოთ ამ მიმართულებების დიფერენცირება. და ბოლოს, ამ წრის მოაზროვნეთა გამაერთიანებელი თემა, საკუთრივ გაგების

პრობლემაა, რომელმაც სახელწოდება მისცა მთლიან თეორიულ მეთოდოლოგიურ მიმართულებას. ვებერმა მოგვაწოდა გაგების კონცეფცია, როგორც პროცედურები (მეთოდის), რომლებიც, მხოლოდ და მხოლოდ, სოციოლოგიურ ახსნას ქმნიან. სოციალური მოქმედების კონსტიტუირება ხდება აზრის/საზრისის გაცნობიერებით, რომელსაც სუბიექტი განიცდის და ითხოვს, მივაკუთვნოთ შესაძლებელი მოქმედება სხვათა ასევე შესაძლებელ მოქმედებებს. ასეთი მიკუთვნებულობა წარმოშობს ქცევის აზრობრივ კავშირს (ვებერი). ეს უკანასკნელი სოციოლოგიური შესწავლის უშუალო საგანია, რომლის ამოცანაც არის სოციალური მოქმედების გაგება, ინტერპრეტაციის საფუძველზე. გაგების საშუალებად კი მოვიაზრებთ ლოგიკურად კონსტიტუირებად იდეალურ ტიპებს (Семенова, В. 1998).

გაგება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ცხოვრების ძირითადი მოვლენა, როგორც ერთი სულის დამოკიდებულება მეორისადმი, როგორც სიცხადის კრიტიკის უნივერსალური ხერხი. დილთეის კონცეფციაში შეიძლება გაგების სამი ტიპი აღმოვაჩინოთ; 1. როგორც შინაგანი ხედვით ადამიანური ცხოვრების საბოლოო რეალობის უშუალო განხილვა; 2. როგორც შეცნობა თანაგანცდა სხვისა გარედან მოცემული ნიშნებით; 3. როგორც საკუთარი თავის გაგების განვითარება ცხოვრებისეული კონტექსტების გაფართოებით და მათი მუდმივი რეინტერპრეტაცია, რომელიც ენობრივი საშუალებებით ხდება გარკვეულ ტექსტებში.

ეთნომეთოდოლოგია

მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ხალხები/ეთნოსები.

რადიკალური თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმართულება ამერიკულ სოციოლოგიაში, რომელმაც პრინციპულად ახალი ინტერპრეტაცია მოახდინა ფენომენოლოგიურის და კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის საფუძველზე სოციოლოგიის საგნისა და ამოცანების, როგორც მეცნიერული დისციპლინის. ეთნოგრაფიის სხვა წყაროებიდან შეიძლება დავასახელოთ ვიტგენშტეინის ლინგვისტური ფილოსოფია და ჟ. გურვიჩის “დიალექტიკური ჰიპერემპირიზმი”.

კრიტიკის ძირითადი ობიექტები ფუნქციონალიზმი დიურკემის სახით (უპირველეს ყოვლისა, მისი კლასიკური თეზისი სოციალური ფაქტების როგორც ნივთების/საგნების მიმართ) და პარსონსის სახით, ასევე, პოზიტივიზმი და მარქსიზმი.

ტრადიციულ სოციოლოგიურ მეთოდოლოგიას დაუპირისპირეს “საველე ანთროპოლოგიის მიდგომები და ხერხები”, რაც გულისხმობდა საკვლევი ერთობების ცხოვრებაში უშუალო ჩართვას და რომელთა უნივერსალიზაციაც მოხდა შემდგომ ზოგადსოციოლოგიურ მეთოდებად. 1970 წელს (ეს ეთნომეთოდოლოგიის აღმავლობის მწვერვალის ხანაა) ეთნომეთოდოლოგიას საუნივერსიტეტო სოციოლოგთა მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდა (მისი სწავლების უფლებას არ აძლევდნენ).

ეთნომეთოდოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მიმართულების ჩამოყალიბებას უკავშირებენ გ. გარფინკელის კრებული “ეთნომეთოდოლოგიის კვლევების” გამოსვლას, 1967 წელს.

მეორე დიდი წარმომადგენელი იყო ა. სიკურელი, რომლის კონცეპციასაც ავტორთა ნაწილი განიხილავს, როგორც კოგნიტური სოციოლოგიის პროექტს. სხვა წარმომადგენელთაგან გამოვყოფთ გ. საქსს, ა. ბლუმს, ბ. ლუტარს, მ. პოლნერს და ა.შ.

ეთნომეთოდოლოგია, ფენომენოლოგიური სოციოლოგიის კვალდაკვალ, სოციოლოგიის ყურადღებას ააქტიურებს ყოველდღიურობის სამყაროზე, თანაც აქცენტირებას ახდენს მეთოდების გამოვლენაზე იმ მხრივ, თუ როგორ ქმნიან ადამიანები ვარაუდებს იმის შესახებ, რომ სოციალური სამყარო ნამდვილად რეალური სახით არსებობს და იგი მოწესრიგებულია. ამ მიზნობრივი დისციპლინარული დამოკიდებულების განხორციელებამ მოითხოვა შვიდი კლასიკურის ალტერნატიული მეთოდოლოგიური ვარაუდის წამოყენება (ჯ. ტერნერი) სოციალური სამყაროს ბუნების მიმართ. ამოსავალი დაშვება იყო ადამიანთა სწრაფვა, ურთიერთქმედებათა ყველა სიტუაციაში მოჩვენებითი თანხმობის მიღწევა “ურთიერთქმედების გარემოს რელევანტური ნიშნების” მიმართ (Given L. 2008). ეს თანხმობა, შესაძლებელია, დაეფუძნოს განწყობებს, რწმენებს, ცოდნას ურთიერთქმედების სიტუაციის ბუნების შესახებ. იგი გულისხმობს პიროვნულშორის ურთიერთქმედების პრაქტიკებს და მისი შესატყვისი კონსტრუირების, მხარდაჭერის, მოჩვენებითი თანხმობის ცვლილების მეთოდებს, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ექსპლიციტური, ისე იმპლიციტური. ამ პრაქტიკებსა და მეთოდებს იმის აღქმა უზრუნველყოფს, რომ ურთიერთქმედების სიტუაციებს აქვთ მოწესრიგებული სტრუქტურა. თანხმობის მოჩვენებითობა არა მხოლოდ შეთანხმების (კონვენციის) შედეგია, არამედ ყოველი მონქვილის თანხმობის გამოხატულებაა “წესებთან და პროცედურების” შექმნასთან და ამ თანხმობის დარღვევასთან, ანუ მოჩვენებითი თანხმობა

ნიშნავს, რომ იგულისხმება “უსიტყვოდ” ყველას მიერ დაშვებული პირობები - ურთიერთქმედება-ურთიერთქმედების წესები. ყოველი სიტუაცია თავისთავად უნიკალურია და გულისხმობს საკუთარ განსაზღვრას და თვითგამორკვევას შეთანხმებაში, რომელიც შეუძლებელია უკრიტიკოდ გადაიტანო რომელიმე სხვა სიტუაციიდან. ყოველ ჯერზე, როდესაც ქმნი, ხელახლა ამტკიცებ ან ცვლი სიტუაციის განსაზღვრის წესებს, მასში ჩართული ადამიანები ერთმანეთს სთავაზობენ თითქოსდა/მოჩვენებითად მოწესრიგებულ “მათ მიღმა/გარეშე” სამყაროს, რომლებიც მათ გარკვეული აღქმებისა და ქმედებებისკენ უბიძგებს (Silverman, D. 2000).

ამგვარად, გამოდის, რომ ურთიერთქმედების ნებისმიერი სიტუაცია პრობლემურია, და ადამიანთა მუდმივი მცდელობის შედეგია, ანუ იმ საერთო აზრის შესაქმნელად არის, რომ რეალურად სახეზეა ერთმანეთში გარდამავალი სიტუაციები, რომელზეც ადამიანებს შეუძლიათ შეთანხმდნენ.

ფენომენოლოგია

ალ. შიუცი - ავსტრიელი ფილოსოფოსი, ფენომენოლოგიური სოციოლოგიის ფუძემდებელი, რომლის ძირითადი ნაშრომია “სოციალური სამყაროს ფენომენოლოგია” (1932 წ.). მისი ფენომენოლოგიის ფილოსოფიურ საფუძველს ჰუსერლის იდეები შეადგენს, გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა ობიექტურ სამყაროსა და მის შემქმნებელ სუბიექტებს შორის, შეიარაღებული მეცნიერული ცნებებით “განივთებული ბუნებრივი სამყარო”. ამ წინაარმდეგობის დასაძლევად შიუციმა შემოგვთავაზა ორი რედუქციის განხორციელება. პირველი ეს არის ფენომენოლოგიური რედუქცია: უარი თქვა სამყაროს კვლევაზე “ბუნებრივი განწყობის” გზით და ცხოვრებისეული სამყარო იკვლიო “ინტენციონალობის” გზით. ყველა ემპირიულ მეცნიერებას თავის საგნად აქვს სამყარო, როგორც “წინარე მოცემულობა”, მაგრამ თვითონ ისინი, ისე როგორც მათი ინსტრუმენტები, ამ სამყაროს ელემენტებია. ე.ი. თუკი მეცნიერებას სურს, რომ იყოს მკაცრი მისთვის აუცილებელია, მისი გენეზისის და წინარე მოცემულობებით განპირობებულობის დადგენა, საიდანაც ის ჩნდება და რომელშიც ცხოვრობს. ეს სამყარო, რომელიც მეცნიერული რეფლექსიის წინმსწრებია, არის “ცხოვრების სამყარო”. შიუცი განსაზღვრავს ჩვენს უშუალო “ინტუიციურ გარემოს”, რომელშიც “ჩვენ როგორც ადამიანური არსებები ჩვენს მსგავსთა შორის, ვიზიარებთ კულტურას და საზოგადოებას, გარკვეული წესით ვებყრობით ჩვენს ირგვლივ ობიექტებს, ვზემოქმედებთ მათზე და ვიმყოფებით

მათი ზემოქმედების ქვეშ. სოციოლოგიამ ეს სამყარო უნდა შეისწავლოს სულ დასაწყისიდანვე. მაგრამ ეს ვერ გვახსობს კითხვაზე, როგორ არის შესაძლებელი საზოგადოება? ამისთვის კი შიუცი გვთავაზობს მეორე რედუქციას ტრანსცენდენტალურს უარი ვთქვათ სუბიექტის ანალიზზე და გავაანალიზოთ მისი “წმინდა ცნობიერება”. ფენომენოლოგს არაფერი საქმე არ აქვს თვით ობიექტებთან. მას აინტერესებს მათი მნიშვნელობები, რომელიც ჩვენი გონის მიერ არის აგებული, კონსტრუირებული. მისი ანალიზის საგანი არის არა რეალური სოციალური ობიექტები, არამედ რედუცირებული, რომლებიც ინდივიდის ცნობიერების ნაკადში აღმოჩნდებიან და აორგანიზებენ შიუცის აზრით ეს არის კონსტრუირებული “ინტერსუბიექტური სამყარო”. ეს პარადიგმა გადამწყვეტია ფენომენოლოგიურ სოციოლოგიაში და საშუალებას იძლევა ავხსნათ ცნობიერების სოციალური არსი და ადამიანთა ურთიერთკავშირები, რომლებიც ცხოვრებისეული სამყაროს არსებობს. ინტერსუბიექტურ ძირითად ფორმას შიუცი აღწერს კონსტრუქტით “ურთიერთპერსპექტივები”, რაც ორი იდეალიზაციის არსებობას გულისხმობს. პირველია “თვალსაზრისების, შეხედულებების ურთიერთშენაცვლებადობა”. როდესაც სოციალურ ადგილებს ცვლიან სუნიექტებს ცხოვრების განცდის იდენტური ხერხები აქვთ. მეორე იდეალიზაცია არის წესი “რელევანტობათა სისტემების დამთხვევა”. შიუცის მიხედვით, “მე” და “ნებისმიერი სხვა” ვლდებულობთ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ჩვენი ბიოგრაფიული სიტუაციების უნიკალობისა, მნიშვნელობათა კრიტერიუმების სისტემის განსხვავება არაპირობითია არსებული მიზნების თვალსაზრისით. ჩვენ ორივეს მიგვაჩნია, რომ “მე და ის, ანუ ჩვენ” საკმაოდ ერთნაირად ვახდენთ ჩვენთვის საერთო ობიექტების, ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციას. შემდეგი მნიშვნელოვანი ინტერსუბიექტურობის ელემენტია “ალტერ ეგო სხვა მე”. შიუცის მიხედვით “მეორე მე” აღწერს ინდივიდის მიერ სხვისი აღქმის ზოგიერთ ასპექტს მის “ცოცხალ აწმყოში”. ერთურთის თანადროული აღქმა ნიშნავს, რომ “მე” გარკვეული აზრით “სხვაზე, მეორეზე” მოცემულ მომენტში მეტი ვიცი, ვიდრე მან თავის შესახებ. როგორც ფენომენოლოგიურ ფილოსოფიაში, ისე ფენომენოლოგიურ სოციოლოგიაში ერთ-ერთი ცენტრალური კონსტრუქტია “ინტენციულობა”, რომელიც მოტივირებული მოქმედების, ასევე ცნობიერების არსობრივი მახასიათებელია და გამოხატავს იმ ფუნდამენტურ ფაქტს, რომ ცნობიერების/შემეცნების ობიექტი არის “ნაგულისხმევი”, ყოველთვის “მნიშვნელადი” ცნობიერებისათვის. ინტენციონალობის ურთიერთდამატებით

ასპექტებად ფენომენოლოგიურ სოციოლოგიაში გამოიყენება ტერმინები “ნოეზისი” და “ნოემა”. ინტენციონალური ცნობიერების განსაკუთრებული მოდუსი (“ვაზროვნებ, აღვიქვამ”) იწოდება “ნოეზისად”, ხოლო ობიექტური კორელატი (ის, რასაც ვაზროვნებ ან აღვიქვამ) “ნოემად”. ამ ტერმინებს შიუცთან მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ემსახურება ცნობიერების შემეცნების ობიექტის აღწერას (ნოემა) და მათი კონსტრუირების პროცესის აღწერას (ნოეზისი).

შიუცმა მოგვცა თავისი სოციოლოგიის მნიშვნელოვანი პარადიგმებისა და კონსტრუქტების მონახაზი და ამით დაასაბუთა, როგორ უნდა ყალიბდებოდეს სოციოლოგიური თეორია. იგი გვთავაზობს შემდეგს: სოციოლოგმა უნდა დაიწყოს მნიშვნელობის დონიდან; სოციოლოგის ცნებები და კონსტრუქტები ამ შემთხვევაში იქცევა “მეორე რიგის” კონსტრუქტებად, რამდენადაც ისინი პირველი ნამდვილი ყოფითი კონსტრუქტებიდან მომდინარეობს, რომელთაც ინდივიდები ყოველდღიურობაში მოიხმარენ. ისინი არიან ობიექტური (ვერიფიცირებული) იდეალურ ტიპური კონსტრუქტები, რომლებიც ეფუძნება პირველი დონის ყოფით კონსტრუქტებს ე.ი სხვა რიგის/დონის კონსტრუქტებია. შიუცი იკვლევდა სოციალური მოქმედების მოტივთა კონსტრუქტებს, ყოველდღიური ცნობიერები ფორმებსა და მეთოდებს, ადამიანის ურთიერთობის სტრუქტურას, სოციალურ აღქმას, რაციონალობას და აგრეთვე, მეთოდოლოგიასა და პროცედურებს 9სოციალური ცნობიერების). ამ კვლევების შედეგები გადმოცემულია მისი ნაშრომების მრავალ გამოცემაში 1970-1980 წლებში.

თვისებრივი კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტები

სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში, მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდან შეიძლება მომდინარეობდეს/მივიდოდეს. ინტერვიუ და დაკვირვება ყველაზე გავრცელებული წყაროებია.

მეორე კომპონენტი სხვადასხვა ანალიტიკური და ინტერპრეტაციული პროცედურებისგან შედგება, რომლებიც მონაცემებისა და თეორიების მისაღებად გამოიყენება. ეს პროცედურები გულისხმობს/მოიცავს ტექნიკებს მონაცემების კონცეპტუალიზაციისთვის (Becker, G.1970). სხვა პროცედურები ასევე ანალიტიკური პროცესის ნაწილად გვევლინება. ისინი მოიცავს არასტატისტიკურ შერჩევას (იხ. შცკატზმან, შტრაუსს), ანალიტიკური “შენიშვნების” დაწერას და ცნებობრივი ურთიერთკავშირების დიაგრამების აგებას.

წერილობითი და ზეპირი ანგარიშები მესამე თვისებრივი კვლევების კომპონენტს შეადგენს. ისინი შეიძლება წარმოვადგინოთ სამეცნიერო ჟურნალებსა და კონფერენციებზე და სხვადასხვა სახეს ღებულობენ აუდიტორიისა და წარმოდგენილი რეზულტატების ასპექტებისა თუ თეორიების მიხედვით. მაგ., ვიდაცას შეუძლია წარმოადგინოს ან შედეგების მიმოხილვა ან კვლევის ერთი ნაწილის ჩაღრმავებული მიმოხილვა.

2. თვისებრივი კვლევის ძირითადი სახეები, ტექნიკები, პროცედურები

მოცემულ თავში განვიხილავთ თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ტიპებსა და მათ შესაძლებლობებს.

არსებობს თუ არა თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ტიპები?

ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რეალურად რაზეა ლაპარაკი. მაგ., კვლევის ტიპებს ეხება შეკითხვა, მიზნებს თუ ანალიზის ჩატარებისადმი მიდგომებს, რასაც ხშირად ურევენ ერთმანეთში თვისებრივი კვლევის აღწერისას.

თვისებრივი კვლევების სხვადასხვა ტიპებიდან გამოვეყოფთ: grounded theory-ის, ეთნოგრაფიას, ფენომენოლოგიურ მიდგომას, ცხოვრების ისტორიას და საუბრის ანალიზს (conversational analysis). ეს ტიპები გამოიყენება სხვადასხვა დისციპლინის მკვლევართა მიერ (Yan Hutchly and Robin Wooffit. 2001). მაგ., ავადმყოფთა, უძლურთა და ბავშვთა მომვლელი, ანთროპოლოგები; ან სოციოლოგებს შეუძლიათ გამოიყენონ ანთროპოლოგია ამა თუ იმ პრობლემის შესასწავლად, რომელიც თავიანთ დისციპლინას უკავშირდება. ასევე შეუძლიათ გამოიყენონ grounded theory ან ცხოვრების ისტორია.

რაც შეეხება მიზნებს, ისინი სხვადასხვა მკვლევრებს გარკვეულწილად განსხვავებული აქვთ. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია რაოდენობრივი შედეგების საილუსტრაციოდ და ახსნისთვის, კვლევის ინსტუმენტის ასაგებად, მართვის პრობლემების შესამუშავებლად, პოლიტიკური და ასევე მეცნიერული მიზნებისთვის. მაგ., ფუნდამენტური ცოდნის განვითარებისთვის.

მიდგომის პრობლემა, რომელიც მთავარი წინააღმდეგობრივი პრობლემაა. ანუ როგორ უნდა მოხდეს მონაცემთა ინტერპრეტაცია? ზოგი მკვლევარი თვლის,

რომ საერთოდ არ უნდა ხდებოდეს მონაცემთა ანალიზი, მკვლევრის ამოცანაა მონაცემთა შეგროვება და იმავე სახით წარმოდგენა “რათა ინფორმანტებმა თვითონ თქვან თავიანთ შესახებ”.

ძირითადი მეთოდები, რომლებიც თვისებრივი მიდგომის ფარგლებში გამოიყენება

ტაქტიკების მრავალფეროვნება, რომელიც დღეს თვისებრივი სოციოლოგიის სფეროში გამოიყენება, მთლიანობაში შეიძლება შემდეგ გავრცელებულ სახეებზე დავიყვანოთ: case study, ეთნოგრაფიული კვლევა, ზეპირი ისტორია, ცხოვრების ისტორია, ოჯახის ისტორია, grounded theory, ფოკუს-ჯგუფის მეთოდი, ნარატიული ინტერვიუ.

Case study ცალკეული შემთხვევის/ერთობის კვლევაა, რომლის შესწავლის ველს წარმოადგენს უნიკალური ობიექტის შესწავლა მისი ურთიერთკავშირების ერთობლიობაში.

ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება იყოს ჩაკეტილი ერთობა, რომელიც ძნელად მისაღებია სხვა მეთოდებით გაანალიზების თვალსაზრისით: საზოგადოების “ფსკერი” დამნაშავე დაჯგუფებები, ბომბები, დატაკები, სოციალური ელიტები, რელიგიური სექტები და ა.შ. ხანგრძლივად (რამოდენიმე თვე, შეიძლება წელი) კვლევით ველში ყოფნა საშუალებას იძლევა ყოველმხრივად განვიხილოთ “შემთხვევა - case” მისი ურთიერთობისა და განვითარების დინამიკასთან ურთიერთკავშირში, შევისწავლოთ ჯგუფური ნორმები და ღირებულებები, როლების სტრუქტურა ან სხვა დამოკიდებულებათა სისტემა (ძალაუფლებრივი). ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი, სოციოლოგი კლიფორდ შოუ მრავალი წლის განმავლობაში აკვირდებოდა ცხოვრებისეულ მდგომარეობას ჯერ მცირეწლოვან, ხოლო შემდეგ დამნაშავე “ჯეკ-როლერს”. მას მრავალ შეკითხვაზე მოუწია ზეპირად თუ წერილობით პასუხის გაცემა. ამგვარი სტრატეგიები დამაჯერებელ და შთამბეჭდავ რეზულტატს იძლევა, თუ იგი ლიტერატურულად კარგად არის გადმოცემული.

ამ დროს ობიექტი არის ერთეული შემთხვევა. დაკვირვების დღიურში დეტალურად ხდება როგორც ყოველდღიური, ისე ექსტრემალური სიტუაციების დაფიქსირება დაკვირვების ობიექტის ცხოვრებაზე, მის საქმიანობაზე დროითი ერთეულების მიხედვით (საათები, დღეები, კვირები). ძირითადად, ინფორმაციის

წყაროა ჩართული დაკვირვება, ფოტოგრაფიები, ფოკუს-ინტერვიუები ან ჩაღრმავებული ინტერვიუ, ბოლო ხანებში ამას დაემატა ვიდეომასალები.

Case studys-ს სპეციფიკა გულისხმობს ობიექტის თავისებურების ღრმა შესწავლას, დასკვნები შედეგების შესახებ, ლოკალური, გამოყენებითი ხასიათისაა და ემსახურება კონფლიქტების მოგვარების რეკომენდაციების შექმნას ან ერთობის უფრო უკეთ ფუნქციონირებას.

ეთნოგრაფიული კვლევები, წესისამებრ, აღწერითი ხასიათისაა და გარკვეული ერთობის ყოველდღიური პრაქტიკის მრავალმხრივ ანალიზს წარმოადგენს მისი კულტურის (ნორმები, ღირებულებები, ენა, მითები) თვალსაზრისით, რომლებიც სტილითა და ქცევის ნიმუშებით მოსახლეობის ძირითადი მასის კულტურისაგან განსხვავდება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მანჩესტერის უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორის, ტეოდორ შანიჩის ხელმძღვანელობით შესრულებული რუსეთის გლეხობის კვლევა, რომელსაც თვით გლეხების სიტყვებიდან იკვეთება, რომ ეს კულტურა ათწლეულების განმავლობაში უცნობი და დახურული სფერო იყო როგორც მკვლევართათვის, ისე ფართე საზოგადოებისათვის. ინფორმაციის წყაროს ეთნოგრაფიულ კვლევაში წარმოადგენს წერილები, პირადი დოკუმენტები, ფოტოები, ფოლკლორის ნიმუშები, ასევე, ჯგუფური ინტერვიუები.

ისტორიული კვლევები, ანუ ზეპირი ისტორია, აღწერს გარკვეული ისტორიული მოვლენების განცდის სუბიექტურ გამოცდილებას. სოციოლოგიის ინტერესია ლოკალური ზოგადი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენების შესწავლა (მოძრაობების, ორგანიზაციების, დასახლებული პუნქტების). ასეთი გამოკვლევა განსაკუთრებულად ღირებულია, როდესაც ზოგადსოციალური მასშტაბის მოვლენის შესახებ დოკუმენტური ინფორმაციის ნაკლებობაა. მაგალითად, გაკულაკების შესახებ 20-30-იან წლებში, სტალინის რეპრესიების, II მსოფლიოს ომის ეპიზოდების შესახებ. შეიძლება “ზეპირი არქივის” შექმნა. ამ მიმართულების თავისებურებაა ინფორმანტისადმი, როგორც ისტორიული მოვლენის თვითმხილველისადმი, დამოკიდებულება. ამიტომაც, მეთოდიკის თვალსაზრისით, აქ წინა პლანზეა წამოწეული ნამდვილობის პრობლემები, მოგონებების ადეკვატურობის, მისი მეხსიერების შესძლებლობები. ამისათვის აუცილებელია სოციალურ-ისტორიული კონტექსტის ღრმა ანალიზი. ინფორმაციის ჩვეული წყაროებია: მემუარები, დღიურები, წერილები, ინტერვიუ და რაღა თქმა უნდა, არსებული ოფიციალური ისტორიული მტკიცებულებები.

ოჯახის ისტორია. ეს მიმართულება შეისწავლის ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთქმედებას თაობათა მიმდინარეობაში. ოჯახი განიხილება როგორც ისტორიულ პერსპექტივაში აღებული შედარებით მყარი მცირე ჯგუფი, რომელიც ყოველ თაობაში ნაწევრდება და გარდაიქმნება, რაც არ გამორიცხავს მისი როგორც ფენომენის “უწყვეტობას”. ხდება ოჯახის წევრთა ტერიტორიული და სოციალური მობილობის პროცესების გაანალიზება, ასევე მემკვიდრეობითობისა და ოჯახის სოციალური სტატუსის ცვლილება თაობიდან თაობაზე, “კულტურული კაპიტალის“ გადაცემა ან ღირებულებათა ტრანსფორმაცია.

თვისებრივი მიდგომის სპეციფიკა სოციალური მობილობის პრობლემის მიმართ სხვა თემაა. რიგი ასეთი ძიებების შედეგად, ფაქტობრივად, სოციალური მობილობის პრობლემატიკის ახალი ასპექტი გაჩნდა ოჯახური სტრატეგიების შესწავლა და კულტურული კაპიტალის გადაცემა თაობიდან თაობაზე; სოციალური სტატუსისა და ქალთა სოციალური მობილობის პრობლემა; ოჯახის სტატუსის დაცემა სოციალური რევოლუციის შედეგად და რევოლუციის შემდგომ სიტუაციასთან ადაპტაცია; ოჯახური საცხოვრებლის ტიპი როგორც სოციალური სტატუსის ამსახველი. ჩამოთვლილი თემატიკის განხილვა კი რაოდენობრივი სტრატეგიის ფარგლებში ძნელია (Riessman, K.1993).

ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროდ ვარგისია ოჯახური არქივები, ჩაღრმავებული ინტერვიუები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან, გენეალოგიური გრაფები.

ადამიანის ცხოვრების ისტორია ბავშვობიდან ზრდასრულობისა და ხანდაზამულობა-სიბერისკენ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულებაა თვისებრივ სოციოლოგიაში. ინფორმაციის მიღების მეთოდი ბიოგრაფიული ინტერვიუ წარმოადგენს ცხოვრებისეული თხრობის თავისებურ “სცენიურ წარმოდგენას” (ე. ჰოფმანის მეტაფორა) საკუთარი თავისა და ცხოვრების შესახებ. ბიოგრაფიულ მეთოდს ბევრი საერთო აქვს ჩართული დაკვირვების მეთოდთან და არსებობრივად “case study”-სადმი ეთნოგრაფიული მიდგომის კიდევ ერთი სახესხვაობაა. ბიოგრაფიული მეთოდის განსხვავებად შეიძლება ჩაითვალოს ფოკუსირების მაღალი ხარისხი ადამიანის ცხოვრების ისტორიის უნიკალურ ასპექტებზე (ზოგჯერ ეს არის ჯგუფები, ორგანიზაციები) და სუბიექტურ, პიროვნულ მიდგომაზე ადამიანური ცხოვრების, კარიერის, სიყვარულის ისტორიის და ა.შ. აღწერებისადმი.

ბიოგრაფიული თხრობები შესაძლოა ანალიზის საგნად იქცეს, როგორც გარკვეული სოციალური სიტუაციის “არსებობის” კოლექტიური გამოცდილება. დიდი რაოდენობის ანალოგიური სიტუაციის შედარებითი ანალიზი არის სოციალური პრობლემის აღწერის საფუძველი, რომელიც იკვეთება მსგავსი გარემოებების და ქმედებების საერთო სოციალური პრაქტიკის კვალობაზე. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას იძლევა ცხოვრებისეული სტრატეგიების ტიპოლოგია მოვახდინოთ მსგავს სიტუაციებში, ავაგოთ ქცევის ნიმუშები (ნორმატიული მოდელები) ან კულტურულ იდენტაციების, ცხოვრების სტილის ტიპები.

ჯგუფური დისკუსია ანუ ფიკუს-ჯგუფის მეთოდი გვეხმარება, ადამიანთა ჯგუფების მეშვეობით გამოვაგლინოთ განსხვავება რაიმე პრობლემის, მოვლენის, ცხოვრებისეული პროცესის აღქმასა და გაგებაში. მოცემული მეთოდის გაგებისათვის ასევე არსებობს ტერმინები “ფოკუსირებული ინტერვიუ ჯგუფში”, “ჩაღრმავებული ჯგუფური ინტერვიუ”. სახელწოდებათა მრავალფეროვნება იმით აიხსნება, რომ მეთოდის გაგება და მოხმარება იმთავითვე მოექცა სხვადასხვა თეორიული მიმართულებების გავლენის ქვეშ. რ. მერტონი სოციოლოგიაში ამ ტერმინის შემოტანით მას განსაზღვრავდა, როგორც “ფოკუსირებულ ინტერვიუს ჯგუფებთან, რომლებშიც ყველა გამოკითხული გარკვეულ სიტუაციაში იმყოფებოდა: ნახეს ფილმი, მოუსმინეს რადიოპროგრამებს, წაიკითხეს ბროშურა, სტატია ან წიგნი...“. ჯგუფური დისკუსიის მეთოდი ფართოდ გამოიყენება მარკეტინგულ კვლევებში, მედიკალურ მოთხოვნების, რეკლამაზე რეაქციის, პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართ დამოკიდებულებების შესწავლისას და ა.შ. დისკუსიას უძღვება მოდერატორი ანუ თვით მკვლევარი ან კვლევითი კოლექტივის წევრი. იგი სთავაზობს თემას (რომლის შესახებაც წევრები უკვე ინფორმირებული არიან) და კამათისკენ და საკუთარი აზრების გამოთქმისკენ მოუწოდებს მონაწილეებს. მოდერატორის კითხვები კარგად არის მოფიქრებული პროგრამულ მიზნებს შეესაბამება. იგი შემოქმედებითად წარმართავს დისკუსიას, ხოლო დისკუსიის შინაარსი, ისე როგორც მონაწილეთა ქცევა, თვისებრივი ანალიზის საგანია როგორც არგუმენტაციის თვალსაზრისით, ისე ლექსიკის, ინტონაციის, ანუ ყველა მტკიცებულების, რომლებიც საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ გამონათქვამების აზრს ანუ სწორედ იმ აზრს, რასაც ქმედების წევრები (ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები) მსჯელობებში დებენ (Selltiz, C , Wrightsman, T. S. et Cook, S. W. 1977).

მკვლევარი ყურადღების ფოკუსირებას ახდენს სადისკუსიო საგანზე და რომელიმე განსაკუთრებული ერთობის წარმომადგენელთა კონკრეტულ ჯგუფზე (სოციალური ფენა, პროფესია, რომელიმე საზოგადოებრივი მოძრაობის მხარდამჭერები და ა.შ.)

ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება კვლევის მიზნებითა და ამოცანებით. შესაძლებელია ესენი იყვნენ საპირისპირო/პოლარული ერთობების წარმომადგენლები (რომელიმე პოლიტიკური პარტიის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, ხელოვნების ჟანრის მოყვარულები და მისადმი გულგრილები და ა.შ.), ჰომოგენური ჯგუფები (სტუდენტები, სამხედროები, პენსიონერები), ამიანები“მიზნობრივი” (რომელიმე მასობრივი საინფორმაციო წყაროს მაყურებელი, მსმენელი, მკითხველი), “შემთხვევითი” ჯგუფი (ადამიანები, რომლებმაც ერთი და იგივე გასაჭირი ან უბედურება გადაიტანეს). დისკუსია იწერება ფირზე (აუდიო/ვიდეო), რათა შემდგომ დაწვრილებით გაანალიზდეს მისი შინაარსი და მოხდეს მისი გააზრება კვლევის ამოცანების შესაბამისად.

რა არის Grounded theory? ეს არის თეორია, რომელიც ინდუქციურად გამოიყვანება იმ ფენომენის შესწავლიდან, რომელსაც იგი წარმოადგენს. ანუ თეორია იქმნება, ვითარდება და მოწმდება სხვადასხვა პირობებში მონაცემთა სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით, რომელიც შესასწავლ მოვლენას განეკუთვნება. მაშასადამე, მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და თეორია ურთიერთკავშირშია. არ შეიძლება დაიწყო თეორიით და შემდეგ დაამტკიცო იგი. უფრო მეტად, იწყებენ კვლევითი სფეროთი და ყველაფერს, რასაც ამ სფეროსთან აქვს საერთო, შანსი აქვს გამოვლინდეს.

რატომ ავაგოთ თეორია, რომელიც საბუთდება?

იმისათვის, რათა ვიმსჯელოთ, რამდენად ესადაგება მოვლენას/ფენომენს თეორია, კარგად კონსტრუირებული Grounded theory ოთხ ცენტრალურ კრიტერიუმს უნდა პასუხობდეს: იგი უნდა შეესატყვისებოდეს რეალობას, უნდა იყოს გამგები/გასაგები, განმაზოგადებელი და კონტროლირებადი. თუ თეორია კონკრეტულ საგნობრივ სფეროს ესადაგება ყოველდღიური რეალობის მიმართებით და გამომდინარეობს/გამოიყვანება სხვადასხვა მონაცემებიდან, იგი უნდა შეესატყვისებოდეს ამ სფეროს რეალობას. რამდენადაც იგი ამ რეალობის რეპრეზენტაციას ახდენს/წარმოადგენს, იგი გასაგები უნდა იყოს ასევე და აზრი ჰქონდეს მათთვის, ვისაც იგი შეისწავლის და მათთვის, ვინც მას თავის პრაქტიკულ სფეროში იყენებს. თუ მონაცემები, რომელთაც ის ეფუძნება,

გასაგებია, ინტერპრეტაციები ფართოა და კონცეპტუალური, მაშინ თეორია საკმაოდ აბსტრაქტული უნდა იყოს და მრავალ ვარიაციას მოცავდეს, რათა მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს მრავალი კონტექსტისთვის, რაც ამ ფენომენთან არის დაკავშირებული. და ბოლოს, თეორიამ უნდა უზრუნველყოს კონტროლი, რომლებიც ფენომენთან დაკავშირებულ ქმედებებს უკავშირდება. ეს უკანასკნელი იმით არის განპირობებული, რომ ჰიპოთეზები, რომლებიც ცნებებს შორის ისეთ კავშირებს გულისხმობს, რომლებიც მოგვიანებით იმისთვის შეიძლება გამოვიყენოთ, რათა მოქმედებას მიმართული სახე მივცეთ სისტემატურად გამოიყვანება ფაქტობრივი მონაცემებიდან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ფენომენს უკავშირდება (Glaser B. 1992.).

რა არის Grounded theory -ის მიდგომა?

ეს მიდგომა წარმოადგენს თვისებრივ მეთოდს, რომელიც გულისხმობს სისტემატური პროცედურების სერიას, რათა შემუშავდეს რაიმე მოვლენის ინდუქციურად გამოყვანილი გრ. თეორია. შესასწავლი რეალობის თეორიული ფორმულირება უფრო მეტად კვლევის შედეგების საფუძველზე, ვიდრე ციფრების ან სუსტად დაკავშირებული თემების ჯგუფების საფუძველზე. ამ მეთოდოლოგიის წყალობით მათ შორის ცნებები და კავშირები არა მხოლოდ ჩნდება, არამედ წინასწარ შემოწმებასაც გადის. ამ მიდგომაში ბევრი პროცედურაა და ისინი საკმაოდ სპეციფიკურია.

Grounded theory-ს მიზანია ავაგოთ თეორია, რომელიც ნდობას იმსახურებს და გვეხმარება უკეთ გავიგოთ კვლევის მოცემული სფერო. ამ ტრადიციის მიმდევარი მკვლევრები იმედოვნებენ, რომ მათი თეორიები აუცილებლად დაუკავშირდება სხვა თეორიებს შესაბამისი დისციპლინის ფარგლებში კუმულატიურობის პრინციპით და რომ ამ თეორიის დასკვნების გამოყენება სარგებლიანი იქნება.

Grounded theory-s საწყისები/სათავე

ეს თეორია, როგორც მეთოდოლოგია, იმთავითვე ორი სოციოლოგის ბარნი გლაზერისა და ანსელმ სტრაუსის მიერ შემუშავდა. იმის მიუხედავად, რომ ისინი სხვადასხვა ფილოსოფიური და კვლევითი წანამძღვრებიდან ამოდიოდნენ, მათი დამსახურება თანაბრად მნიშვნელოვანია. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ თვისებრივ მონაცემთა ანალიზის ტექნიკების შემუშავებაში, რომლებშიც ასახულია როგორც მათი განათლება, ასევე მათი ბიოგრაფიული მონაცემები.

ანსელმ სტრაუსმა ჩიკაგოს უნივერსიტეტი დაამთავრა. ამ უნივერსიტეტს თვისებრივი კვლევების დიდი ტრადიცია გააჩნია. იმ პერიოდში იგი ინტერაქციონისტული და პრაგმატისტული მიდგომების გავლენას განიცდიდა. სტრაუსმა განიცადა რობერტ პარკის, უილიამ ტომასის, ჯონ დიუისი, ჯორჯ მიდის, ევერეტ ჰიუზის და ჰერბერტ ბლამერის გავლენა. ამის შედეგად მან თავის მეთოდში (სხვა რამეებთან ერთად) ჩართო: 1. ველზე გასვლის აუცილებლობა, რათა გაიგო, თუ რა ხდება; 2. თეორიის მნიშვნელობა, რომელიც რეალურად დასაბუთებულია, დისციპლინის განვითარებისთვის; 3. ცდის ბუნება და განცდები (როგორც უწყვეტად განვითარებადი); 4. სუბიექტების აქტიური როლი იმ სამყაროთა ფორმირებაში, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ; 5. აქცენტირება ცვლილებებსა და პროცესებზე, ცხოვრების ცვალებადობასა და სირთულეებზე და 6. ურთიერთკავშირები პირობებს შორის, მნიშვნელობებსა და ქმედებებს შორის. ამას გარდა, სტრაუსს მნიშვნელოვანი გამოცდილება საველე კვლევებში უკვე ჰქონდა, ბევრს ფიქრობდა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ძნელად შესამჩნევ კავშირზე და კოდირების პროცედურებზე.

გლეხური ბარნი სრულიად სხვა ტრადიციიდან მოვიდა, მაგრამ მნიშვნელოვანმა საერთო მახასიათებლებმა ხელი შეუწყო ამ ორი ადამიანის თანამშრომლობას. მან კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავრა, განიცადა პ. ლაზარსფელდის გავლენა, რომელიც ნოვატორი იყო რაოდენობრივ მეთოდებში. შემდგომში, როდესაც გლეხურმა თვისებრივი ანალიზი დაიწყო, განსაკუთრებული აუცილებლობა დაინახა კარგად გააზრებული, ექსპლიციტურად ფორმულირებული და სისტემატიზებული მეთოდების ნაკრების როგორც კოდირებისთვის, ისე ჰიპოთეზების შესამოწმებლად, რომლებიც კვლევით პროცესში იქმნება. კოლუმბიის უნივერსიტეტის ტრადიციისთვის ასევე დამახასიათებელი იყო აქცენტი ემპირიულ კვლევაზე თეორიის შემუშავებასთან შერწყმულად. ჩიკაგო-კოლუმბიის სამეცნიერო კვლევითი ტრადიციები მიმართული იყო კვლევით მიდგომაზე, რომელიც როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი აუდიტორიისთვის იქნებოდა სასარგებლო. ამ მიზეზის გამო მრავალი შრომა რ. თჰ-სთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ორი ავტორის კოლეგებს.

რა არის აუცილებელი ამ მიდგომის შესასწავლად?

Grounded theory-ის მეთოდით კვლევის უნარი მისი ხანგრძლივი შესწავლისა და გამოყენების შედეგად ვლინდება. მისი გამოყენების ყოველი მსურველი შეძლებს მიაღწიოს გარკვეულ დონეს, თუკი შემდეგ პირობებს დაიცავს:

1. უნდა შეისწავლოს სხვადასხვა წიგნში აღწერილი პროცედურები და შეასრულოს ისინი. პროცედურები იმისთვის იქმნება, რომ სისტემურად და აკურატულად აიგოს თეორია. სამუშაოს შეკვეცას მოაქვს ცუდად აგებული და ვიწროდ გაგებული თეორია, რომელიც ვერ შეძლებს რეალობის რეპრეზენტატულად ასახვას.

2. უნდა დაიცვა პროცედურები და მთელი კვლევის მანძილზე მათი გამოყენებით გაიგებ, როგორ მუშაობენ ისინი.

3. აუცილებელია ღიაობის და მოქნილობის ერთობლიობა, რათა შეძლო პროცედურების ადაპტირება სხვადასხვა ფენომენებისა და კვლევითი სიტუაციებისადმი (Glaser, Barney G. et Strauss, Anselm L. 1965).

არის თუ არა grounded theory მხოლოდ სოციოლოგიის მეთოდი?

იგი წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დისციპლინაში. მნიშვნელოვანია პროცედურები, ეს კი დისციპლინას უკავშირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა დისციპლინის მკვლევრებს განსხვავებული ფენომენები აინტერესებთ, ან ერთი და იგივე ფენომენი სხვადასხვაგვარად, თავიანთი სფეროს პერსპექტივაში და ინტერესის მიხედვით განიხილონ. მაგ., ბავშვები დამწყებ კლასებში. ბავშვების მოვლის სპეციალისტს აინტერესებს მათი ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქოლოგს მათი ადაპტაცია, სოციოლოგს მათი ჯგუფური ქცევა, სკოლის პედაგოგს პროცესი და პატერნები, ფენომენოლოგს განცდები. grounded theory-ს მიდგომას შეუძლია მკვლევრები უზრუნველყოს ანალიზისთვის პროცედურებით და ტექნიკით, რაც ყველა დისციპლინაში გამოიყენება. დისციპლინათშორისი პროექტი შეიძლება განხორციელდეს დასაბუთებული მეთოდიკებით ისე, რომ ყველა მკვლევარს აქვს საშუალება თავისი განსაკუთრებული ხედვა შეიტანოს. საბოლოოდ, ნებისმიერი შემუშავებული თეორია ასახავს შესატყვის პერსპექტივებს.

არის თუ არა grounded theory მეცნიერული მეთოდი? თუ ეს ასეა, როგორ ვლინდება მასში შემოქმედებითი საწყისი?

ღიახ, ეს არის მეცნიერული მეთოდი. მისი პროცედურები ისეა შედგენილი, რომ თუ ზუსტად სრულდება, იგი აკმაყოფილებს “კარგი” მეცნიერების

კრიტიკრიუმებს: მნიშვნელოვნებას, თეორიისა და დაკვირვების თავსებადობას, განზოგადებას, კვლავწარმოებას, სიზუსტეს, სიმკაცრეს და ვერიფიკაციას (Glaser, B. et Strauss, A. 1973). პრობლემა აქ ის კი არ არის, შეესაბამებიან თუ არა ისინი კანონებს, არამედ როგორ ხდება მათი ინტერპრეტაცია და განსაზღვრება gr. theory-ს მიდგომის ჩარჩოებში. კანონები ზოგად პრინციპს წარმოადგენს და თვისებრივი მკვლევრები თავს არიდებენ მათ ძალიან კონკრეტულად ინტერპრეტაციას, რაც რაოდენობრივმა მკვლევრებმა განავითარეს. აღმოჩენის ყოველი ხერხის მომხრეები რეალურად უნდა ავითარებდნენ უფრო მეტად კონკრეტულ კრიტიკრიუმებს, რომლებიც გარკვეულ კრიტიკრიუმებს ეფუძნება, რაც სასარგებლოდ ჩათვალეს თავიანთ კვლევებში (Glaser, B. et Strauss, A. 1973)..

შემოქმედებითი მიდგომა Grounded theory-ს მეთოდის სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტია. პროცედურები მკვლევარს უბიძგებენ გაარღვიონ ვარაუდები და შექმნან ძველიდან ახალი წესრიგი/წყობა. შემოქმედებითობა ვლინდება მკვლევრის უნარში სწორი სახელწოდებები მისცეს კატეგორიებს; ამას გარდა იმაშიც, გასაქანი მისცე აზრებს და წარმოქმნა ახალი ასოციაციები, რომლებიც აუცილებელია მასტიმულირებელი საკითხები/კითხვები წარმოშობისა და შედარებებისთვის, რომელთაც აღმოჩენამდე მივყავართ. შედარებები ამაღლებს მკვლევრის მგრძობელობას და მას უნარიანს ხდის, ამოიცნოს პოტენციური კატეგორიები და საქმესთან დაკავშირებული პირობებისა და შედეგების იდენტიფიცირება მოახდინოს, როცა ისინი მონაცემებში ჩნდებიან. ეფექტური თეორიის განვითარებისთვის შემოქმედებითობის აუცილებლობის მიუხედავად, მკვლევარი ყოველთვის უნდა ახდენდეს ნებისმიერი კატეგორიის და კავშირების ფორმულირების ვალიდიზირებას, რომლებთანაც ის შემოქმედებითად მივიდა კვლევის პროცესის დროს.

რა განსხვავებაა თეორიასა და აღწერას შორის?

ამ საკითხის ორი ხედვა არსებობს. პირველ რიგში, თეორია იყენებს ცნებებს. ერთმანეთის მსგავსი მონაცემები ჯგუფდება და მათ ცნებობრივი (კონცეპტუალური) იარაღები მიეწერება. ეს ნიშნავს ინტერპრეტაციების მიკუთვნებას მონაცემებისათვის. მეორე ცნებები ერთმანეთს ურთიერთკავშირის ფორმულირების მეშვეობით უკავშირდება .

აღწერაში მონაცემების ორგანიზება შეიძლება თემების მიხედვით. ეს თემები შეიძლება იყოს მონაცემთა კონცეპტუალურიზაციები, მაგრამ უფრო სარწმუნოა, ეს იყოს გამონათქვამების რეზიუმე, რომლებიც უშუალოდ

მონაცემებიდან არის აღებული. აქ, თუკი ის არის, მონაცემთა ინტერპრეტაცია უმნიშვნელოა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ Grounded theory არის თვისებრივი კვლევითი მიდგომა, რომელიც ერთობლივად შეიმუშავებს გლესურმა და სტრატეგიას. მისი სისტემატური ტექნიკები და ანალიზის პროცედურები მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს შეიმუშავდეს თეორია, რომელიც კონკრეტულ საგნობრივ სფეროს მიეკუთვნება, აკმაყოფილებს “კარგი” მეცნიერების შემდეგ კრიტერიუმებს: მნიშვნელოვნებას, თეორიისა და დაკვირვების თავსებადობას, განზოგადებას, კვლავწარმოებას, სიზუსტეს, სიმკაცრესა და ვერიფიკაციას.

თვისებრივი კვლევის განსაზღვრება კვლევით პრაქტიკაში საკმაოდ ფართო და არაერთგვაროვანია.

ჩვენ ვემხრობით განსაზღვრებას, რომლის თანახმადაც ეს არის კვლევა, რომელშიც მონაცემების მოპოვება ხდება დაკვირვების, ინტერვიუს, პირადი დოკუმენტების (ტექსტური თუ ვიზუალური, ვიდეოწყაროები) მეშვეობით, რამდენიმე განსხვავებული ხერხით.

თვისებრივ კვლევაში პირველადია მონაცემები ადამიანთა სუბიექტური შეხედულებების და აზრების შესახებ, რომლებიც გამოხატულია განვრცობილი გამონათქვამებით, უფრო იშვიათად ქესტებით ან სიმბოლოებით, რომლებიც ამ შეხედულებებს ასახავს.

ასეთი მონაცემების ანალიზი ხდება არა მათემატიკურად, არამედ მათი სუბიექტური აზრის ანალიტიკური გახსნის გზით.

თვისებრივი კვლევები ტარდება უპირველესად სოციალური პრაქტიკის ინდივიდუალური ასპექტის კონკრეტულ სიტუაციებში კონკრეტული ადამიანების რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების შესასწავლად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ანალიზით უფრო ფართე სოციალური პრობლემების კვლევაც არის შესაძლებელი, მაგ., რომლებიც ეხება სოციალურ ჯგუფებს, მოძრაობებს, სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირების ხასიათს კონკრეტულ სიტუაციაში. ინფორმაციის დამატებით წყაროდ შეიძლება რაოდენობრივი მონაცემების (მაგ., სტატისტიკის) გამოყენებაც, მაგრამ მათი ანალიზი ანალიტიკური მიდგომის საფუძველზე ხორციელდება.

თვისებრივი კვლევის სხვადასხვა კომპონენტისაგან შეიძლება საში ძირითადი გამოვყოთ:

- ემპირიული არაკონსტრუირებული მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა დოკუმენტებით მოიპოვება: დაკვირვებისა და ინტერვიუს ტექსტური ჩანაწერები, პირადი და ოფიციალური დოკუმენტები, ფოტოები და ა.შ.

- ინტერპრეტაციული პროცედურები, რომლებიც ანალიზისთვის გამოიყენება და გულისხმობს სხვადასხვა ტექნიკებს (აღწერითა და კომენტარებით დაწყებული და კოდირებითა და კატეგორიზაციით დამთავრებული).

- მესამე კომპონენტია თხრობითი ანგარიში, რომლის სტილი და ჟანრი განსაზღვრული და დამოკიდებულია ერთი მხრივ კვლევის მიზნებზე და მეორე მხრივ ადრესატზე; ეს შეიძლება იყოს ფართე აუდიტორია, სამეცნიერო მოხსენება ან დისკუსია. სტილის მხრივ ეს არის ცოცხალი აღწერა, რომელშიც მრავლად გამოიყენება ციტატები რესპონდენტთა მონათხრობიდან, ჟანრის მხრივ ინტერპრეტაციები, ჰიპოთეზები, მსჯელობები ან თეორეტიზირება სოციალური სფეროს მოცემული ფენომენის/მოვლენის შესახებ.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, თვისებრივი კვლევა, როგორც ცალკეული პრობლემის შესწავლის პროცესი, გულისხმობს როგორც განსაკუთრებული თვისებრივი მონაცემების არსებობას, ისე მათი მოპოვებისა და შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სპეციფიკურ ხერხებს. ამიტომაც, თვისებრივი კვლევის აღმნიშვნელად ხშირად ვხვდებით უფრო განზოგადებულ ტერმინს, როგორცაა თვისებრივი მეთოდი ან მეთოდები, როგორც სხვადასხვა ტაქტიკების ერთობლიობა (Berg, B. 2008).

ამ მეთოდის გამოყენებას ძირითადად საკვლევი პრობლემის ბუნება განაპირობებს. არაერთი სოციალური პრობლემა (მაგ., რელიგიური რწმენა, ნარკოტიკების მოხმარება, ავამყოფობები და ა.შ.) სწორედ თვისებრივ მიდგომას მოითხოვს. მისი მეშვეობით ხდება შესაძლებელი სოციალური ცხოვრების ვიწრო სეგმენტების სიღრმისეული კვლევა, ან აქამდე უცნობი მოვლენების ბუნების, აგრეთვე ცნობილი პრობლემების უცნობი ასპექტების კვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს დაფარული სუბიექტური საზრისის გახსნისათვის და ამისათვის იგი (თვისებრივი მიდგომა) შეუცვლელი ინსტრუმენტია.

შეიძლება თუ არა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შეთავსება?

რასაკვირველია, შესაძლოა და ეს ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში. თუმცა, მკვლევრები ჩვეულებისამებრ, ამა თუ იმ პროცედურაზე ახდენენ აქცენტირებას, გამომდინარე შესასწავლი პრობლემის სპეციფიკიდან ან

საკუთარი მომზადებიდან. ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული მონაცემები კარგი საილუსტრაციო მასალაა შედეგების აღწერისას.

თვისებრივი მეთოდების სახესხვაობები

ინტერესის ფოკუსის ან კვლევის ჩატარების ტაქტიკის მიხედვით განასხვავებენ: შემთხვევის შეწავლას (case study), ეთნოგრაფიული აღწერა, თეორიისკენ სვლა (grounded theory), ცხოვრების ისტორია, ოჯახის ისტორია, ისტორიული კვლევა (ზეპირი ისტორია).

საბოლოო შედეგების ანალიტიკური წარმოდგენის ფორმის მიხედვით (ესეც საკამათოა) კვლევებს ყოფენ უპირატესად აღწერითად და უპირატესად ანალიტიკურად. ეს დამოკიდებულია, თუ რამდენად ვერვით პირველად მონაცემებში. ამ თვალსაზრისით სამ შესაძლო მიდგომას განიხილავენ.

ერთი ნაწილი ამჯობინებს მიღებული მონაცემების სიტყვასიტყვით აღწერას მკვლევრის ინტერპრეტაციის გარეშე, რაც სუბიექტივიზმისგან გვაზღვევს.

მეორე ნაწილი ირჩევს მიღებული მონაცემების რედაქტირებისა და შემდგომ მათი სისტემატიზაციის სტრატეგიას მცირე კომენტარებით, რასაც უფრო აღწერითი ხასიათი აქვს, ვიდრე ანალიტიკური.

მესამე ნაწილი თეორიის აგებაზეა ორიენტირებული. მათი აზრით, თვისებრივი კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია კონცეპტუალური წარმოდგენა რეალურ პრაქტიკაზე და თეორიული მსჯელობები მოვლენის ბუნების შესახებ.

ამრიგად:

თვისებრივი მეთოდები ფართოდ გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში (და არა მარტო) და უპირველესად სოციალური ყოფიერების/ყოფის ინდივიდუალური ასპექტის შესასწავლად. კვლევითი ინტერესის გარდა, ამგვარი კვლევები მოითხოვს სპეციალურ მომზადებასა და ცოდნას ჩატარების ტაქტიკისა და ანალიზის ლოგიკის შესახებ, რაც მიღებული თეორიული ცოდნის და ასევე სოციოლოგის ზოგადი კვლევითი გამოცდილებისა და უნარების საფუძველზე ხდება.

რ. მერტონი ამტკიცებდა, რომ ჯგუფის ზომა ორი მოსაზრებით უნდა განისაზღვროს. იგი არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ უმართავი გახდეს ან სხვა წევრების ადეკვატურ მონაწილეობას შეუშალოს ხელი, და არ უნდა იყოს

ისე მცირე, რომ მონაცემი არსობრივად არ განსხვავდებოდეს ართი ადამიანისგან მიღებულიდან.

მონაწილეთა რაოდენობის ქვედა ზღვარი იმით განისაზღვრება, რომ საკითხის განვითარება ვერ ხერხდება მცირე ზომის ჯგუფში (მაგ., 4-ზე ნაკლები), დისკუსია სწრაფად “ქრება”. მონაწილეთა დიდი რაოდენობა ბარიერს უქმნის ზოგიერთს აზრის გამოსათქმელად და ინტერაქცია მოდერატორსა და წევრების ერთ ნაწილს შორის ხდება ანუ ჯგუფში იწყება დეფრაგმენტაცია ანუ ნაწილებად გახლეჩა ამიტომაც ზომა იშვიათად თუ აღემატება 8 ადამიანს. ხშირად კი მისი ზომა 8 წევრით განისაზღვრება.

როგორც ყველა კვლევაში, სცენარის განვითარება პრობლემის დეტალური კონცეპტუალიზაციით და ოპერაციონალიზაციით იწყება (პროგრამული საკითხების ტერმინებში). დაახლოებით 10 ძირითად საკითხსა და ქვესაკითხებს შეიცავს და 1,5-2,5 სთ. გრძელდება

საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ თვისებრივი კვლევის ფილოსოფიას საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ ჩვენი სინამდვილე არის აკუმულირებული გამოცდილება ადამიანებისა, რომლებიც ჩართული არიან კომუნიკაციის პროცესში (ორგან, 1980). ამ მეთოდის გამოყენებით, თვისებრივი მკვლევრები ცდილობენ კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში მიმდინარე მოვლენების ზუსტად აღწერას, სწორად გაშიფვრასა და ინტერპრეტაციას. ინტერპრეტაცია არის თვისებრივი კვლევის საფუძველი, რომლის დროსაც მკვლევრები ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ ჰიპოთეზის სისწორეზე, სირთულეების შესწავლაზე, შესასწავლი მოვლენის და მკვლევრის კონტექსტებს შორის კავშირებზე, ასევე, დასკვნების უზუსტობების მინიმიზაციაზე (Fryer, 1991).

უმრავლეს შემთხვევაში თვისებრივი კვლევები ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობს. ე.ი. კვლევის თემა ხდება ის პრობლემები, რომელთაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით და როგორც წესი, მონაცემთა შეგროვებისა და კლასიფიკაციის პროცესი უფრო თავისუფალი და შეუზღუდავია, ვიდრე რაოდენობრივი კვლევის დროს. კვლევის შედეგები შეიძლება ჩამოყალიბებული ჰიპოთეზისა და ფორმატის ჩარჩოებს გასცდეს, აგრეთვე, შესაძლოა ისინი იდეოგრაფიულ ან დამახასიათებელი თენდენციების აღწერას წარმოადგენდეს (Cassell & Symon, 1994).

ამრიგად, თვისებრივ კვლევას საფუძვლად უდევს ინტერპრეტაცია, რომელიც სამი ნიშნის მიხედვით ხასიათდება. პირველ რიგში, თვისებრივი კვლევა არის დისკურსის შესწავლა (ტექსტი და მისი რეალისაზია საუბრის დროს). მეორე, თვისებრივი კვლევა ხელს უწყობს ინტერპრეტაციული პრინციპების შესწავლას, რაც გამოიყენება ინფორმაციის გაშიფრვის პროცესში. მესამე, თვისებრივი კვლევა არის კონტექსტუალური ფაქტორების გამოვლენა, ანუ კომუნიკანტების როლების განაწილების სპეციფიკის, ურთიერთობითი სიტუაციის ფიზიკური კონტექსტის, სიტუაციური მოვლენების მოდიფიკაციის, რომლებიც დისკურსის ინტერპრეტაციაზე ახდენენ გავლენას (Ting-Toomey, 1984).

თვისებრივი მეთოდის უპირატესობები:

- მოვლენის რეალისტური სურათის მიღება, რაც სტატისტიკური ანალიზითა და ციფრული ინდექსებით ვერ მიიღება;
- მონაცემთა შეგროვების, შემდგომი ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეთოდები მოქნილი და რბილია;
- ურთიერთობა კვლევის მონაწილეებთან მათ ბუნებრივ გარემოში (ასევე, მათ ენაზე) (Patton, 1980);
- აღწერების გამოყენება, რომელიც ეფუძნება პირველად არასტრუქტურირებულ მონაცემებს.

თვისებრივი მეთოდის ნაკლოვანებები:

- კვლევის საწყისი ამოცანების ცვლილება კონტექსტის ცვალებადი ხასიათისგან გამომდინარე;
- ისეთი დასკვნების ფორმულირება, რომლებიც მკვლევრის პიროვნული შეფერილობის შემცველია;
- შესასწავლ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კვლევის შეუძლებლობა;
- მკვლევრის პროფესიონალიზმის მაღალი დონე, როგორც ობიექტური და საჭირო ინფორმაციის აუცილებელი პირობა;
- სხვადასხვა რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის თავისებრიობასა და რაოდენობას შორის განსხვავების ახსნის პრობლემურობა და ამის

საფუძველზე სუსტი და შეუსაბამო დასკვნების გამოტანა და ფორმულირება;

- არაობიექტური და არასანდო დასკვნების შესაძლებლობა, რამდენადაც რესპონდენტი თვითონ განსაზღვრავს, თუ რა თქვას.

3. რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები - “რბილი” და “ხისტი” მეთოდების შედარება, უპირატესობები და ნაკლოვანებები

რაოდენობრივი და თვისებრივი სტრატეგიები, რომლებიც სოციოლოგიაში გამოიყენებ, ზოგადი ორიენტაციითა და სოციოლოგიური ანალიზის სტადიებით არსებითად განსხვავებულია. სტრატეგიების განსხვავებები კვლევის თეორიულ განწყობებში, ინტერესის ფოკუსში, საკვლევი ობიექტის დამოკიდებულებაში, მონაცემთა შეგროვებისა და ინტერპრეტაციის პროცედურებში ვლინდება.

“ადრინდელ სოციოლოგებს, როგორც კონტი და დიურკემია, სწამდათ, რომ სოციოლოგებს შეუძლიათ და უნდა იყვნენ მიუკერძოებლები, რამდენადაც ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მეცნიერული ცოდნა მიუკერძოებელია და “ჭეშმარიტებას ასახავს”. კ. მარქსსაც სწამდა საზოგადოების შესწავლის ობიექტურობის. მ. ვებერიც მიიჩნევდა, რომ რახან კვლევები დაიწყო, სოციოლოგები შეძლებდნენ ყოფილიყვნენ ობიექტურები.

ზოგიერთი, უფრო თანამედროვე სოციოლოგი ამტკიცებდა, რომ სრული თავისუფლება იდეებისგან შეუძლებელია და სოციოლოგისთვის არ არის სასურველი. ელვინ გოულდნერი ამტკიცებს, რომ ზოგადად სოციოლოგიაზე გავლენას ახდენდა გარკვეული ძირითადი ვარაუდები საზოგადოების ბუნების შესახებ. მაგ., ფუნქციონალიზმი მიიჩნევს, რომ საზოგადოებები არსებითად სტაბილურია, მაშინ, როცა მარქსისტები მათ არასტაბილურობაში არიან დარწმუნებულნი. გოულდნერი ამას დომინირებულ ვარაუდებს უწოდებს და ამტკიცებს, რომ ამგვარი რწმენები გავლენას ახდენს კვლევის მიმართულებებსა და რეზულტატებზე. ისინი განსაზღვრავენ მეთოდის არჩევას, ანუ რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდის გამოყენებას; სტრუქტურალისტები უპირატესობას პირველს რაოდენობრივ მეთოდს ანიჭებენ, ინტერაქციონისტები და ფემინისტები კი მეორეს თვისებრივს. ასე რომ, სტრატეგიის არჩევა

კვლევით ამოცანებზე, მიზნებზე, საგანზე და კვლევის ობიექტზე დამოკიდებული, მას განაპირობებს, აგრეთვე, ამა თუ იმ პარადიგმისადმი მკვლევრის ინტერესზე.

ცვლადის სხვადასხვა მნიშვნელობის გავრცელების ხარისხის დასადგენად დიდ ერთობლიობებში გამოიყენება რაოდენობრივი მიდგომა, რომელსაც შემდეგი თვისებები აქვს:

1. გამოიყენება ობიექტების საკმაოდ დიდი რიცხოვნობის შესასწავლად (სოციალური ჯგუფები, ერთობები, დიდი ოდენობის დოკუმენტები).
2. კვლევითი მიზანია მიზეზობრივი ახსნა და ურთიერთკავშირების გაზომვა.
3. შესწავლის კონცენტრირება ხდება მაკროანალიზის ფაქტებისა და მოვლენების დონეზე.
4. ანალიზის ლოგიკა დედუქციურია: აბსტრაქციიდან ფაქტებისკენ ოპერაციონალიზაციის ცნებების მეშვეობით.
5. კონცეპციების ფორმულირება ხდება თეორიიდან და გადაიყვანება მონაცემთა ოპერაციების ენაზე.
6. რაოდენობრივი კვლევების ჩასატარებლად გამოიყენება სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდების სტანდარტიზებული სახეობები, გაზომვის მეთოდი, შერჩევის მეთოდი და ანალიზის სტატისტიკური მეთოდები.
7. გაზომვის ინსტრუმენტების შემუშავება და შემოწმება ხდება პილოტაჟის დროს.
8. მონაცემები წარმოდგენილია სტატისტიკური განაწილებების, სკალის მნიშვნელობების და ურთიერთკავშირის გაზომვის შედეგების სახით.

რაოდენობრივი მეთოდები ნაკლებად ითვალისწინებს ინდივიდუალურ ანუ სუბიექტურ გამოცდილებას. მათ უპირატესობას ის სოციოლოგები ანიჭებენ, რომლებიც სისტემურ ან სტრუქტურულ კონცეპციებს გამოიყენებენ. რაოდენობრივი მონაცემები ყველაზე ხშირად პოზიტივისტურ მეთოდებთან ასოცირდება და უფრო სარწმუნოდ მიიჩნევა. ეს ნიშნავს, რომ არსებობს კვლევის ნაწილის განმეორების შესაძლებლობა და თუ შედეგი იგივე იქნება ამით ვაჩვენებთ, რომ არსებობს კანონზომიერება, რასაც მიყვავართ შესაბამის დასკვნებამდე.

რაოდენობრივი სტრატეგიის განვითარება სოციოლოგიურ კვლევებში ედუკაციის პოზიტივიზმს უკავშირდება, რომლის თანახმადაც “სოციოლოგიის მეცნიერება შედგება საზოგადოების ცხოვრების შესახებ რაოდენობრივი მონაცემების შეკრებისა და სტატისტიკური ანალიზისაგან”.

მნიშვნელოვანი როლი რაოდენობრივი სტრატეგიის განვითარებაში შეასრულა პ. ლაზარსფელდის შრომებმა, რომლებიც რაოდენობრივი მეთოდების აღწერას ეძღვნებოდა. მისი აზრით, ამ მეთოდოლოგიისათვის მნიშვნელოვანია კლასიფიკაცია კვლევის სხვადასხვა მონაცემთა სისტემატიზაციის და მოწესრიგების ხერხი.

“მასალის კლასიფიცირების ხელოვნება თვალნათლად მოწმობს სოციოლოგიის პროფესიონალიზმის დონეს”. ლაზარსფელდი გამუდმებით იმეორებდა, რომ “ეს ხელოვნება აუცილებლად უნდა ასწავლო სტუდენტებს”. ამასთან, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეთოდოლოგიის დაყვანა რაოდენობრივ პროცედურებზე არ შეიძლება. რაოდენობრივი მეთოდები თვისებრივთან ერთობლიობაში საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სოციალური სისტემის მდგომარეობის მოდელირება და განვაავითაროთ მეტათეორიული წარმოდგენები.

თვისებრივი მეთოდოლოგიის განვითარება შესაძლებელი გახდა მიკროსოციოლოგიის წყალობით, რომელიც წარმოდგენილია ისეთი მიმართულებებით, როგორც არის სიმბოლური ინტერაქციონიზმი (ჯ. მიდი, ი. ჰაბერმასი, ჰ. ბლუმერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (ა. შიუცი) და ეთნომეთოდოლოგია (ჰ. გარფინკელი). მიკროსოციოლოგიური მიმართულება წარმოადგენს თვისებრივი მიდგომის მეთოდოლოგიურ ბაზას სოციოლოგიური გამოკვლევისთვის, რომელიც განიხილება, როგორც სოციოლოგიური ანალიზის “სხვა” მეთოდოლოგია.

თვისებრივი სტრატეგია ემსახურება სოციალური პრობლემების შესწავლას ინდივიდუალურის და კერძოს თვალსაზრისით (Семёнова, В. 1998).. კვლევის ობიექტებს ცალკეული ინდივიდები ან მათი ვიწრო ერთობა წარმოადგენს თავიანთი სპეციფიკური სოციალური მახასიათებლებით. კვლევის საგანია სოციალური როლები და მათი შესრულება ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტულ პრაქტიკაში. ისინი მონაცემებს გვაძლევენ სოციალური ქცევის მიზეზებზე და საკუთარ გამოცდილებაზე. ამასთან, უფრო მეტად ხდება ინდივიდუალური გამცდილებისა და გრძნობების გათვალისწინება, ვიდრე იმისა, თუ როგორ ზემოქმედებენ ადამიანებზე მსხვილმასშტაბიანი საზოგადოებრივი

სტრუქტურები. თვისებრივი ინფორმაციის მოპოვების სტანდარტული მეთოდებია დაკვირვება და თავისუფალი ინტერვიუ. ამ მეთოდებს ხშირად იყენებენ ის სოციოლოგები, რომლებიც იზიარებენ სოციალური მოქმედების, ინტერაქციონისტულ ან ფემინისტურ კონცეფციებსა და შეხედულებებს. თვისებრივი მონაცემები ასოცირდება კვლევის ინტერპრეტაციულ მეთოდებთან და უფრო დასაბუთებულად, სარწმუნოდ და ვალიდურად ითვლება. დასაბუთებულობა იძლევა შესასწავლი ფენომენის უფრო რეალურ და ნათელ სურათს. თვისებრივ მონაცემებს უფრო დასაბუთებულად მიიჩნევენ, ვიდრე რაოდენობრივს, მაგრამ ნაკლებად სარწმუნოდ.

თვისებრივი მიდგომა ნიშნავს, რომ მონაცემები მიღებულია არა სტატისტიკური ან სხვა მათემატიკური მეთოდების მოშველიებით, არამედ, ნომინალური პასუხების ინტერპრეტაციით და აზრის წვდომით, რომლებიც გამოხატავენ მოცემული საგნის სუბიექტურ ღირებულებას. ამგვარი კვლევის მიზნები მდგომარეობს სოციალური პროცესების სუბიექტური ასპექტების გაგებასა და ინტერპრეტაციაში. ეს მიმართულება თავისი მეთოდოლოგიით, იდეოლოგიით, კვლევის ენით და ასევე ინტერესების დონით (კერძო, ლოკალური, კონკრეტული სიტუაციების მიკრო ანალიზი) სოციოლოგიის ცალკე სფეროს წარმოადგენს.

თვისებრივი მიდგომა შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

1. იგი გამოიყენება რიცხობრივად მცირე ობიექტების შესასწავლად (მცირე ჯგუფები ან ცალკეული ინდივიდები).
2. კვლევითი მიზანია სუბიექტური საზრისების და მნიშვნელობების გამოვლენა და ინტერპრეტაცია.
3. შესწავლა კონცენტრირებულია ცალკეული შემთხვევების მიკროანალიზის დონეზე და სოციალური ურთიერთქმედებების მდგომარეობაზე.
4. ანალიზის ლოგიკა ინდუქციურია: ცხოვრებისეული ფაქტებიდან მათი კლასიფიკაციისა და კონცეპტუალიზაციისკენ.
5. ეს ძიებითი სტრატეგია, ახდენს თეორიული კონცეპციების ფორმულირებას კვლევის პროცესში ობიექტის შესახებ არაერთგვაროვანი ინფორმაციის განზოგადების გზით.
6. მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება არასტანდარტიზებული სახეები: დაკვირვება, თავისუფალი (ჩადრმავებული ან ნარატიული) ან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ

(ბიოგრაფიული, ფოკუსირებული), ფოკუს-ჯგუფი და პირადი დოკუმენტების ანალიზი.

7. მონაცემთა ანალიზისთვის არ გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები. შედეგები წარმოდგენლია ციტატების სახით ადამიანთა ზეპირი ან წერილობითი წყაროებიდან (Ланга Л.Я. 2004)..

თვისებრივი სტრატეგია იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც კვლევის მიზანი გულისხმობს შესასწავლი ფენომენის გაგებას, რომელიც არ ითხოვს რაოდენობრივ ინტერპრეტაციას ან იმ შემთხვევაში, როდესაც შესასწავლი ფენომენი არ ექვემდებარება ზუსტ გაზომვას. ასეთი კვლევები საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ახალი მოვლენები და პროცესები, რომლებიც მასობრივად არ არის გავრცელებული, განსაკუთრებით, მკვეთრი სოციალური ცვლილებების შემთხვევაში. გადაწყვეტილებას თვისებრივი კვლევის შესახებ დებულობენ შემდეგ შემთხვევაში:

პირველი - თუ მკვლევარს განზრახული აქვს გაიგოს ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება და ამ რაკურსით ახსნას ინდივიდუალურის ფუნქციონირების ლოგიკა სოციალურ სტრუქტურაში.

მეორე - როცა საერთოდ არ არის ფორმულირებული პრობლემა, არამედ იგი მხოლოდ ბუნდოვნად განიხილება. სწორედ ამ შემთხვევაში მას ესაჭიროება, რომ იგი იკვლიონ, რამდენადაც სტანდარტული მეთოდებით ვერ ხერხდება მისი შემადგენლების აღმოჩენა/დადგენა, თეორია კი ვერ პასუხობს ამ შეკითხვას.

მესამე როცა აუცილებელია პრობლემის დეტალური, სიღრმისეული აღწერა, ხოლო მასობრივი მეთოდებით ფართე განხილვა მის სიღრმეს სათანადოდ ვერ ასახავს.

მეოთხე როცა აუცილებელია ინდივიდების აღწერა ბუნებრივ გარემოში, საეფლე პირობებში.

მეხუთე როდესაც მოვლენის უშუალო მონაწილეთა მტკიცებულებებით არის საჭირო პრობლემის მდგომარეობის დაწვრილებითი ტექსტური გადმოცემა.

მექვსე თუ პრობლემის ასახსნელად საჭიროა აქტიური კვლევის პოზიცია, როდესაც მნიშვნელოვანია მონაწილეთა თვალთ ნანახი და მათი სიტყვებით გადმოცემული სიტუაციის ხედვა და არა “სამეცნიერო ექსპერტის” პოზიცია. ანუ ის ასპექტებია შესასწავლი, რომლებიც პირველ რიგში ადამიანის ცხოვრებისეული მოღვაწეობისა და პრაქტიკის ემოციურ სფეროს უკავშირდება.

სპაციალისტები თვისებრივი მეთოდების გამოყენების ძირითად სფეროებს გამოყოფენ, რომელთა შორისაა: დევიანტოლოგია, გენდერული კვლევები, ოჯახის სოციოლოგია, პიროვნების სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია, ურბანისტიკა, სოციალური მობილობის შესწავლა და ა.შ.

თვისებრივი კვლევის ჩატარებისთვის გამოიყენება, ძირითადად, შემდეგი ტექნიკები, რომელშიც მოიაზრება მონაცემებისადმი მიდგომის ხერხები (ანუ როგორ ვიკვლიოთ): case study, ეთნოგრაფიული კვლევა, ისტორიული კვლევა, ცხოვრების ისტორია, ოჯახის ისტორია, თეორიისკენ სვლა ანუ grounded theory.

ინფორმაციის მოპოვების ძირითადი მეთოდებია დაკვირვება, თავისუფალი ინტერვიუ ან ნახევრადსტრუქტურირებული, ფოკუს-ჯგუფი, პირადი დოკუმენტების ანალიზი.

ეს მიდგომები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთდამატებითი, კვლევით პრაქტიკაში ამ მეთოდების გაერთიანების ტენდენციები კარგა ხანია, რაც არსებობს და, შესაბამისად, არსებობს მაინტეგრირებელი მოდელებიც (Готлиб, А.2002).

ინტეგრაციის პირველი კლასიკური მოდელი ჯერ კიდევ 50-იან წლებში შემოგვთავაზეს ა. ბარტონმა და პ. ლაზარსფელდმა ჰიპოთეზების შემუშავებისა და ფორმულირებისათვის, რომელთა შემოწმებაც შემდგომ რაოდენობრივი მეთოდებით უნდა მომხდარიყო. სხვაგვარად თუ ვიტყვით ეს არის პილოტური კვლევის გაფართოებული მოდელი.

მეორე მოდელი “მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია” მეთოდების ინტეგრაციის კიდევ უფრო გაფართოებული მოდელია. ტრიანგულაცია შეიძლება განხორციელდეს, როგორც: ა) სამი განსხვავებული კვლევის განსხვავებული ინტერპრეტაციების შეპირისპირება; ბ) როგორც ინტერპრეტაციების შედარება სხვადასხვა მეთოდების პოზიციებიდან; გ) როგორც მოცემული სიტუაციის შეპირისპირება ანალოგიურ შედეგებთან, რაც სხვა კვლევების მეშვეობით არის მიღებული; დ) როგორც შედეგების გამოორება იმავე ობიექტზე გარკვეული დროის შუალედის შემდეგ. ამრიგად, კვლევითი პრაქტიკა ახდენს შეთანხმების, ჰარმონიზაციის და ურთიერთქმედების მეთოდებთან დაკავშირებული პრობლემის აქტუალიზებას, რომელსაც თანამედროვე სოციოლოგია ფლობს და ამის საფუძველზე შესაძლებელია კვლევის ხარისხის ამაღლება. ამ მიმართულებით სამომავლო ამოცანებად გვესახება კატეგორიულ-ცნებითი აპარატის

განვითარება, მრავალფეროვანი სახელმძღვანელოების შექმნა, სასწავლო პროცესში ცვლილებების შეტანა და ა.შ.

ზოგიერთი მკვლევარი ტერმინებთან მიმართებაში ხედავს სერიოზულ მეთოდოლოგიურ პრობლემას. ა გოტლიბი მიიჩნევს, რომ დამკვიდრებული ტერმინი “თვისებრივი მეთოდები” მისი არაადეკვატურად ასახვას, რამდენადაც აქცენტირება ხდება პროცედურების, ტექნიკებისა და ხერხების, რაც მეორესხარისხოვანია. უფრო ზუსტი იქნება სხვა ტერმინების გამოყენება, როგორც არის თვისებრივი მეთოდოლოგია, თვისებრივი მიდგომა, თვისებრივი პარადიგმა, რომლებიც მოიაზრებენ თვისებრივ კვლევას, როგორც *სოციოლოგიური გამოკვლევის განსაკუთრებულ ტიპს*, რომელიც კარდინალურად განსხვავდება კლასიკური მეთოდოლოგიური საფუძვლებისგან და, როგორც შედეგი, ასევე განსხვავდება პირველადი ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის მეთოდებისაგან. ამასთანავე, მისი მხრიდან გარკვეული პრეცედენტებია გამოთქმული ტერმინის “თვისებრივი პარადიგმა”-ს მიმართ. ტ. კუნის შემდეგ, გასაგებია, რომ ტერმინი “პარადიგმა” მეცნიერული კვლევის არა მხოლოდ ზოგად პრინციპებს, წესებსა და ნიმუშებს აფიქსირებს, არამედ სოციალურ შემადგენელსაც პროფესიულ ერთობაში “მეცნიერული პატიოსნების/ღირსების კოდექსის” აღიარებასაც, რომელიც კონკრეტული პარადიგმისთვის არის დამახასიათებელი. ამ აზრით, სოციოლოგთა ერთობაში თვისებრივი მკვლევარების, ისე როგორც რაოდენობრივის არსებობა ხელს უწყობს ამ ტერმინის გამოყენებას. ამავდროულად, იგი წარუმატებელიცაა, რადგან აღნიშნავს სოციოლოგიური გამოკვლევის თვითკმარობას, განცალკევებულობას, უპირატესად *ემპირიულისა* სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურის თეორიული ელემენტებიდან, რაც მცდარია. ჯ. რიტცერის შემდეგ სოციოლოგიური მეცნიერების ორგანიზმში უკვე არსებობს პარადიგმების ტიპოლოგია, რომელიც მთლიანად სოციოლოგიური მეცნიერების კორპუსს მიეკუთვნება.

ბუნებრივია, ანალოგიური მიდგომა საკითხისადმი ვრცელდება “რაოდენობრივი მეთოდების” მიმართაც.

ამ პირობებში, ჩემი აზრით, უმჯობესია ვილაპარაკოთ არა თვისებრივ პარადიგმაზე, არამედ თვისებრივ მეთოდოლოგიაზე, რომელიც გვევლინება ხელახალ განსაზღვრებად, სოციალური დეფინიციების პარადიგმის რედუქციად რიტცერის ტერმინოლოგიით სოციოლოგიური კვლევის რეალობისკენ. ეს თანაბრად შეეხება კლასიკურ/რაოდენობრივ მეთოდოლოგიასაც, რომელიც

სოციალური ფაქტების პარადიგმის პრინციპულად სხვა ტიპის ხელახალი განსაზღვრებაა. ეს ნიშნავს, რომ თვისებრივი კვლევა, ზუსტად ისევე, როგორც რაოდენობრივი, ეწერება/ჯდება განსაზღვრულ თეორიულ პერსპექტივაში, რომელიც მის მეთოდოლოგიურ საფუძვლებსაც და კონკრეტულ კვლევით პრაქტიკებსაც განსაზღვრავს.

ამდენად, ტერმინების *თვისებრივი მეთოდოლოგია*, *მიდგომა* ან *პარადიგმა* გამოყენება უფრო მართებულად უნდა ჩაითვალოს. ამ დამოკიდებულების ფარგლებში მოიაზრება სოციოლოგიური გამოკვლევის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც კლასიკური მეთოდოლოგიისაგან რადიკალურად განსხვავებულია (კლასიკურში გულისხმობენ რაოდენობრივ სფეროს).

საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი თვისებრივ-რაოდენობრივი მიდგომების თანაფარდობა ა. გოტლიბს (Готлиб, А.2002)., რომელსაც ქვევით განვიხილავთ. იგი მიიჩნევს, რომ ეს თანაფარდობა დასავლეთშიც და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ოთხი პოზიციით ვლინდება: 1. რადიკალისტური, 2. ეგზისტენციალური, 3. პრაგმატული და 4. ემპირიული.

რადიკალისტური პოზიციის თანახმად, რაოდენობრივსა და თვისებრივ მიდგომებს შორის თანაფარდობა უფსკრულს წარმოშობს და შეურიგებელია, რამდენადაც კანონმდებლობით და ინტერპრეტაციულ გონს ჰყოფს და გულისხმობს, რომ “მოდერნისტული პროექტის შენელებულ დაშლასთან ერთად” კლასიკური სოციოლოგია (კანონმდებლობითი გონი), როგორც მოძველებული და მცდარი, უნდა გაქრეს და მან ადგილი უნდა დაუთმოს თვისებრივ ინტერპრეტაციულ გონს. მოსაზრების მეორე ნაწილს შეიძლება დაეთანხმო, რამდენადაც დღეს მსოფლიოში თვისებრივი კვლევისადმი ინტერესის ზრდის ტენდენცია სახეზეა.

მეორე ეგზისტენციალური - პოზიციის თანახმად, რაოდენობრივსაც და თვისებრივ მიდგომასაც შემეცნებითი შესაძლებლობების თავისი სპექტრი, ღირსებები და ამასთან, ნაკლოვანებებიც გააჩნია. თუმცა, კრიტერიუმები, რომლებიც რომელიმე ერთი მიდგომის უტყუარ უპირატესობას დაამტკიცებს მეორესთან მიმართებაში, არ არსებობს და მეთოდოლოგიის პრიორიტეტის შესახებ გადაწყვეტილება უშუალოდ მკვლევრის ეგზისტენციალური არჩევანია.

მესამე პოზიცია, რომელსაც ავტორი პრაგმატულს უწოდებს, გულისხმობს შემდეგს: ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილებას მიდგომის არჩევის შესახებ თვითონ მკვლევარი იღებს. ერთი შეხედვით, ეს თითქოს არაფრით განსხვავდება

ეგზისტენციალური მიდგომისაგან. მაგრამ აქ საგულისხმოა ერთი რამ: ამოდის რა კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან, მკვლევარი ითვალისწინებს რელევანტურობის ზონას ანუ კვლევითი ამოცანების სფეროს, რაც ფაქტობრივად განაპირობებს მის გადაწყვეტილებას.

მეოთხე, ვიწრო ემპირიული პოზიციის თანახმად, განსხვავებები არც თუ დიდი და თვალშისაცემია: სოციოლოგები ყოველთვის იყენებდნენ განსხვავებულ მეთოდებს. აქედ გამომდინარე, ამის შესახებ დისკუსიაც არაპროდუქტიულია და ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემს (Горин, А., 2005).

ფაქტია ერთი რამ დღეს ყველაზე დიდი პოპულარობით ჩვენს მიერ ზევით აღწერილი მესამე, პრაგმატული პოზიცია სარგებლობს, რომელიც ორიენტირებულია მიდგომების ინტეგრაციაზე, თუკი ეს შესაძლებელია და კვლევითი ამოცანებით არის განპირობებული.

ამის არა ერთი მაგალითი არსებობს დასავლურ, პოსტსაბჭოურ თუ ქართულ სოციალურ სივრცეში, როდესაც ერთ კვლევით ციკლში წარმატებით ხორციელდება პარალელურ თუ მიმდევრობით რეჟიმში მეთოდების (რაოდენობრივისა და თვისებრივის) პარალელურად და მიმდევრობით გამოყენება.

ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ფრანგი მკვლევრის ნ. ლეფოშერის მიერ განხორციელებული ქორწინებაში არმყოფი დედების კვლევა. პირველ, რაოდენობრივ ეტაპზე, სტატისტიკური ანალიზის მეთოდით მოხდა 250 ახალგაზრდა მარტოხელა დედის ოფიციალური დოკუმენტების (დოსიე, სამოქალაქო მდგომარეობის ბარათები) შესწავლა. მეორე, თვისებრივ ეტაპზე გამოყენებული იყო “ცხოვრების ისტორიის” კვლევითი სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც 6 ანტილიელი ახალგაზრდა მარტოხელა დედის ისტორია მოიპოვეს. კვლევის ასეთმა ლოგიკამ საშუალება შექმნა აღეწერათ ცვლილებები სოციალურ ნორმებში, რაც ერთი თაობის განმავლობაში მოხდა ანტილიის კუნძულებზე.

ასევე ტეოდორ შანინის კვლევა, რომელიც რუსეთის გლეხობას ეხებოდა და ჩატარდა 1990-96 წწ.

ეს იყო მაგალითები, რომლებიც ამ ორი მიდგომის ერთი-მეორის მიმდევრობით გამოყენების შესაძლებლობას ადასტურებს.

ამასთანავე, ხშირად ეს თანმიმდევრულობა სხვაგვარია: პირველ ეტაპზე თვისებრივი, ხოლო მეორეზე რაოდენობრივი მეთოდოლოგია გამოიყენება.

საზი მინდა გავუსვა, რომ მთავარი, როდესაც ამ ორი მიდგომის შერწყმაზე ვლაპარაკობთ, მისი პრაგმატულობაა. ეაკითხი.

ნიშნავს, რომ სრულებით არ არის აუცილებელი, რომ თვისებრივი ეტაპი დასრულდეს რაოდენობრივით. თვისებრივ ეტაპზე უკვე იწარმოება ცოდნა, რომელიც აღწერს მინი-თეორიაში, კომენტარებსა თუ ინფორმანტის ენაზე სოციალურ ფენომენს. რაოდენობრივ ეტაპზე გადასვლა სრულად და მთლიანად კვლევის ამოცანებით განისაზღვრება.

და ბოლოს, მესამე საკითხი. რაოდენობრივ სოციოლოგიურ კვლევაში არსებული საიმედოობის პრობლემა თვისებრივ სოციოლოგიაში გარდაიქმნება გაგების სიღრმის კრიტერიუმად ამოცანების შესაბამისად. გაგების სიღრმის გაზომვა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული რეცეპტები არსებობს: ასეთია ტრიანგულაცია (მიღებული მონაცემების შედარება სხვა კვლევებთან); კვლევის დასკვნების გასაგებობა და მიღება/გაზიარება მათ მიერ, ვისი შესწავლაც ხდებოდა; კვლევის “სამზარეულოს” ღიაობა სხვა მკვლევართათვის ინტერპრეტაციის პროცედურის განმეორების მიზნით. ამას გარდა, თვისებრივი კვლევის შედეგებს (მის სამეცნიერო მიმართულებით) შინაგანი არაწინააღმდეგობრიობის, ლოგიკური თანმიმდევრულობის იგივე კრიტერიუმები წაეყენება, რაც რაოდენობრივი კვლევის შედეგებს. თუ ამ წესებს მიყვებით თვისებრივ კვლევაში, შესაძლებლობა გვაქვს მივიღოთ დამაჯერებელი შედეგები.

ჩვენი მხრიდანაც არა ერთი მაგალითის დამატება შეიძლება, რომელიც ამ ორი მიდგომის თავსებადობის და ოპტიმალურობის მართებულობას ადასტურებს. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორს საკუთარი პრაქტიკის საფუძველზე შეუძლია მაგალითების მოყვანა. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს 2006-2007, 2008-2009, 2009-2010 წლებში განხორციელებული სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც შეისწავლიდნენ ნარკოტიკების მომხმარებელთა და ზოგადად, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ გატარებული ნარკოპოლიტიკის ეფექტურობას (კვლევები ჩატარდა საქრთაშორისო ორგანიზაციებთან და აღნიშნული პროფილის ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). კვლევაში გამოყენებულ იქნა ორივე სტრატეგია რაოდენობრივი და თვისებრივი, აგრეთვე, ტრიანგულაციის მეთოდი

ნარკოტიკების კვლევაში გამოყენებული იყო ორი მეთოდი:

პირველი რაოდენობრივი მეთოდი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული სიტუაციის (ჩვენს შემთხვევაში, ნარკოტიკთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა) მასშტაბის დასადგენად რიცხვით მონაცემებს გამოიყენებს. მეორე მეთოდი თვისებრივი მკვლევარს აწვდის თვისებრივ მონაცემებს (აღწერს სპეციფიკას, რომლის მეშვეობითაც მკვლევარს გარკვეული კლასიფიცირების და დიფერენცირების საშუალება ეძლევა).

მოცემული მეთოდები სპეციალისტს საშუალებას აძლევს გადაამოწმოს მოცემულ სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული მონაცემების დამუშავების სისწორე. ამასთან, რაოდენობრივი კვლევები უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების სიზუსტეს. თვისებრივი მეთოდები საშუალებას იძლევა ღრმად ჩავწვდეთ პროცესებს, აღვწეროთ ისინი მათი სპეციფიკიდან გამომდინარე.

ჩვენს მიერ განხორციელებული რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მთავარ ინსტრუმენტებს წარმოადგენდა სამი ტიპის კითხვარი, რომელიც კვლევაში სამი კატეგორიის რესპონდენტებისთვის მომზადდა: 1. უშუალოდ ნარკოტიკების მომხმარებელთათვის; 2. სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის და 3. სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის. უკანასკნელი ორი კატეგორიის არჩევანი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ პრაქტიკულად სწორედ მათ წარმომადგენლებს უწევთ ყველაზე უშუალო და ხშირი შეხება ნარკომომხმარებლებთან (თუ არ ჩავთვლით ოჯახის წევრებს). რაოდენობრივი მეთოდით გამოიკითხა 550 მომხმარებელი, სამართალდამცავი სფეროს 100 და მედიცინის დარგის 100 მუშაკი, რომელთაც წამალდამოკიდებულებთან მუშაობის კომპეტენცია და გამოცდილება ჰქონდათ.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2008 წ. 5 ფოკუს-ჯგუფი, 8 ინტერვიუ, 2009 წ. 4 ფოკუს-ჯგუფი, 10 ინტერვიუ, 2010 წ. 4 ფოკუს-ჯგუფი, 10 ინტერვიუ. ტრიანგულაციის მეთოდის ფარგლებში რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს გარდა, გამოყენებულ იქნა დაკვირვების მეთოდიც.

თვისებრივ ეტაპზე კვლევა წარიმართა ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის ტექნიკით. კვლევაში თვისებრივი მეთოდებიდან უპირატესობა

მიენიჭა ბიოგრაფიულ-ნარატიულ მეთოდს, ცხოვრების ისტორიასა და ზეპირ ისტორიას.

მონაცემების სტატისტიკურმა დამუშავებამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა, დასკვნები გამოგვეტანა საკვლევი საკითხების მნიშვნელობის ხარისხზე. ამას გარდა, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინირებულმა გამოყენებამ გაამდიდრა მოცემული კვლევა ინფორმაციის თვალსაზრისით.

(კვლევის მასალების ნახვა შესაძლებელია ნაშრომის ავტორთან).

კვლევის შედეგებმა, შესაძლოა, სამეცნიერო თვალთახედვით ინტერესი გამოიწვიოს პრაქტიკოს მკვლევრებში, ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ყველა იმ ადამიანში, რომელიც პროფესიულად არის დაკავშირებული აღნიშნულ დარგთან ან ამ მიმართულებით გეგმავს თავისი საქმიანობის გაგრძელებას.

ილუსტრირებული მეთოდები ადასტურებს ერთიმეორის მიმდევრობით ან პარალელურად ერთ კვლევით ციკლში ორი მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას.

ზევით მოყვანილი უცხოეთში ჩატარებული კვლევის მაგალითები გვიჩვენებს, რომ მკვლევრებმა ჯერ რაოდენობრივი სტრატეგია აირჩიეს და შესაბამისად ჩატარდა სტატისტიკური ანალიზი.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში ეს თანმიმდევრობა სხვადასხვაგვარი იყო. პირველი კვლევა განხორციელდა მხოლოდ თვისებრივი მიდგომის გამოყენებით. მეორე კვლევაში ჯერ თვისებრივი, ხოლო შემდეგ რაოდენობრივი მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული. მესამე კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი, ხოლო პარალელურად თვისებრივი მიდგომის გამოყენებით, რამაც გარკვეულწილად შედეგების ვერიფიკაციისა და შედარების საშუალებაც მოგვცა. აქ საგულისხმოა ერთი რამ, კერძოდ: როდესაც ამ ორი მიდგომის შერწყმაზე ვლაპარაკობთ, მთავარია მისი პრაგმატულობა ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ერთი რომელიმე ეტაპის დასრულების შემდეგ სტრატეგიის სხვა ტიპის გამოყენება აუცილებლობით არის/არ არის განპირობებული. ამ კონკრეტულ

შემთხვევაში, რაც ნარკოტიკთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა, ჩვენი მიზანი იყო საწყის, თვისებრივ ეტაპზე გვეწარმოებინა გარკვეული ცოდნა, რომელიც ინფორმანტის ენაზე აღწერდა სოციალურ ფენომენს ან კომენტარებს (თუნდაც მინი-თეორიაში). რაოდენობრივ ეტაპზე გადასვლა მთლიანად კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე განისაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი დაგეგმვა უფრო პროდუქტული აღმოჩნდა ინფორმაციის თვალსაზრისით.

სოციოლოგიის, როგორც მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალა/შესაძლებლობა ემპირიული კვლევების, თეორიული კონსტრუირებისა და პროფესიულ მოქმედებაში მდგომარეობს.

ემპირიული კვლევების გარკვეული თავისებურებები შეიძლება გამოვყოთ:

- იმის გაგება, რომ რეალობა სოციალურად განპირობებულია;
- რომ არ შეიძლება სოციალური სინამდვილისადმი “გაგებითი მიდგომის” გვერდის ავლა;
- რომ ცენტრალური მომენტია ცალკეული სიტუაციების, შემთხვევების კვლევა და მათი შემდგომი ტიპიზაცია;
- კვლევა უნდა ეფუძნებოდეს პრაქტიკას.

გერმანელი მეცნიერი ბერნგარდი მიიჩნევს, - როდესაც ამ ორი სახის მეთოდების მიმართებაზე/თანაფარდობაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გაუვსვათ იმ გარემოებას, რომ თუ რაოდენობრივი მეთოდებით სოციალური პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების გამოვლენას ვახდენთ, თვისებრივი ამ პროცესების თვისებრივ მხარეზეა ორიენტირებული (Бернгард Г. 2001).

რაოდენობრივი მეთოდები ზოგადი კანონზომიერებების ფოკუსირებას ახდენენ, რომელთა დროსაც ცალკეული შემთხვევების რთული ფენომენოლოგიიდან განმეორებითი ან ზოგადი მახასიათებლები/ნიშნები გამოიყვანება. ამის გამო, თვისებრივისაგან განსხვავებით, აქ არ არის გათვალისწინებული კვლევის საგანში არსებული ერთეული და განსაკუთრებული შემთხვევები (სიტუაციური).

ამის საპირისპიროდ, თვისებრივი მეთოდების გამოყენებისას საუბარი გვაქვს იმ სოციალური პროცესების მომცველობაზე, სტრუქტურულ აღწერასა და დინამიკის ახსნაზე, რომლებიც საზოგადოებრივი რეალობის ჩვენთვის საინტერესო სფეროებისთვის არის დამახასიათებელი, ანუ კვლევის საგანში

ერთეულის და განსაკუთრებულის შესახებ და არა რეგულარულის და ჩვეულებრივის ყურადღების ცენტრში მოქცევაზე. თვისებრივი მეთოდების პერსპექტივიდან შეუძლებელია ცნებებით გამოხატო სისტემური სტრუქტურები მათი შემადგენლებისგან დამოუკიდებლად, ასევე, საზოგადოებაში მოქმედი წევრებისგან დამოუკიდებლად.

რა პრინციპული განსხვავებებია თვისებრივსა და რაოდენობრივ მეთოდებს შორის?

ეს განსხვავებები, უპირველეს ყოვლისა, სოციალური სინამდვილის განხილვისას განსაკუთრებულ ხედვას შეეხება. თუ რაოდენობრივი მეთოდები სოციოლოგიურ კვლევებში ზოგად ნიშნებზეა მიმართული (მონაცემთა ანალიზზე ზოგადი ნიშნების მიხედვით, რათა შემდეგ მათი ტიპიზაცია/ტიპოლოგია მოხდეს), თვისებრივი ორიენტირებულია განსხვავებების დადგენა/განსაზღვრაზე და ისინი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ორი ან რამდენიმე ნიშან-თვისების საერთო.

რაოდენობრივი კი იმის საშუალებას იძლევა, განსხვავებები დავადგინოთ იმით, ზოგადი ნიშან-თვისებები/მახასიათებლები შედარების საბაზისო საფუძველად გამოვიყენოთ. ამიტომაც ამა თუ იმ მეთოდის მიზნობრიობა სხვადასხვაა: ერთ შემთხვევაში კავშირების გახსნა, მეორე შემთხვევაში უკვე ცნობილი გამოხატულებების/გამონათქვამების გაზომვა.

რაოდენობრივი მეთოდების შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ისინი საშუალებას გვაძლევს საფუძველიანად და სისტემატიზებული სახით აღმოვაჩინოთ და გამოვავლინოთ სიახლე. ამგვარად, სპეცილისტები სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს განსაზღვრავენ, როგორც სოციალური დიაგნოსტიკის სახესხვაობას.

საზგასანმელია, რომ მეთოდების ორივე კლასი არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით, ერთიმანეთს ავსებს, თუმცა მათი გამოყენება სოციოლოგიურ კვლევებში განსხვავებულად ხდება. რაოდენობრივ მეთოდებს უპირატესობა ენიჭება ტრადიციულ, “კლასიკურ” ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში, თვისებრივს სოციალური რეალობის ჰერმენევტიკული ანალიზის პრინციპის გამოყენებისას. ამასთან, ყოველდღიურობის/ყოფითი საკითხების შესწავლისთვის ტექნიკური ხერხები სოციალურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებისთვის რეზერვუარს შეადგენს.

თვისებრივ მეთოდებს უპირატესობა ენიჭება სოციალური მუშაობის სფეროს კვლევებში. სოციალური კვლევა, ძირითადად, ვერბალური გადმოცემით, სასაუბრო ფორმით ხდება. მნიშვნელოვანია თვისებრივ-ემპირიული კვლევის ისეთი ასპექტები, როგორცაა ორიენტირება:

- სუბიექტზე
- მოვლენის საერთო კონტექსტის გაგებაზე
- კონკრეტულ სიტუაციაზე
- მოვლენის ჰერმენევტიკულ ანალიზზე

რეტროსპექტული შეხედულება გვიჩვენებს, რომ ემპირიულ სოციალურ გამოკვლევებსა და სოციალურ მუშაობას საერთო ძირები აქვთ, რამდენადაც პირველი სოციოლოგიური გამოკვლევები მჭიდროდ უკავშირდება ღარიბების სოციალური დაცვის პოლიტიკას, ასევე სოციალურ მუშაობა (Бернгард Г. 2001).

რამდენადაც თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინაცია საშუალებას იძლევა კვლევის მეშვეობით მოვიცვათ როგორც მოვლენის მასშტაბურობა (სოციალური გავრცელება), მაგ., უმუშევრობის, სიღატაკის, სოციალური დაუცველობის და ა.შ., იგი ასევე იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ განვსაზღვროთ სიღრმე და შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ.

რაოდენობრივ კვლევაში გაზომვისა და ფაქტობრივი მასალის მოპოვების პრინციპები დაკავშირებულია კლასიფიკაციის ფორმებისა თუ გაზომვის ფორმების მეშვეობით ოპერაციონალურად განსაზღვრული ცნებების წარმოდგენასთან. რამდენადაც ძირითადად სოციოლოგიურ კვლევებში არსებობს რეპრეზენტატული შერჩევის მოთხოვნა, აუცილებელი ხდება საკვლევ ერთობლიობათა მკაცრი განსაზღვრა. ეს პროცესი გულისხმობს ადამიანთა დაყოფას კატეგორიებად აღწერითი (დესკრიპტული) ატრიბუტების (პროფესია, სქესი, განათლება) ან რაოდენობრივი (კვანტიტატიური) ნიშნების (ასაკი, შემოსავალი, ბავშვების რაოდენობა ოჯახში) IQ - (ინტელექტის კოეფიციენტი) საფუძველზე, რათა დადგინდეს საზღვრები განზოგადებისათვის. შემთხვევითი შერჩევა იდეალურად მიესადაგება სხვა მახასიათებელთა განაწილების უზრუნველყოფას, რომლებიც თანაბრად ახასიათებს რელევანტურ ან რელევანტურ და საკონტროლო ჯგუფებს წინასწარ შერჩეული დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედების ხარისხის დადგენის მიზნით. ობიექტები ამორჩევა წინასწარ შერჩეული დამოუკიდებელ ცვლადთან ასოცირებული ნიშნების (მახასიათებლების) შესაბამისად. ამგვარი კატეგორიზების შედეგია საკვლევი

ობიექტების დაჯგუფება ნომინალური (სახელდების) თუ რიგითობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც დამოუკიდებელ ცვლადთა განსაზღვრის პროცესის შემედგენელი ნაწილი.

კატეგორიზაცია შეიძლება აუცილებელი გახდეს ასევე დამოუკიდებელი ცვლადებისთვისაც. ხშირად ჰიპოთეტური დამოკიდებული ცვლადი შეიძლება იყოს (ხელფასი, შემოსავალი) ტესტირების შედეგი. ამან კი, თავის მხრივ, შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს. ჰიპოთეზის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება ზოგიერთი ნიშანი ან მახასიათებელი ერთი კვლევისთვის დამოუკიდებელი ცვლადი იყოს, მეორე კვლევისათვის კი დამოკიდებული. მაგ., შესაძლებელია, ერთ კვლევაში ვივარაუდოთ, რომ ცოდნის ოდენობა (მასა) იზრდება სწავლების გარკვეული მიდგომის შედეგად, მაშინ, როცა მეორე კვლევაში თვით დაგროვილი ცოდნის ოდენობა განსაზღვრავს ამა თუ იმ სამუშაოს მიღების ალბათობას. პირველ შემთხვევაში ცოდნის ოდენობა გვევლინება დამოკიდებულ ცვლადად, რომლის ზრდაც განსაზღვრულია სწავლების გარკვეული მიდგომით. ხოლო მეორე შემთხვევაში იგი დამოუკიდებელი ცვლადია და თვითონ განსაზღვრავს სამუშაოს მიღების ალბათობას.

კვლევის პრობლემის გადაჭრის მიზნით რელევანტურ სტატისტიკურ მეთოდთა შერჩევა განისაზღვრება კვლევაში მოცემული ცვლადების ტიპით. ზოგჯერ ცვლადების ერთი ჯგუფი მარტივად კლასიფიკაციის ან რიგით წარმოდგენის (რანჟირების) ობიექტებია, მაშინ, როცა ცვლადების სხვა ჯგუფი კვანტიფიკაციის შედეგად გაზომვის სრულიად სხვა ფორმებს მოითხოვს. ეს პროცესები (კლასიფიკაცია, რანჟირება, კვანტიფიკაციის ზომების გამოყოფა) გულისხმობს ოპერაციონალური განსაზღვრებების დადგენას რომელიმე ცნებისა თუ კონსტრუქტისათვის. ისინი დამოკიდებულია ცვლადებზე, მაგრამ შესაძლო, რელევანტური ინსტრუმენტები ექსტენსიურია. შესაძლებლობათა განსაზღვრისათვის პირველადი მონაცემების განაწილება ხდება რამდენიმე ფართო კატეგორიად:

მონაცემების კლასიფიკაცია ან რანჟირება (ნომინალური ან რიგითი), რომელიც მოითხოვს შეფასებებს გაზომვის გარეშე.

მონაცემები, რომლებიც კვანტიტატური ნიშნების (ინტერვალური მიმართება) ოპერაციონალური განსაზღვრებებია, მოითხოვს გაზომვასა და გაზომვის ინსტრუმენტს.

მონაცემების მოპოვებისა და დაფიქსირების (რეგისტრაციის) მეთოდების დაჯგუფება ოთხ ტიპად ხდება:

- უშუალო ფაქტობრივი მასალის მოპოვება;
- კითხვარი სკალები, ალტერნატივები, ღია-დახურული ტიპის კითხვები თავისი კოდებით;
- დაკვირვება / სტრუქტურირებული ინტერვიუ;
- ტესტები

ეს კატეგორიები მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას გაზომვის სფეროს შესახებ.

პირველ რიგში განვიხილოთ მონაცემთა მოპოვების წყაროები: 1. კლასიფიკაციური ნიშნები მონაცემები ლაგდება კატეგორიებსა (ნომინალური) თუ რიგების (რანჟირებული) ტიპური თუ დამოუკიდებელი ცვლადების სახით:

დემოგრაფიული (background) ასაკი, სქესი, ქორწინების სტატუსი, ბავშვების რაოდენობა ოჯახში, შემოსავალი, საცხოვრებელი ოთახების ან ფართის რაოდენობა, განათლება, ეთნიკური კუთვნილება, პროფესია და ა.შ.

სოციალური კლასი, რომელიც ეფუძნება რამდენიმე ინდიკატორს;

მიკუთვნებულობა პოლიტიკური (რომელიმე პარტიის წევრობა), რელიგიური (აღმსარებლობა) ორგანიზაციის წევრობა;

მიზნები, მოლოდინები (ექსპექტაციები), მისწრაფებები;

სოციალური და ეკონომიკური ინდიკატორები დამნაშავეობის დონე, ყოფითი პირობები, საერთო ნაციონალური პროდუქტი, უმუშევრობა, ბავშვთა სიკვდილიანობა, სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვი;

პიროვნული, აბნორმალური, სულიერად დაავადებები და ა.შ.

ორგანიზაციის ან ინსტიტუტის ტიპი - საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბიზნესი, არასამთავრობო და სამთავრობო.

2. სხვა პიროვნული ნიშნების კვანტიფიკაცია, რომელიც განგრძობადი მონაცემების სახით არსებობს (ტიპური დამოკიდებული ცვლადები):

დამოკიდებულებები (ატიტუდები), რწმენები, შეხედულებები, გრძნობები, მოვალეობები.

პიროვნული თვისებები: პატიოსნება, ასერტულობა (მიზანსწრაფულობა, შეუპოვრობა), მოქალაქეობის განცდა;

უნარები;

მიღწევები;

ინტელექტის დონე, შემოქმედებითობა (კრეატიულობა) და ა.შ.

რაოდენობრივისაგან განსხვავებით, თვისებრივ მახასიათებლებს (სოციალური მიკუთვნებულობა, ადამიანთა შეხედულებები და ა.შ.) არა აქვთ დადგენილი გაზომვის ეტალონი. მათი კონსტრუირება შესასწავლი ობიექტის ბუნების შესაბამისად და კვლევის ჰიპოთეზების თანახმად ხდება. ამიტომაც თვისებრივ მახასიათებლებთან გაზომვის პროცედურები ერთგვარი გამოგონებებია, რომლებიც გარკვეული ტიპობრივი ხერხებით ხორციელდება.

გარკვეული საკითხების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად რაოდენობრივი მონაცემების მოპოვება გამოკითხვის (სტანდარტიზებული ინტერვიუ, ანკეტირება) მეშვეობით ხდება, რაც გულისხმობს კვლევის ინსტრუმენტის კითხვარის/ანკეტის შედგენას.

განსხვავებულია თვისებრივი მიდგომა, თუმცა გამოკითხვის მეთოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მისთვისაც, ისე როგორც რაოდენობრივი კვლევისთვის (არ იგულისხმება ანკეტირება და სტრუქტურირებული ინტერვიუ).

ქვემოთ მოყვანილია Morgan, Smircich-ის მიერ შემუშავებული ცხრილი, რომელშიც ნათლად არის ასახული რაოდენობრივი და თვისებრივი სტრატეგიების ძირითადი მახასიათებლები:

	სუბიექტივისტური მიდგომები	◀	◀▶	▶	ობიექტივისტური მიდგომები
ონტოლოგიური საფუძვლები	მრავლობითი რეალობები	სოციალურად კონსტრუირებადი რეალობა	რეალობა როგორც ინფორმაციის კონტექსტუალური	რეალობა როგორც კონკრეტული პროცესი	რეალობა როგორც კონკრეტული სტრუქტურა
ეპისტემოლოგიური საფუძვლები	ჩვენი რეალობის საფუძველმდებარე დასკვნების აღმოჩენა	გაგება, თუ როგორ აიგება რეალობა	კონტექსტის ასახვა	სისტემების, პროცესების, ცვლილებების გამოკვლევა	პოზიტივისტური მცენიერების კონსტრუირება

Morgan, Smircich, 1998.

დასკვნა

მეთოდების ორივე ჯგუფი რადენობრივობა და თვისებრივობა, გამოკითხვის საშუალებით ახდენენ გარკვეული სიტუაციის მოდელირებას. რადენობრივი გამოკითხვების ჩატარებისას შეცდომის ძირითადი წყარო შეიძლება იყოს: რესპონდენტთა მიერ დასმული შეკითხვის არასწორი გაგება, შეცდომები მათ მიერ საკუთარი ქცევის გააზრებასა და პროგნოზში, ასევე გულწრფელობის გამაცნობიერებელი ან არასრულად გამაცნობიერებელი ელემენტები, რაც სოციალური ნორმების ზეწოლას უკავშირდება.

მკვლევრები, რომლებიც რადენობრივ მეთოდებს მიმართავენ, ძალიან კონკრეტულად იყენებენ ლიტერატურას. იგი იმის საშუალებას იძლევა, რომ წინა კვლევების იდენტიფიკაცია მოვახდინოთ მისი ინტერესების სფეროში, ასევე

მივაკვლით - სად არის ხარვეზები გაგების თვალსაზრისით. იგი ასევე განსაზღვრავს (მოხაზავს) თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოებს, საზღვრებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება, რათა სწორი მიმართულება მივცეთ რაოდენობრივ კვლევით პროექტებს და მათი დასკვნების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ. ამას გარდა, სპეციალური ლიტერატურა მკვლევარს ეხმარება მნიშვნელოვანი შესასწავლი ცვლადების გამოყოფაში და მათ შორის კავშირების დადგენისაკენ გვიბიძგებს. ეს ყველაფერი რაოდენობრივი კვლევისათვის მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ მკვლევრებს ძირითადად აინტერესებთ ცვლადებს შორის კავშირების შემოწმება ან იმის განსაზღვრა, თუ როგორ ჯგუფდებიან ისინი კლასტერებად. სანამ შესწავლას დაიწყებდნენ, მათ უნდა იცოდნენ, თუ რომელი ცვლადები აინტერესებთ, შემდგომ, როგორ მოვახდინოთ მათი ინტერპრეტაცია, რომლებსაც შემოწმების სტანდარტული ხერხებით ვღებულობთ.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეცდომები ორივე შემთხვევაში ხდება. ასეთი შეცდომების მიზეზი შეიძლება იყოს ესა თუ ის ფორმულირებები. ამასთანავე, გამოცდილების დაგროვება შეცდომების გააზრებაში მეთოდოლოგიის სრულყოფისა და მკვლევართა კვალიფიკაციის ზრდის წყაროა. თვისებრივი მიდგომის სპეციფიკა მდგომარეობს არა ამ კვლევების “უზუსტობაში”, არამედ იმაში, რომ ამგვარ კვლევებში პირველადი მონაცემების მოპოვების ეტაპსა და შინაარსობრივი ანალიზის ეტაპს შორის არ არის ფორმალური მათემატიკური ოპერაციების რგოლი, რითაც უზრუნველყოფილია რაოდენობრივი გამოკვლევები.

სოციოლოგიური კვლევების ყველა მეთოდი, როგორც ცნობილია, იყოფა ინფორმაციის შეგროვებისა და მისი დამუშავების მეთოდებად. შესაბამისად, განსხვავებულ მონაცემთა მოპოვებისა და მისი დამუშავების ეტაპებს. ასევე, საქმე ეხება შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის ეტაპებსაც. ორივე მეთოდი კვლევის ამ ეტაპებს განსხვავებულად განიხილავს, რომლის დროსაც თავიანთი მეთოდური არსენალიდან ადეკვატურს ირჩევენ.

ნებისმიერ კვლევაში შესაძლებელია განისაზღვროს, რომელი სახის მიდგომას მივანიჭოთ უპირატესობა და რატომ. მაგრამ სოციოლოგიური კვლევითი პრაქტიკა ადასტურებს, რომ მათ კომპლექსურ გამოყენებას უფრო მეტი ეფექტი აქვს, ერთი კვლევითი პროექტის ფარგლებშიც კი არ უშლიან

ერთმანეთს ხელს. შეიძლება საპირისპიროც ვამტკიცოთ. მიღებული მონაცემები ახდენს შედეგების ვერიფიკაციას, იძლევა შეჯერების საშუალებას და აქედან გამომდინარე ადეკვატური და არაორაზროვანი ინტერპრეტაციის საფუძველია, რაც უზრუნველყოფს კვლევის წარმატებულობას.

თვითონ სოციოლოგიის დაყოფა “რაოდენობრივად” და “თვისებრივად”, ჩვენი აზრით, მართებული მხოლოდ ემპირიული მეთოდების მიმართ არის. სხვადასხვა თეორიული მიდგომები და პრაქტიკული ამოცანები ამა თუ იმ ზომით უნდა მივუსადაგოთ მათ ინსტრუმენტებს, მაგრამ მათი დაყოფა-დახასიათება “რაოდენობრივად” და “თვისებრივად”, ძალიან რთულია.

არსებობს და, ალბათ, მომავალშიც შენარჩუნდება არსებითი განსხვავება აკადემიურ და კომერციულ კვლევებში გამოყენებული თვისებრივი მეთოდების ბაზანსში. აკადემიურ კვლევებში მეთოდების მთელი არსენალი გამოიყენება და ფოკუს-ჯგუფი არ არის დომინირებულ პოზიციაზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სოციოლოგიური განათლების სფეროში ჯგუფური დისკუსიების ჩატარების პრაქტიკა სწავლების ეფექტური საშუალებაა.

ამრიგად, იმის მიუხედავად, თუ რომელ სტრატეგიას ანიჭებს მკვლევარი უპირატესობას, სპეციალისტებს შორის განსხვავებული მიდგომისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობს. უფრო მეტიც, დღეს სახეზეა განსხვავებული სტრატეგიების ინტეგრირების მცდელობები. თუმცა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი საკითხების აქტუალიზების პრობლემა დგება და ასეთად შეიძლება დასახელდეს: კატეგორიალურ-ცნებითი აპარატის განვითარება, თანამედროვე წარმოდგენების შეთავსება მათემატიკურ მეთოდებთან და გაზომვებთან დაკავშირებით და ა.შ.

თვითონ სოციოლოგიის დაყოფა “რაოდენობრივად” და “თვისებრივად”, ჩვენი აზრით, მართებული მხოლოდ ემპირიული მეთოდების მიმართ არის. აუცილებელია და, ამავდროულად, მნიშვნელოვანი, რომ სხვადასხვა თეორიული მიდგომები და პრაქტიკული ამოცანები ამა თუ იმ ზომით მივუსადაგოთ მათ ინსტრუმენტებს, მაგრამ მათი დახასიათება “რაოდენობრივად” და “თვისებრივად”, ძალიან რთულია.

ამას გარდა, მართალია, ბიოგრაფიულ მეთოდს, ჩართულ დაკვირვებას, დღიურებსა და პირად დოკუმენტებს, ზეპირ ისტორიებს, ინდივიდუალურ არაკონსტრუირებულ ინტერვიუს სახეებს, ასევე, ფოკუს-ჯგუფებს გარკვეული

საერთო თვისებები აქვთ, რაც საშუალებას იძლევა, ისინი “თვისებრივი მეთოდების” კატეგორიაში გაგაერთიანოთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მათი არსებითი განსხვავებულობა და მათი “შეკავშირებულობა” სხვადასხვა პრობლემურ სფეროებთან. კერძოდ, თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბიოგრაფიული მეთოდი ფართო გამოყენებას ვერასოდეს ჰპოვებს მარკეტინგულ კვლევებში. მეორე მხრივ კი, იგი შეუცვლელია გრძელვადიანი სოციალური ძვრების თუ სხვა პრობლემის შესწავლისას, რომელშიც ფოკუს-ჯგუფები (რომლებიც ვიწრო პრობლემაზე კონცენტრირდება) კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი ვერ იქნება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანაფარდობა რაოდენობრივსა და თვისებრივ მიდგომებს შორის სხვადასხვაგვარია სოციოლოგიის თეორიულ და ემპირიულ დონეებზე. თეორიულ დონეზე ეს მიდგომები მკვეთრად არის გამიჯნული და კვლევითი ძიების სხვადასხვა სტრატეგიებს განსაზღვრავს. ემპირიულ დონეზე, რომელზეც მათი რეალიზება მყარი/ხისტი და რბილი/მოქნილი მეთოდების მეშვეობით ხდება, მათი პოლარიზებული ფორმების გარდა, არსებობს მათი განსხვავებული შუალედური მოდიფიკაციები, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ემპირიულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების შემეცნებითი შესაძლებლობების კონტინუუმის შესახებ.

რაოდენობრივ და თვისებრივ მიდგომებს შორის დამოკიდებულებები პასუხობს დამატებითობის პრინციპს, ისე როგორც სხვა მეთოდოლოგიური დიქტომიები, რომლებიც შემეცნების პროცესისთვის არის დამახასიათებელი: რაციო და ინტუიცია, მიკრო და მაკრო ანალიზი, ანალიზი და სინთეზი და სხვა მრავალი. აქედან კი გამომდინარეობს, რომ კვლევის მეთოდოლოგიური დონის შეფასების მთავარი კრიტერიუმია კვლევითი ამოცანიდან კვლევის საგანზე, ემპირიულ მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის მეთოდებზე გადასვლის ადეკვატურობის პრობლემა.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კვალიფიცირებული მკვლევარი არასოდეს უპირისპირებს ერთმანეთს რაოდენობრივსა და თვისებრივ მეთოდებს, არამედ მთელი არსენალიდან იმ საშუალებებს ირჩევს, რომლებიც ყველაზე მეტად დაახლოვებს და უზრუნველყოფს დასახული ამოცანის გადაჭრას.

სოციოლოგიის თეორიულ და ემპირიულ დონეებზე რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების თანაფარდობა სხვადასხვაგვარად ყალიბდება.

თეორიაში ეს მიდგომები ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამიჯნული და კვლევის განსხვავებულ სტრატეგიებს განსაზღვრავს. თითოეული სტრატეგია “იდეალურ ტიპს” წარმოადგენს საგნის, ობიექტისა და მეთოდის ურთიერთქმედების თვალსაზრისით და განპირობებულია კვლევითი სიტუაციისა და შემეცნების სუბიექტის თავისებურებებით.

ემპირიულ დონეზე, რომელზეც ამ სტრატეგიების რეალიზაცია “მყარი/ხისტი“ თუ “რბილი/მოქნილი” მეთოდებით ხდება, პოლარიზებულ ფორმებს გარდა არსებობს თითოეული მეთოდის შუალედური მოდიფიკაციები. ეს საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ემპირიულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შემეცნებითი შესაძლებლობების კონტინუუმზე.

რაოდენობრივსა და თვისებრივ მიდგომებს შორის დამოკიდებულებები პასუხობს დამატებითობის პრინციპს. აქედან გამომდინარეობს, რომ კვლევის მეთოდოლოგიური დონის შეფასებისას ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს გადასვლის ადეკვატურობის პრობლემა კვლევითი ამოცანებიდან კვლევის საგანზე, ემპირიულ მონაცემთა მოპოვებასა და ანალიზზე და შემდეგ, ინტერპრეტაციის საზღვრების დაცვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ა. (2000). *პოლიტიკური სოციოლოგია*, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
2. დურგლიშვილი, ნ. (2004). *სოციალურ მონაცემთა ანალიზი*, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
3. ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
4. კაჭკაჭიშვილი, ი. (2001). *სოციალური მოქმედების თეორია*, თბილისი: ნეკერი.

5. *სოციოლოგიური კვლევის მეთოდები*, (1998). თბილისი: თსუ გამომცემლობა.
6. სურმანიძე, ლ. (2010). *კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში*, თბილისი: უნივერსალი.
7. წულაძე, ლ. (2005). *რადენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები*, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
8. Annels, M. (1996). *Grounded Theory Method: Philosophical perspectives, paradigm of inquiry and postmodernism // Qualitative Health Research. №6*,
9. Arborio, A-M. et Fournier, P. (1999). *L'enquête et ses méthodes : l'observation directe*. Paris: Nathan, Coll. "128".
10. Alreck, P. L. and Settle, R. B. (1985). *The Survey Research Handbook*. Homewood: Irwin.
11. Babbie, E. (1998). *Survey Research Methods* (2nd ed.). Belmont: Wadsworth.
12. Baszanger, I. (1992). *La trame de la négociation. Sociologie qualitative et interactionnisme*. Paris: L'Harmattan, Coll. « Logiques sociales ».
13. Berg, B. (2008). *Qualitative Research Methods for the Social Sciences*. N.Y.: Allyn & Bacon,
14. Berger P., Lukmann
15. Bernard, H. R. (2002). *Research Methods in Anthropology: Qualitative and Quantitative Methods* (3rd ed.). Oxford: Altamira Press.
16. Berthelot, J-M. (1996). *Les vertus de l'incertitude. Le travail de l'analyse dans les sciences sociales*. Paris: Presses universitaires de France, Coll. « Sociologie d'aujourd'hui »
17. Boudon, R. (1979). *La logique du social*. Paris: Hachette.
18. Bozon, M. (1992), Par-delà le quantitatif et le qualitatif. Pour une analyse des mécanismes de différenciation , in AIDELF, *Démographie et différences*, PUF.
19. Brown, A., Gibson W. (2009). *Qualitative Data Analysis*. London.: Sage Publications Inc.
20. Carmines, E. G., Zeller R.A. 1979. *Reliability and Validity Assessment*. Beverly Hills (Calif.): Sage.
21. Cassel, C. and Symon, G. 1994. *Qualitative Methods in Organizational Research*. . London.: Sage.
22. Coenen-Huther, J. 1992, *Production informelle de normes ; les files d'attente en Russie soviétique*, « *Revue française de sociologie* », vol. XXXIII, No 2,.

23. Coenen-Huther, J. 1995. *Observation participante et théorie sociologique*. Paris, L'Harmattan, Coll. « Logiques sociales ».
24. Coenen-Huther, J. *La sociologie des sciences entre positivisme et sociologisme*, « Revue internationale des sciences sociales », Tome XL, No 124, pp. 219-231, 2002.
25. Debus, M. 1997, *Handbook for Excellence in Focus Group Research*. Academy for Educational Development, New-York.
26. Demazière, D. et Dubar, C. 1997, *Analyser les entretiens biographiques. L'exemple de récits d'insertion*. Paris, Nathan, Coll. "Essais et Recherches",.
27. Denzin N., Lincoln Y. 2005. *The SAGE Handbook of Qualitative Research*. London.: Sage Publications Inc.
28. De Vaus, D. (2002). *Surveys in Social Research* (5th ed.). London: Routledge.
29. Frankfort-Nachmias, C., & Nachmias, D. (1992). *Research methods in the social sciences* (4th ed.). New York: St. Martin's Press.
30. Given L. 2008. *The SAGE Encyclopedia of Qualitative Research Methods*. Vol. I-II, Sage Publications Inc.
31. Glaser, Barney G. et Strauss, Anselm L. 1965. *Awareness of Dying*. Chicago, Aldine Publishing Company,
32. Glaser, Barney G. et Strauss, Anselm L. 1973. *The Discovery of Grounded Theory*. Chicago, Aldine Publishing Company.
33. Glaser B. 1992. *Basics of grounded theory analysis*. Mill Valley. CA: Sociological Press.
34. Gouldner, Alvin W., 1972, *The Coming Crisis of Western Sociology*. Londres, Heinemann, 1970, paperback edition.
35. Gubrium J, Holstein J., 1997, *The New Language of Qualitative Method*. N. J., Oxford: Oxford University Press.
36. Hammersiy M. and Atkinson P., 1993, *Ethnography Principles in practice*. London and New York.
37. *Handbook of Interview Research: Context and Method*. London, New Delfi, Thousand Oaks: Sage Publications, 2001.
38. Hoinville, G. and Jowell, R. (1977). *Survey Research Practice*. London: Heinemann Educational Books.
39. Kaplan B., Duchon D. (1988). *Combining Qualitative and Quantitative Methods in Information Systems Research: A Case Study*. <http://staff.blog.ui.id...>
40. Kealey, D.J., & Protheroe, D.R. (1996). The effectiveness of cross-cultural training for expatriates: An assessment of the literature on the issue. *International Journal of Intercultural Relations*

41. Kemmis, S. and McTaggart, R. (1988). *The Action Research Planner* (3rd ed.). Geelong: Deakin University.
42. Krahn Harvey, 1990, *Quantifying semi-structured interviews*, Research discussion paper n°73, University of Alberta, Edmonton. http://www.stes-apes.med.ulg.ac.be/Documents_electroniques/.
43. Lazarsfeld, P. (1993). *Social Research and Its Language* / Ed. by R. Bouton. Chicago; L.: University of Chicago Press.
44. *Methodes des Sciences Sociales*. 1999. Dizieme edition, Paris.
45. Morgan, G. & Smircich, L. 1980. The case for qualitative research.// *The Academy of Menagement Review*, vol.5, N 4.
46. Newman, W. L. (2003). *Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches* (5th ed.). Boston: A&B.
47. O'Brien, R. (2001). *An Overview of the Methodological Approach of Action Research*. Toronto: University of Toronto.
48. Oppenheim, A. N. (1992). *Questionnaire Design, Interviewing and Attitude Measurement*. London & NY: Continuum
49. Passeron, Jean-Claude et Prost, Antoine, 1990, *L'enseignement, lieu de rencontre entre historiens et sociologues*, « Sociétés contemporaines » No 1, mars.
50. Passeron, J-C. (1991). *Le raisonnement sociologique. L'espace non-poppérien du raisonnement naturel*. Paris, Nathan, Coll. "Essais et Recherches",
51. Passeron, Jean-Claude, 1996, « L'espace mental de l'enquête (II). L'interprétation et les chemins de la preuve», *Enquête*, n°3 .
52. Patton, M. Q. (1980). *Qualitative evaluation methods*. Newbury Park, CA: Sage.
53. Pelletier, M. et Demers M., 1994, *Revue des sciences de l'éducation*, vol. 20, n° 4.
<http://id.erudit.org/iderudit/031766ar>
54. Punch, K.F., 1998, *Introduction to Social Research. Qualitative and Quantitative Approaches*. London, Thousand Oaks, New Delfi: Sage Publications.
55. Reason, P. (1988). *Human Inquiry in Action*. London: Sage.
56. Riessman, K. 1993, *Narrative Analysis*. London, New Delfi: Sage Publications.
57. Schön, D. (1983). *The Reflective Practitioner - How Professionals Think in Practice*. New York: Basic Books.
58. Selltitz, C , Wrightsman, T. S. et Cook, S. W. (1977). *Les méthodes de recherches en sciences sociales* (trad, de D. Bélanger). Laval: HRW.
59. Silverman, D. (2000), *Doing Qualitative Research*. London, Thousand Oaks, New Delfi: Sage Publications.

60. Strauss, A., Corbin, J. (1990). *Basics of qualitative research: Grounded theory procedures and techniques*. Newbury Park: Sage Publications.
61. Thompson, J. L. Priestley, Judith., (1991). *Sociology*.
62. Van Maanen, J. (1983). *Qualitative methodology*. Beverly Hills, CA: Sage Publications.
63. Wadsworth, Y. (1997). *Do It Yourself Social Research* (2nd ed.). Sydney: Allen & Unwin.
64. Winter, R. (1989). *Learning From Experience: Principles and Practice in Action-Research*. Philadelphia: The Falmer Press.
65. Whyte, W. 1994. *Participant Observer. An Autobiography*. Ithaca, New York, IRL Press,
66. Yan Hutchly and Robin Wooffit. *Conversation Analysis: principles, practice and applications*. Polity Press,
67. Zetterberg, Hans L., 1(998). *On Theory and Verification in Sociology*.
68. Totowa, N.J. (1965) The Bedminster Press.
58. Арефьева, Г.С. 1995. Общество как объект социально-философского анализа. М.,
69. Балабанова, Е.С. (2002).. О комплексном характере социологических исследований// *Социологические исследования*. №10
70. Баньковская, И.П. (1998) Чикагская школа в американской социологической теории: от кризисного сознания к стабилизационному // *История теоретической социологии*: В 4 т. М.: Канон,. Т.3
71. Баразгова, Е.С. 1997. *Американская социология: традиция и современность*. Екатеринбург: Деловая книга.
72. Батыгин, Г. 1995. *Лекции по методологии социологических исследований*. М.: Аспект-пресс.
73. Батыгин, Г.С., (1986), *Обоснование научного вывода в прикладной социологии*. М.: Наука.
74. Белановский А., (1996), *Метод фокус-групп*. М.: Изд. «Магистр».
75. Бернгард Г. (2001). Качественные и количественные методы исследования в социальной работе. // *Социол. исслед.* - № 1.
76. Берто, Д. (1997). Полезность рассказов о жизни для реалистичной и значимой социологии // *Биографический метод в изучении постсоциалистических обществ*. Материалы международного семинара. Санкт-Петербург, 14-17 ноября 1996. СПб.
77. Васильева, Т. (1996), *Основы качественного исследования: обоснованная теория // Методология и методы социологических исследований*. М.: Институт социологии РАН.
78. Васильева, Т. (2001). *Обоснованная теория в поле качественного исследования*

79. Воронов, Ю.П. 1974. Методы сбора информации в социологических исследованиях. -М., Прогресс.
80. Голофаст, В. (2002). Многообразие биографических повествований // *Социологический журнал*, Бурдые П. Биографическая иллюзия // *Inter* №1.
81. Готлиб, А.(2002). *Введение в социологическое исследование: качественный и количественный подходы*. Самара: Самарский университет.
82. Девятко, И. (2003). *Социологические теории деятельности и практической рациональности*. М.: Аванти плюс.
83. Здравомыслов, А. 1969. *Методология и процедуры социологических исследований*. М.: Институт социологии РАН.
84. Ионин Л.Г. (2004). *Философия и методология эмпирической социологии*, М.: Издательский дом ГУ ВШЭ.
85. Лаба Л.Я. (2004). Способы интеграции качественных и количественных методов в социологических исследованиях // *Социологические исследования*, №2.
86. Лазарсфельд, П. (1972). Измерение в социологии. // *Американская социология: перспективы, проблемы, методы*. М.: Прогресс.
87. Лассуэл, Г.Д. (1994). Принцип тройного воздействия: ключ к анализу социальных процессов // *Социс N 1*.
88. Маслова, О. (1995). Количественная и качественная социология: методология и методы (по материалам Круглого стола) // *Социология: 4М*. Т.5-6.
89. Ноэль, Э. (1978). *Массовые опросы. Введение в методику демоскопии*. М.: Прогресс.
90. Осипов, Г.
91. Осипов, Г., Андреев, Э. (1980). *Измерение в социологии*. М.: Прогресс.
92. Паниотто, В. (1986). *Качество социологической информации*. Киев: Наукова Думка.
93. Паниотто, В., Максименко В.(1982). *Количественные методы в социологических исследованиях*. Киев.
94. *Рабочая книга социолога*. (1983). М.
95. Романов, П., Ярская-Смирнова Е. (1998). «Сделать знакомое неизвестным»: этнографический метод в социологии // *Социологический журнал*. №1-2.
96. Рэдклифф-Браун, А. (2001). *Метод в социальной антропологии*. М.: Канон-Пресс-Ц.

97. Саганенко, Г. (1993-1994). Структура эмпирического результата а социологии и проблема его надежности // *Социология-4М*, Т.3-4.
98. Семенова, В. (1998). *Качественные методы: введение в гуманитарическую социологию*. М.: Добросвет.
99. Страусс, А., Корбин Дж. (2001). Основы качественного исследования. М.: УРСС.
100. Судьбы и перспективы эмпирической социологии. 2005, Дискуссия N 10. // Соц. ис.
101. Татарова, Г. (998). *Методология анализа данных в социологии*. М.: Стратегия.
102. Тернер, Д. (1985). *Структура социологической теории*. М.: Прогресс.
103. Толстова, Ю. (2001). О системности социологических объектов // *Социологические исследования*. №7.
104. Толстова, Ю. (1998). *Измерение в социологии*. М.: Инфра-М.
105. Томас, У., Знанецки, Ф. (1994). Методологические заметки /*Американская социологическая мысль*. М.: МГУ.
106. Томпсон, Д., Пристли, Д. (1998). *Социология: Вводный курс* / Пер. с англ. – М.: ООО «Фирма «Издательство АСТ»»; Львов: «Инициатива»,
107. Ядов, В. (1972). *Социологическое исследование. Методология, программа, методы*. - М. Добросвет.
108. Ядов, В. (1998). *Стратегия социологического исследования. Описание, объяснение, понимание социальной реальности*. М.: Добросвет.

Kealey, D.J., & Protheroe, D.R. (1996). The effectiveness of cross-cultural training for expatriates: An assessment of the literature on the issue. *International Journal of Intercultural Relations*